
RAYMOND DUGUET

MOSCOU
ET LA
GÉORGIE MARTYRE

DIX HORS-TEXTE EN HÉLIOGRAVURE

PRÉFACE DU COLONEL C.-B. STOKES
Ancien Haut Commissaire britannique en Transcaucasie.



ÉDITIONS JULES TALLANDIER
— 75, RUE DAREAU, PARIS (XIV^e) —

Copyright
by Jules Tallandier
1927

Tous droits de traduction, de reproduction et d'adaptation réservés pour tous les pays, y compris la Suède et la Norvège.

94(479.22)"1921 იმ" + 94(479.22:470) გ-55

რეგონ დიუბე

**მოსკოვი
და
ნაგებულა სპარტოველო**

ფრანგულიდან თარგმნეს
მზია და აკაკი ბაქრაძეებმა

ყველა უფლება დაცულია

წინასიტყვაობა

„ამოსკოვი“ და „წამებული“ საქართველოს“ ავტორმა, მისივე, ამ საინტერესო და ჭკუის მასწავლებელი ნარკვევის წინასიტყვაობა დამეწერა. დავთანხმდი ორი მიზეზის გამო. უპირველესად იმიტომ, რომ შესაძლებლობა მქონდა საქართველოში თავად მეხილა იმ მოვლენათა უმრავლესი ნაწილი, რომელსაც ეს წიგნი გვიამბობს. მეორედ კი იმიტომ, რომ მუდამ ძალიან მადლებებდა და მაინტერესებდა საქართველოს სეპედედი და ჭირ-ვარამი.

რუსეთის რევოლუციის წყალობით, საქართველომ დამოუკიდებლობა 1917 წელს აღიდგინა. ქართველობას გამოკვეთით ახასიათებს ვაკუაცობა და ეროვნული გრძობა. მაგრამ შეიძლება იგი ამ ღირსებას მოკლებულ ხალხად მიგვეჩინა, რომ არ ესარგებლა იმ თავისუფლებით, რაც მოვლენათა მსვლელობამ შესთავაზა.

რუსეთის არმიის ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ საქართველოს თურქეთი დაემუქრა. მოკავშირეთა მიმართ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ საქართველომ დახმარებისათვის გერმანიას მიმართა. მიიღო კიდევ ეს დახმარება; ამის გამო საქართველოს ვერ გავკიცხავთ. გერმანიამ იხსნა იგი თურქთა ოკუპაციისაგან.

მსოფლიო ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ თურქეთის ჯარმა კავკასია დატოვა. ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს -- ამოსუნთქვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საუკეთესო ფორმის გამოძენის საშუალება მიეცა.

სამწუხაროდ მათ უკუავდეს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, თავისუფლად დარჩენის ერთადერთი საშუალება და იმედი: შეექმნათ სამი

სახელმწიფოს კონფედერაცია. შემდგომ ამ კონფედერაციას უთუთოდ შეუერთდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები. ამრიგად, მტკიცე ბლოკი ჩამოყალიბდებოდა. საჭიროების შემთხვევაში იგი შესძლებდა გამკლავებოდა როგორც ჩრდილოელ, ისე სამხრუთუელ მეზობლებს. არც გამარჯვების იმედი მოაკლდებოდა.

ასეთი კონფედერაციის უპირატესობა იმდენად ნათელია, რ რომ გაუგებარია რატომ არ მოხდა ეს გაერთიანება. მაგრამ გაუგებარია იმისათვის, ვინც არ იცის, რომ რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კავკასიის ხალხებს შორის მტრობა-უნდობლობა იყო.

ისიც შეიძლება დავამატოთ: აზერბაიჯანელები უფრო რელიგიოზური ძმების, თურქებისაქენ იყურებოდნენ, ხოლო სომხეთს მაინც რუსეთის იზიდავდა. სომხეთს რუსეთის ძლიერების იმედი ყოველთვის ჰქონდა. ა თუ, ერთი მხრივ რუსეთი მფარველობდა სომხეთს თურქეთის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ჩრდილოელი მეზობლის მხარდაჭერა სომხეთს საშუალებებს აძლევდა ამიერკავკასიაში ვაჭრობის საქმის სრული, ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

ასე იყო თუ ისე, კონფედერაცია არ შეიქმნა. თითოეული სახელმწიფო ცალ-ცალკე ცდილობდა დახმარება მიეღო ან ანტანტისაგან, ან თურქეთისაგან.

ანტანტის სახელმწიფოები კი იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი სუბიექტებით იყვნენ დაკავებული. ამის გარდა, ეტყობა, მცდედარი შთაბეჭდილება ჰქონდათ; თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიის მხარეში ქრისტიანობის მონოპოლია მხოლოდ სომხეთს ეკუთვნოდა. სრულიად სამართლიანად, ისინი სიმპატიით იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნის მიმართ, განსაკუთრებით ყურადღება სომხებმა მას მერე მიიპყრეს, რაც ხოცოცვა-ელეტა მოუწყვეს თურქებმა. დასავლეთში სულ ერთავად გეგმებს აწყობდნენ როგორ ესნათ სომხეთი უბედურებისაგან. საქართველოსადმი კი ანტანტის სახელმწიფოებს არავითარი სიმპატია არ ჰქონიათ.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ქართველებიც ქრისტიანები არიან. თუმცა მათ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობს მუსლიმანი მოსახლეობაც. სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს

კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ მაკმადიან მეზობლებთან.

ასე და ამრიგად, საქართველოს, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს, ყოველგვარი დახმარების თვინიერ მარტო მოუხდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ძალიან დიდი იყო სიძნელეები, რომელთაც ქართველი ხალხი წააწყდა. ეს სიძნელეები არ შემცირებულა იმის გამო, რომ მთავრობა მენშევიკური, ანუ სოციალისტური იყო.

ამ მთავრობის საშინაო პოლიტიკამ არავინ დააკმაყოფილა; მიწებისა და რამდენიმე მომგებიანი ინდუსტრიული საწარმოს ნაციონალიზაციამ მეურნეობა განადგურებადღე მიიყვანა. მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ ინტერესებს უფრო მადლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს. ამის ტიპიურ მაგალითს მოვიყვან: გენერალი კვინიტაძე რამდენჯერმე მოიშორეს. მაგრამ როგორც კი ვითარება გამწვავდებოდა, ისევე სათავეში აყენებდნენ.

მოსკოვთან ურთიერთობაში ქართული მთავრობა მიაშინა იმედით იკვებებოდა. სჯეროდა, რომ ბოლშევიკებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდათ მენშევიკებთან, თავიანთ სოციალისტ ძმებთან (მართლაც რომ გულუბრყვილო იყო ეს იმედი).

აღტორი საოცარი სიჭაბდით გვიჩვენებს სოციალისტთა შორის ამგვარი სოლიდარობისაგან რას უნდა ელოდოს კაცი. მოკავშირეებთან ურთიერთობისას ქართული მთავრობა მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებოდა. ქართული მთავრობა არ იცნობდა ანკანტის ხალხების მსოფლმხედველობას. რა ვნება მოჰქონდა ამ უცოდინარობას, სანიშუშოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებ. ეროვნულ გვარდიას წითელი დროშა ჰქონდა. საქართველოში ჩამოსული უცხოელები — სულერთია, იქნებოდა ეს ოფიციალური თუ კერძო პირი — ამ დროშის დანახვისთანავე საქართველოს ბოლშევიკურ ქვეყანად აღიქვამდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა ნამდვილი მეგობარი მთავრობას ურჩევდა უარი ეთქვა ამ დროშაზე, იგი მაინც რამდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებდა მას.

ამგვარ ნაშრომს სრული ობიექტურობა უნდა ახლდეს. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი ვაღიარო; მთავრობას არცერთი შეცდომაც რომ არ დაეშვა, მაინც არა ვარ დარწმუნებული, რომ იგი შესძლებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას წითელი ძალის პირისპირ.

ამ წიგნის დაწერით ავტორმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს. მაგრამ დაპყრობის წინ და შემდგომ, საქართველოსადმი ბოლშევიკების დამოკიდებულებისა და მოქმედების დაწვრილებითი აღწერით, მიმაჩნია, რომ ავტორმა კიდევ უფრო დიდი სამსახური გაუწია საერთოდ მსოფლიოს.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია არ განიმსჯვალო იმ აზრით, რომ ბოლშევიზმი არის სიმართლის ყოველნაირი იდეის, პატიოსნების, ზნეობრივი ქცევის და ჰუმანურობის უარყოფა.

ბოლოსწინა თავში ავტორი ასკვნის, რომ ბოლშევიკების მხეცობამ მიიყვანა საქართველო 1924 წლის აჯანყებამდეო. ეს შესაძლებელია ასეც იყო: წითელი წამებით გამოწვეულმა სასოწარკვეთამ გამოიწვია ამბოხი. მაგრამ მეორე მხრივ, აჯანყების ნიშანი თუ ემიგრაციიდან მოვიდა ((რაც სრულებით შესაძლებელია), მაშინ იმას, ვინც ეს გააკეთა, საზარელი პასუხისმგებლობა ეკისრება. რაკი გარედან არავითარი დახმარება არ იყო მოსალოდნელი, შეუძლებელია ვისმეს რაიმე იმედი ჰქონოდა, რომ აჯანყებით ბოლშევიკურ უღელს დაამსხვრევდნენ.

ავტორი დიდი სიმპატიით საუბრობს ქართველებზე. მეც მთლიანად ვიზიარებ ამგვარ შეხედულებას.

ქართველი ხალხი მკვეთრად გამოხატული ეროვნული გრძნობებით, დიდებული ისტორიით, კუნთმაგარი და საღი აზროვნების გლეხებით (რაც მისი მოსახლეობის უმრავლესობაა) ცხოვრობს საოცრად ღამაზი ბუნების ქვეყანაში. მისი წიაღი ძალიან მდიდარია. ეს ხალხი უდაოდ იმსახურებს იმას, რომ მიეცეს საშუალება განვითარდეს თავისუფლად, საკუთარ მისწრაფებათა შესაბამისად და მშვიდობიანად.

მაგრამ, ალბათ, ჯერ შორს ვართ ამგვარი შესაძლებლობის განხორციელებისაგან. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა (ისევე, როგორც მისი წიაღისეული სიმდიდრე) წამოადგენს ყველაზე დიდ ხიფათს და დაბრკოლებას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე. აჲ, ერთ მშვენიერ დღეს, ერთა ლიგა მართლა გახდება მსაჯული ერთა შორის დავისა, მაშინ საქართველო კარგად დააფასებს სპარსული ანდაზის ჭეშმარიტებას: „მოთმინება მწარეა, მაგრამ ნაყოფი მისი ტკბილი“. ასეთია, ყოველ შემთხვევაში ჩემი ურყევი იმედი. მე ვწერ, როგორც კაცი, ვინც

დაინახა და დააფასა ქართველების დიდი და მრავალი ღირსება სწორედ იმ პერიოდში, როცა ისინი საშობლოს დასაცავად ვაჟაკურად და თავგამებულად იბრძოდნენ, თუმცა ამაოდ. განსაცვიფრებელი იყო ქართველ კადეტთა კორპუსის თავგანწირვა და სამამაცე. ისინი თითქმის მილიანად გაანადგურეს თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში: ეს ნებას არ გვაძლევს დავკარგოთ იმედი იმ ქვეყნისა, რომელმაც ასეთი ამბილებული გმირები შვა.

და ბოლოს, მინდა შევხატო მოვანხნო ავტორს ასე კარგად დოკუმენტირებული და ნათელი ნაშრომის დაწერისათვის. მივაგო პატივი მისა "სურვილს იქონა" რამდენადაც "შერძნება მიზღვრმეჭო, წაღიარო ჩს" დიდი სამსახური, რომელიც გავვიწვია მან იმით, რომ აღწერა შეთოდები და აზროვნება ბოლშევიზმისა, იმ სახიფათო სნეულებისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაქრეს, თუკი ცივილიზაციის გადარჩენა გვსურს.

უ. ბ. სტოკი¹

24 სექტემბერი, 1926 წელი.

¹ პოლონური სტოკი მხატვრობდა ინგლისის არმიამი. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში. 1920 წლის ივლისში პოლონელებმა სტოკმა ანტანტის საბელშევიზების სახელით, ბათუმი საქართველოს გადასცა. მანამდე ბათუმი თვისუფალი ქალაქის სტატუსი ჰქონდა.

ჩვენ, საფრანგეთში, ერთი დიდი ნაკლი გვაქვს. ეს გახლავთ ის, ა, რომ სრულებით არ ვიცნობთ იმ უცხო ხალხებს, ვისაც ჩვენდამი დიდი სიყვარული და თაყვანისცემაც კი აქვთ. არ ვიცნობთ იმათ, ვინც მადლიერების გრძნობით გვეპყრობა. არა აქვს მნიშვნელობა დიდილია ეს მადლიერება თუ მცირე.

ამის გამოა, რომ არ ვიცნობთ ჩვენს ნამდვილ მეგობრებს, რიითაც ხშირად საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ ვიქცევით.

გაუყვეთ ამ აზრს და გკითხავთ: რომელმა თქვენგანმა იცის, რა რომ შავი ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობს ხალხი, რომელიც საფრანგეთისადმი გამსჭვალულია დიდი სიყვარულით და ღრმა მადლიერებებით? რომელმა იცის, რომ ეს სამილიონიანი ერი იტანჯება და იმემედის თვალთ გვიყურებს? რომელმა იცის, რომ ამ ქვეყანას საქართვეველო ჰქვია?

შორი მანძილისა და სხვადასხვა გარემოებათა მიზეზით, ჩვენ ცოცხლა გავაკეთეთ მისთვის.

მართალია ხმა ავიმალღეთ და პროტესტი გამოვთქვით, როცა ეს მას ჩავრავდნენ. ანტანტის სხვა ქვეყნებთან ერთად დიდი ომის შემდგმველ, ესაქმიანობდით მის სასარგებლოდ. შევიფარეთ მისი მთავრობა, რომელიც ბოლშევიკური ურდოების შემოსევის შედეგად იძულებული გახდა მიეტოვებინა შშობლიური მიწა-წყალი. მიუხედავად წითელი ოკუპაციისა და საბჭოთა მთავრობის პროტესტისა, მისი ლეგაცია პარიზში მივიჩნიეთ დამოუკიდებელი ერის ლეგაცია.

მივხედოთ ამ ქვეყანას. ყური მივუგდოთ მის მძიმე ხვედრს. უუკეთ გავიცნოთ იგი. შევიგნოთ რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მას მისი ადგილმდებარეობის გამო. იგი ხომ მოქცეულია რუსეთს, სპარსეთს და თურქეთს შორის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა! დაბოლოს გავაცნობიეროთ, რა სარგებლობას მოგვიტანს ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ერი იქ, ახლო აღმოსავლეთში, ბოლშევიზმის გაქრობის მერე.

„იმ ქვეყანას, ძველ კოლხეთს — წერდა ელიზე რეკლიუ — მწვანე საფარის ბრწყინვალეობით, მიწის ბუნებრივი სიუხვით და ჰრავალფეროვანი სიმდიდრით ტოლი არ ჰყავს მსოფლიოში.“

წიაღისეული სიმდიდრე იქნება თუ მიწისზედა, საქართველო მართლაც კურთხეული მხარეა.

საქართველოს ნავთობიც აქვს. ის, რასაც ასე გაფაციცებით დაეძებს ყველა დღეს. ზოგი მათგანი შეიძლება მნიშვნელოვანი საბადოც აღმოჩნდეს, მაგალითად კახეთში, ბაქოს რეგიონიდან ნავთობის ექსპორტი ხორციელდება ნავთობსადენით, რომელიც საქართველოზე გადის და 1918 წლიდან მოქმედებს.¹

საქართველოს ბუნებამ იმდენი სიმდიდრე დაანათლა, რომ იგი ყოველთვის იწვევდა მეზობლების შურს. ამასთან ერთად, იგი დიდი ლაშქრობების გზაზე აღმოჩნდა. ამიტომ იპყრობდნენ ასე ხშირად. ამიტომ მისი დედაქალაქი თბილისი არაერთგზის ყოფილა აოხრებული და 26-ჯერ დაპყრობილი.

საქართველოს სიმდიდრის გაძარცვა, მის ხარჯზე ხელის მოთბობა, მისი შეშვეობით მთელი ამიერკავკასიის გასაღების დაუფლება — აი, რა ამოძრავებდა მოსკოვს როცა საქართველო დაიპყრო. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთა ლიგაში ქართული მთავრობის მიერ წარდგენილ მემორან დუმის სტრიქონებს: „დღეს ყველასათვის ნათელია, რომ კავკასიის და საქართველოს დაპყრობა მოხდა ამ ქვეყნის სიძლიდრის ხელში ჩისაგდებად. „განა ბერლინში რადეკმა თავად არ აღიარა, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთმა ბაქოს ნავთობის შესანარჩუნებლად დაიპყრო!“

მაგრამ ქართველებს სიკვდილი არ უნდათ და არც უწერიათ.

¹ ავტორს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ამუშავების თარიღი ემუქება (მთარგმნელები). — ?

სტალინიშ მნიშვნას თუ არ ახლავს მინაწერი — „მთარგმნელები“ ეკუთვნის თავად დოვგს.

რუსეთის არმიის მთავარსარდალმა მსოფლიო ომის დროს, დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა განაცხადა: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ხსუთი ქართველიც რომ ერის, ვაცი, როგორ იომებდა ჩემი არმია.“

ქართველები, რომელთა ეთნიკური სათავეები უცნობია, არიან არა მარტო მამაკი რაინდები, ერთგულნი და ხალისიანი, არამედ მომთმენი, თავდაჭერილი საზოგადოებაში, პირად ცხოვრებაში, მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. მათთვის უცხოა აყალ-მაყალისა და თავაშვებულებისადმი მიდრეკილება. არიან დახვეწილი გრძნობების და კულტურის მატარებლები. ქართველთა ეს დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ მოვიშველებთ ჩვენი ერთი თანამემამულის იან კარმორის მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს „შორიდანვე შეამჩნევთ ქართველების მოქნილ მოძრაობას, წვრილ წელსა და ფართო მკერდს, შეუპოვარი ჩერქეზებივით ამაყ სიარულს. ახლოდან კი თვალში გეცემათ შავი გრუზა თმები, ცოცხალი, ხანდახან კი პირქუში თვალები, ჩაწიკწიკებული კბილები, გრძელი წამწამები (ქალებისა უფრო ნაზი და ამაღლევებელი). ხელს თუ შეახებთ, იგრძნობთ პატარა, მაგრამ ნაზი ხელების, ქათქათა თეთრი ფერის კანს.

ხასიათით, მიუხედავად იმ პირობებისა, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა, ქართველი ძალიან მხიარული ჩანს. კიდევ უფრო მომღზინი ხდება ღვინის წყალობით. ალბათ აქედან მომდინარეობს ქართველების სიყვარული სიმღერისა და ცეკვისადმი. ათენელ აღმზრდელებზე ადრე, ვაკ დელკროზის ინიციატივაზე ბევრად ადრე, ქართველებმა თაობიდან თაობაში გამოიმუშავეს რიტმი, ჰარმონია. შესაძლებელია ამ ძველი დისციპლინის წყალობით აქვთ შესანიშნავი აღნაგობა.

როცა სიმინდის ყანებს მარგლავენ, როცა ქერს მკიან, ქართველები განსაკუთრებული რიტმით მუშაობენ. ჯგუფებად დაწყობილი ისინი ხალისიანად შრომობენ. რამდენიმე მომკელი სიტყვებს მღერის, რომელიც შესრულებულ სამუშაოს შეესაბამება. რაც უფრო წინ მიიწევენ, რიტმი ჩქარდება. სამკალის ბოლოს უცებ ჩერდებიან. უკან

1. "La Géorgie libre", par E. Kuhne, Geneve, 1920.

დაბრუნებისას ისევ იწყებენ ახალ რიგს. ასეთი რიტმით მუშაობა იწყებს კოლექტიურ მხიარულებას.“

ამ ნაამბობში იან კარმორი ძალიან ზუსტად აღნიშნავს ქართველის ხასიათის განსაცვიფრებელ თვისებას: კარგი ხასიათი, ყველგან და ყველადღერში მხიარულება. ვინც იცნობს საფრანგეთში ქართულ წრეებს, დაადასტურებს ამ დახასიათების სრულ სისწორეს. მრავალი ტანჯვის გადაშტან, კაეშნით მოცულ ქართველ ემიგრანტებს ვერ შეატყობთ იმედის გაცრუებას. თუმცა სამშობლოში დატოვებულ ახლობლების ამბავს დრო და დრო თუ გაიგებენ. ზოგჯერ ნათესავისა და შუგარბრის დახვეწტის ამბაჰიც მოსდით.

ემიგრანტებს არავითარი სახსრები არა აქვთ იცხოვრონ და არჩინონ ოჯახი (თუ კი მოახერხეს წამოყვანა). მათ ხშირად უხდებათ არაშესაფერ სამსახურზე დათანხმება. ისინი ღირსეული მორჩილებით ცხოვრობენ. დაუოკებელი ენერჯია აქვთ და კარგი ხასიათი. მიუხედავად ყველადღერისა, დრო და დრო, დიდი იმედი უჩნდებათ, რომ თავიანთ სამშობლოს უკეთესი დღეები დაუდგება და თავისუფალს იხილავენ.

ბევრი ქირვარამისა და ტანჯვის (მეტადრე მორალურის) სიმწარემ შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს ადამიანი (თვითმკვლელობის ორი ტრაგიკული ამბავი ვიცი, ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მეორე კეთილშობილი ახალგაზრდა მშვენიერი ქალისა) და მიუხედავად ამისა, ვერ შეხვდებით გამწარებულ ქართველს, ვისაც სიძულვილი ღრღნიდეს სხვის მიმართ.

ქართველებს მხოლოდ ერთი სიძულვილი აწამებთ. სიძულვილი იმ ცბიერთა მიმართ, რომლებმაც მეგობრობისა და მშვიდობის ხელშეკრულების შემდეგ, ლაჩრულად, მოულოდნელად, სიტყვის გატეხით გადმოლახეს საქართველოს საზღვრები. შეესიენ ქვეყანას, მთლიანად დაიპყრეს, გაძარცვეს, დაანგრიეს, ამოხოცეს მამაკაცები, ქაბუკები, მოხუკები, ბავშვები.¹ სიძულვილი იმ მოღალატეთა მიმართ, რომელთაც წითლები მოიყვანეს.

¹ ცნობილია ერთი მრავალრიცხოვანი ოჯახის დედაბუდინად ამოწყვეტა

სამართლიანობის გრძნობამ, ამ ქვეყნის ტკივილების სრულმა გაგებამ უნდა დაგვაახლოვოს ჩვენ ამ მკირერიცხოვან ხალხთან, რომელსაც ასე ხშირად ჩაგრავენ და მინც ვერ მოტეხეს. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული უფრო მჭიდროდ შევკრათ სიყვარულს კავშირი ორ ქვეყანას შორის. საქართველოში იგი უკვე არსებობს. იქ ყველგან უყვართ საფრანგეთი, სოფლებშიაც და გლეხის უბრალო ქობშიაც კი. განათლებულ საზოგადოებაში ძლიერ არის დაფასებული ფრანგული კულტურა. როცა იმდროინდელმა ამიერკავკასიის მთავრობამ (ოზაკოშმა) თბილისში ფრანგს ნება დართო ფრანგული ლიცეუმი გაეხსნა, ამისათვის წინასწარ მომზადებულმა შენობამ მსურველთა რიცხვი ვერ დაიტია. გოგონები და ბიჭები ასობით მოდიოდნენ. ჩქარა ეს ლიცეუმი დედაქალაქის ერთერთი ყველაზე დიდი სასწავლებელი გახდა.

მართო ეს ფაქტიც მოწმობს რა პატივს სცემენ იქ ფრანგულ ენასა და კულტურას. როცა საქართველო განთავისუფლდება, ხელი უნდა შევუწყოთ ქართველებს, რომ მათ ჩვენი ენა ისწავლონ. ძალიან ჩქარა ფრანგული ენა იქნება ყველაზე პოპულარული და გამოყენებული, ქართული ენისა და ადგილობრივი დიალექტების შემდეგ. იგი იქნება დიპლომატიის ენაც, რომლითაც საქართველო ისარგებლებს მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობისას.

ცხადია, ბოლშევიკებმა მისკლისთანავე დახურეს ფრანგული ლიცეუმი. მისი დამაარსებელი და დირექტორი ამჟამად პარიზშია.

როგორც უკვე ავლნიშნე, ქართველ ხალხს საფრანგეთისადმი დიდი სიმპათია აქვს. ეს გრძნობა პასუხს მოითხოვს.

მართალია, ამჟამად საქართველო, ისევე როგორც კავკასიის დანარჩენი ნაწილი, „დახურულია“ წითლების მიერ, მაგრამ მაშინ, როცა იგი კვლავ აღიდგენს დამოუკიდებლობას. შეიძლება გახდეს ჩვენი მრეწველობის საინტერესო ბაზარი, ჩვენს კაპიტალს კი მომგებიანი დაბანდებანი მოუტანოს. სწორედ ფრანგულმა საზოგადოებამ დაიწყო წითლების მოსვლამდე, ალავერდში სპილენძის საბადოების

დამუშავება. ეს საბადოები ძალიან მნიშვნელოვანია. რა საჭიროა გავიმეოროთ ის, რაც ხშირად ხდებოდა სხვაგან? ჩვენი არყოფნით, ბევრი შეცდომით თუ უმოქმედობით საშუალება მივეცით სხვებს ესარგებლათ იმ უპირატესობით, რაც ჩვენ უკვე თითქმის ხელთ გვქონდა.

მოვლენები, რომელთაც გაიმბობთ, ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს. შეიცავს. საჭიროა აქედანვე მოვფინოთ ნათელი იმ ფაქტს, რომ სოციალისტურმა გამოცდილებამ სასიკეთო არაფერი მოუტანა საქართველოს.

ნურავინ შემედავება: სამშობლონიანი საქართველო უძღური იყო გამკლავებოდაო მტერს. არ შეეძლო დაემარცხებინაო დიდი რუსეთიდან მოსული ურდო.

ეს არგუმენტები რომ სწორი იყოს, მაშინ ვერც ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგალითად ლიტვა, ვერ ჩამოყალიბდებოდნენ დამოუკიდებელ ქვეყნებად და ვერც თავისუფლებას შეინარჩუნებდნენ. მეტსაც გეტყვით. ამ წიგნის მეოთხე თავში ერთი მაგალითი მომყავს. როცა აზერბაიჯანიდან წითელი არმია მოლაღატურად დაესხა თავს საქართველოს, ქართველმა მეომრებმა მარტო მოახერხეს უკუეგდოთ მტერი. წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. საქართველოს მთავრობის ბრძანება რომ არა — შეეწყვიტათ მტრის დევნა — უდავოა, ბოლშევიკები აზერბაიჯანიდანაც იქნებოდნენ გაძევებულნი და ვერც სომხეთში მოიკლალებდნენ. მოსკოვის თბოვნის გამოა რომ საქართველოს მთავრობამ გასცა ბრძანება, მტრის დევნა შეეჩერებინა და ქართული ბატალიონები თავის ტერაგორიაზე დაბრუნებულიყვნენ. ეს რომ არ გაეყეთებინათ, საქართველოს წითელი საშისროება მოსცილდებოდა. ამ სამი ერის ბლოკის მიმართ წითლები მომავალში მორიდებით განიმსკვალებოდნენ. დისტანციასაც დაიჭერდნენ. ეს რესპუბლიკები კი გააგრძელებდნენ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებას, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ: რუსი ბოლშევიკებისა და სრულიად რუსული მენშევიკების პარტიებს და ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერთი სათავე აქვთ: სრულიად რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ამ პარტიას 1903 წელს გამოეყვნენ დისიდენტები: ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით. მენშევიკები კი ერთგული დარჩნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მერე მენშევიკებიც ორად გაიყვნენ --- ინტერნაციონალისტებად, მარტოვის ხელმძღვანელობით და ნაციონალისტებად პლებანოვის მეთაურობით. ქართველი მენშევიკები კი სრულიად რუსული მენშევიკური პარტიის წევრები იყვნენ. ისინი ამ პარტიას მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოსცილდნენ.

ქართველი სოც-დემოკრატებისა და რუსული ბოლშევიკური პარტიის ეს საერთო სათავე იყო მიზეზი იმ დიდი იმედგაცრუებისა, რაც ქართველ სოც-დემოკრატებსა და ქართულ სოც-დემოკრატიულ მთავრობას მოუვიდა. ამ მთავრობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ხანგრძლივ მშვიდობიან ურთიერთობას დაამყარებდა რუსულ ბოლშევიკურ პარტიასთან. ამიტომ ყველა დათმობაზე მიდიოდა. ასე იყო მანამ, სანამ ხელთ არ ჩაუვარდათ მატერიალური საბუთი წითლების ორმაგი, თვალთმაქცური თამაშისა (იხ. გეკერის მოხსენებითი ბარათი მეხუთე თავში).

ბოლშევიკური ინტრიგების უდაო საბუთების მიუხედავად, თბილისში მოკალათებული 300 კაციანი საბჭოთა დელეგაციის მიუხედავად, რაც ნამდვილად პროპაგანდისტებისა და ჯაშუშების ბუდე იყო, საქართველოს მთავრობა ვერაფერს ზედავდა და ბრძმასავით იქცეოდა.

ამ მთავრობას თვალი არ აეხილა არც მეორე მოულოდნელი თავდასხმის, წითელი ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის, ხოცვა-ჟლეტისა ამ ქვეყანაში და დატრიალებული უბედურების (მაგალითებს ქვემოთ მოვიყვან) შემდეგაც, როცა 1924 წლის აჯანყების ჩახშობა დაიწყო და ქართველთა სისხლი უხვად დაიღვარა, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ 1924 წლის 6 სექტემბერს



დეპეშა გაგზავნა მოსკოვში: „მოსკოვი, კრემლი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს“, რომელსაც შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ქართველი ხალხის სახელით გთავაზობთ შეაჩეროთ სამხედრო ქმედებანი და რუს ქართველთა კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყვიტოთ. საფუძვლად გამოვიყენოთ 1920 წლის 7 მაისის ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება. ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ ჩვენ მზად ვართ დამატებითი ხელშეკრულებები დავდოთ, რაც გარანტია იქნება თქვენი ეკონომიკური და კომერციული ინტერესებისა საქართველოში“.

ვინ იცის, რამდენი იცინეს ბოლშევიკებმა ამ დეპეშის წაკითხვისას! 1925 წლის 29 იანვარს სოციალისტმა დეპუტატმა რენოდელმა დეპუტატთა პალატაში მოხსენება გააკეთა. მან აღწერა ეს ქვეყანა, როგორც სოციალისტური (მეორე თავში უარყოფ ამ მცდარ ბტკიცებას) და შემდეგი რამ თქვა:

„იმ ექვსი კვირის განმავლობაში, რაც გათვალისწინებული იყო გენერალ გეკერის მოხსენებით ბარათში (რა ხაზგასმული ზრდილობაა ამ წითელი უფროსის მიმართ! — რ.დ.) ქართულ მთავრობას, როგორც უკვე ითქვა, ძალაუფლება აყრილი ჰქონდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო. სჯეროდა რა იმის, რომ ხალხი მას დაუჭერდა მხარს ჯერ კონსტანტინეპოლში და მერე ევროპაში ჩასვლისთანავე, ქართულმა მთავრობამ ხმა აიმაღლა და პროტესტი განაცხადა იმ შემოსევის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველო დაიმონა.“

ქართულ მთავრობას თავში აზრად ირ მოსვლია, რომ სოციალისტებსა და ბოლშევიკებს შორის, რომელნიც აგრეთვე პრეტენზიას აცხადებენ სოციალისტებზე ვართო, შეუძლებელი იყო ხელშეკრულებათა საფუძვლზე ურთიერთგაგება.

საქართველოს ყოფილმა მთავრობამ რამდენჯერმე სცადა მიემართა სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულებებისათვის, განსაკუთრებით ევროპის მუშებისა და მათი ორგანიზაციებისათვის და ნაირ-ნაირი ინტერნაციონალისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ბნი უორდანი 1921 წლის მაისში ამბობდა:

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ არბიტრაჟი, ოღონდ წითელი არმია

ლ.ბ. რეზ (1) 5079

საქართველოდან გავიდეს (ეს ამ დოკუმენტის დასკვნაა). რუსეთის მთავრობამ მისცეს საშუალება და უფლება ქართველ ხალხს, თვითონ განაგოს საკუთარი თავი და ცხოვრება. თავისი სახელმწიფო მოაწყოს საკუთარი სურვილით. თავად ქართველ ხალხს დაეკითხოს!“

„ქართველები ფარ-ხმალს არ ყრიან. 1923 წლის 5 იელისის ისინი სთავაზობენ — კომუნისტებისა და დასავლეთის სოციალისტების წარმომადგენელთა თანაზიარი რაოდენობით შედგენილი კომისია ჩავიდეს საქართველოში. მან ადგილზე განიხილოს ვითარება და გამოავლინოს ხალხის ნამდვილი ნება სურვილი.“

— ჩვენ თანახმანი ვართ — ამბობდნენ ისინი, — რომ კომისიამ მთელი ერის აზრი კი არ გაიგოს, არამედ მხოლოდ ბუშებისა და გლეხების, ე. ი. იმათი, ვისაც საბჭოთა კონსტიტუციით აქვთ არჩევნების უფლება და, ბოლშევიკების მტკიცებით, ქვეყნის ბატონ-პატრონი არიან.“

დაბოლოს რენოდელი ასკვნის:

„ზედმეტია იმისი თქმა, რომ ამ ბოლო მოთხოვნაზეც არ ყოფილა დადებითი პასუხი, როგორც 1921 და 1922 წლების მოთხოვნებზე.“

ზღაპარია ეს ყველაფერი!

ასევე ზღაპარი იყო წითელი გვარდიიდან, მერე სახალხო (ეროვნული) გვარდია რომ უწოდეს, ჩამოეყალიბებინათ კორპუსი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დაცვას შესძლებდა.

ეს გახლავთ ერთგვარი პრეტორიანული გვარდია, რომლის ემბლემა წითელი დროშა იყო. ამ წითელ გვარდიას მილიციის ფუნქცია ჰქონდა. მას წესრიგი უნდა დაეცვა იმ დროს, როცა რუსი ჭარისკაცების რაზმები ამიერკავკასიას სტოვებდნენ; ამავე დროს დასავლეთის ფრონტიდან სამშობლოში ქართველი ჭარისკაცები თანდათანობით ბრუნდებოდნენ. მათი ერთი ნაწილი ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენის ქვეშ იყო. ამ ვითარებაში გვარდიამ ქვეყანას რეალური სამსახური გაუწია: წესრიგი დაამყარა.

იმასთან დაკავშირებით, რომ კარგად თუ ცუდად (უფრო ცუდად, ვიდრე კარგად) იქმნებოდა რეგულარული არმია, გვარდიის როლი უნდა შემცირებულიყო. არმიის შექმნას მთავრობა სათანადო

ყურადღებას არ აქცევდა. ჭერ ერთი იმიტომ, რომ უფრო წითელი გვარდით იყო დაინტერესებული და, მეორეც იმიტომ რომ, თუ ქვეყანა მართლაც სოციალისტური გახდა, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, არმია, როგორც ხელისუფლების დასაყრდენი საჭირო აღარ იყო.

წითელ გვარდიაში რეალურად არაავითარი წესრიგი არ ყოფილა. იყო „საკუთარი გუნება-განწყობილების დისციპლინა“. ეს დახავსებული ხუმრობა ზოგიერთის ტვინზე შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან თავისთავი ჰუმანისტი ჰგონია. გვარდია იყო სრულიად არაეფექტური ორგანიზმი. მას სათანადოში პატარა „საბჭო“ ედგა. იგი მალაღჭარბოვნად „გვარდიის შტაბად“ იწოდებოდა. თუ აუცილებელი გახდებოდა ამ გვარდიის რამოდენიმე ბატალიონის ერთად მოქმედება, არცერთი ოფიცერი არ იყო წინასწარ გამოყოფილი, რომ მათთვის ეხელმძღვანელა. უმეტეს შემთხვევაში ოფიცრები ჯარისკაცების საერთო კრების მიერ ინიშნებოდნენ და ისიც არაპროფესიონალები. თუ პროფესიონალი ოფიცერი დაინიშნებოდა გვარდიის რომელიმე ერთეულის მეთაურად, გამუდმებით უსიამოვნებანი ხდებოდა ამის გამო. გვარდიის უდისციპლინობა და თავაშვებულება საუკეთესო პროფესიონალ ოფიცრებზეც კი ცუდად მოქმედებდა.

მართალია, უამრავი მაგალითის მოხმობა შემიძლია, მაგრამ აქ ვწყვეტ გვარდიაზე ლაპარაკს. ერთი სიტყვით, ქართულ გვარდიას ჰქონდა არა მარტო ყველა ეპოქის ეროვნული გვარდიის ხარვეზები, არამედ ნელ-ნელა შეიძინა სოციალისტური გვარდიის მანკიერებანიც.

ამის ბრალი იყო ის, რომ თუ გვარდია დღისით კარგად იბრძოდა (მასში ბევრი მამაცი ქართველი მსახურობდა), ღამით მის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მომდევნო ფურცლებზე ამის მაგალითებს ჩამოგივლით, მათ შორის ერთ სამწუხარო ფაქტსაც.

მე განზრახ ვცვლი გამოთქმას „ეროვნული გვარდია“ „პრეტორიანული გვარდით“. მართლაც, წლების მანძილზე, როცა მთავრობა რიცხობრივად ცდილობდა გაეზარდა თავისი პრეტორიანული გვარდია (მილწია კიდევ 23 ბატალიონს), მოხალისეები სულ უფრო და უფრო კლებულობდნენ. მათი რაოდენობა ნამდვილად უმცირესი იყო. ეს კი

გასაკვირია ქვეყნისათვის, რომელიც ცნობილია, როგორც „სოციალისტური“.

სანამ თხრობას გავაგრძელებდე, ერთი რამ აუცილებლად უნდა დავაზუსტო: ჩემი კრიტიკა არ ეხება არც ცხენოსან დანაყოფს და არც არტილერიისას. მართალია, ქალაქდღე ისინი გვარდიის ნაწილებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში იყვნენ ჩვეულებრივი საჯარისო პოლკები. გვარდიის შტაბმა ვერ მოახერხა კავალერისტებისა და არტილერისტების მოძებნა და ამიტომ ისინი მხოლოდ ქალაქდღე არსებობდნენ (სოციალისტურ პრეტორიანულ გვარდიას კავალერისტები და არტილერისტებიც ხომ სჭირდებოდა!). შემდგომში ზოგიერთი იტყვის — გვარდია მშვენივრად იბრძოდაო, როგორც დღისით, ისე ღამით და მაგალითად მოიშველიებს ცხენოსნებისა და არტილერისტების მოქმედებებს. ეს კრ, როგორც ვთქვი, არმიის პოლკები იყო, ხელოვნურად რომ შეიყვანეს გვარდიაში. ისინი მართლაც ვაჟაკურად იბრძოდნენ.

სანამ პრეტორიანული გვარდიის საველადო სიუჟეტს დავამთავრებდე, მინდა მკითხველს გაეაცნო ერთი დოკუმენტი. იგი დაწერა ერთმა ჩვენმა თანამემამულემ, კარგმა დამკვირვებელმა, რომელმაც რამდენიმე წელი დაჰყო საქართველოში.

პარიზი, 17 აგვისტო, 1926

„ბატონო,

თქვენ გაინტერესებთ ჩემი აზრი ქართულ ეროვნულ გვარდიაზე. მე იგი ვნახე მოქმედებაში, დავასკენი, რომ როგორც სამხედრო ძალა, გვარდია არარაობაა. თავისი უდისციპლინობითა და მოშლილობით იგი ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ პროფესიონალ სამხედროებზე, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა.

მოკლედ მე იმისი მოწმე ვიყავი, რომ გვარდია უძღური აღმოჩნდა მომსახურებოდა საფრთხეში ჩავარდნილ საქართველოს.

იმასაც თუ დავამატებ, რომ ეს „არმია“ დასაწყისში ატარებდა წითელი გვარდიის სახეს, თქვენ მაშინვე მიხვდებით — მას შეეძლო მხოლოდ ყოფილიყო საფრთხობელა ქართველი „ბურჟუებისა“ და გლეხებისათვის. სხვა ქვეყნების მსგავს ფენებთან შედარებით.

ქართველი „ბურჟუები“ და გლეხები ბევრად უფრო გამოუსწორებელი კონსერვატორები არიან. მათ მხოლოდ ერთი მისწრაფება აქვთ: რაც შეიძლება მეტი შეიძინონ თავისი დღიური მუშაობით. ამას კი არაფერი აქვს საერთო „ორგანიზებული პროლეტარიატის“ რვა საათიან სამუშაო დღესთან.

ისიც უნდა გითხრათ: ამ გვარდიის უფროსად დაინიშნა სამედიცინო ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი. იგი პოლიტიკაში ჩაება და, ცხადია, არავითარი სამხედრო განათლება არ ჰქონდა.

უბრალო მილიციელი აღკურვილი იყო უფლებით რაიმე შემთხვევის გამო დაევირა რეგულიარულა არმიის ოფიცერი, მაგრამ წითელი გვარდიის რიგითი წევრის ხელის ხლება ცუდ შედეგს გამოიღებდა.

ძალიან ლმობიერი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ გვარდიის რაზმებმა უხალისოდ იბრძოლეს საბჭოელების (რომელიც მათზე წითელი იყო) წინააღმდეგ.

სანამ ჩემ წერილს დავამთავრებდე, კიდევ ერთ დეტალს მივუთითებ: როცა საქართველოს თავისი ეროვნული დროშა ჰქონდა, იმ დროს ქართული გვარდია ერთ ემბლემას ატარებდა — წითელ ჭინქს!

სანამ დემავოგია სამოქალაქო პირს ღრღნის, ქვეყანას გაძლების შანსი აქვს. მაგრამ, როცა დემავოგიის განგრენა არმიას დაასწეულებს, ვითარება ტრაგიკული ხდება.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი ღრმა პატივისცემა
ხელმოწერილია პატრის.

* * *

ქართველმა თავადმა ზურაბ ავალიშვილმა, რომელიც ბოლშევიკების სახელმწიფო გადატრიალებამდე, საერთაშორისო სამართლის პროფესორი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, ამას წინათ, უალრესად საინტერესო წიგნი დაწერა — „საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო პოლიტიკა 1918-21 წწ.“ ამ წიგნის შესავალიდან მომყავს შემდეგი ნაწყვეტები:

1) საბჭოთა წყობილებისაგან განსხვავებით საქართველოს სოც-დემოკრატიის ხელმძღვანელები თავის ქვეყანას დემოკრატიულს

უწოდებდნენ. სინამდვილეში კი საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნებს. ამ დემოკრატიის გარეგნული ფორმებით აქ იფარგლებოდა საქართველოს სოც-დემოკრატიული პარტიის დიქტატურა...

მაგრამ გარემოების კვალობაზე, საკმაოდ მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განხორციელებას ახლდა პარტიული დოქტრინისაყენ უზომო გადახრა... ამასთან საქართველოს მთავრობის ამგვარი ხასიათი თანდათანობით კი არ სუსტდებოდა, არამედ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა თითქოს წარმოსახა სახალხო ერთიანობის სურათი და ქვეყანას შეჰპირდა ეროვნული პოლიტიკის გატარებას. 1921 წლის დამდეგს კი საქართველოს თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით ჰყავდა პარტიული ორგანიზაციის კრეატურა, რომელიც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელი დოქტრინორობით დაულაღვად და სიჭიუტით დღენიდავ ამცრობდა მაინცდამაინც თავისივე არსებობისა და მომავლის საფუძველს.

საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი.

ეს შემთხვევით როდი ხდებოდა. რევოლუციიდან გამოსული საქართველოს მთავრობა უფრო მეტად მაინც სოციალური დემაგოგიის მთავრობა იყო, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის ორგანო. მას მართებდა, და ადვილიც იყო, რომ სწორედ ასეთ ორგანოდ ქცეულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა.

მემამულეთათვის ანგარიშის გასწორება იყო არსებითად ამ მთავრობის მთავარი მისწრაფება.

...მოკლედ, საქართველოს აგარაული პოლიტიკა არც ევროპისა და მისი სამოქალაქო კონდექსებისაგან იყო გადახრილი და არც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს უბამდა მხარს. სულმოკლეობისა და მიუხვედრებლობის¹ გამო ყოველ ჟამს

¹ საქართველოს სოც-დემოკრატიულ მთავრობას ეხება.

მოსალოდნელი შემოჭრის საპასუხოდ, საერთოდ არ მოუწადინებია შეიარაღებული ძალების ორგანიზება; ამასაც საქართველოს მთავრობის ძირითადი დოქტრინა განაპირობებდა — კლასობრივი ბრძოლისა და ძალისმიერი სოციალური გადანაწილების დოქტრინა, და სწორედ ამან შეუშალა ხელი მას ეროვნულ მთავრობად გადაქცევაში.

აგარაულმა რეფორმამ ერთნი გააღატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მიწა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან სავალდებულო სამხედრო სამსახური არ დაუკისრებია. ამის გამო უაღრესად გაჭირდა პატარა არმიის შექმნაც კი — იმ ქვეყანაში, სადაც მრავლად ჰყავდათ მწყობრის ოფიცრები, და — იმ ხალხში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მხედრული სიქველით მოეხვევა სახელი.

...საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია საფუძველშივე რომ არ არსებობდა — აი სწორედ ამ შინაური ვითარების კარგმა ცოდნამ უკარნახა მოსკოვის მთავრობას „ბოლო მოვლო საქართველოსათვის“, როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა.“

მეორე მხრივ, გვიხსნის ავტორი, ქართულ მასას „ღზრდიდნენ“ და თავს უტენიდნენ იმგვარი იდეებით, როგორცაა კლასთა ბრძოლა, მიწების კონფისკაცია და ა. შ.

„რალა გავლენა უნდა ჰქონოდა მაშინ თბილისელი მედავითნეების მთელ ამ სქოლასტურ შენიშვნებს, თავისებურ ახსნა-კომენტარებს, თუკი მათივე დევიზები მკაფიოდ იხატებოდა შემოჭრილი ჯარების ბაირაღებზე, ხოლო გულში ჩამჯდარი რუსეთის ძღვევამოსილების პრესტიჟი იმ წითელი დროშით იმოსებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ შექხაროდნენ“

უკანასკნელ მომენტში ქვეყანა-ერის დაპირისპირება შემოჭრილ უცხოელთა წინააღმდეგ — საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების ქარგონიდან უეცრად პატრიოტიზმისა და ეროვნული ეგზალტაციის ენაზე გადასვლა — დაგვიანებული და უიმედო იყო. 1918 წლიდან ამ მხრივ თუნდაც რომ საშუალო სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გამოეჩინათ, სულაც არ იქნებოდა საჭირო ეს ანაზღეული და ესოდენ ფუჭი და უსარგებლო მოწოდებანი...

ჰოდა; მოხდა კიდევ ის, რაც გარდაუვალი და საბედისწერო იყო: ქართული დემოკრატია დაემხო სწორედ იმ მომენტში, როცა იგი, თვითკმაყოფილი და თავდაჯერებული, შემოჭდა თავის პარტიული გამორჩეულობის დიდად მოწონებულ ლავგარდანზე და 1921 წლის იანვარში, საქართველოს დამოუკიდებლობის სრული საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ელოდა უფრო სრულად და არხეინად დამტკბარიყო თავისი, ბევრ რამეში ფასეული შრომის ნაყოფით. აი, სწორედ ამ მომენტში მეთქი, სულ იოლად გადაუშვეს ძირს.

ღირს განა, დავუმატოთ, თუ როგორ უწყობდა ამას ხელს სრული უუნარობა იმისა, რომ მეზობლებთან სადავო საკითხების მოგვარების, მათთან ჯეროვანი კავშირის განხორციელების ტემპი შეეთანხმებინათ ისტორიის გამალებული რიტმისათვის? ანდა ესეც დავუმატოთ: სამწლიანი, ბევრ რამეში წარმატებული, საგარეო პოლიტიკის შემდეგ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი აღმოჩნდა სრულიად იზოლირებული. თანაც მოსკოვისა და ანგორის მუდმივი დარტყმის მუქარის ქვეშ?

...აქ საკმარისია ამ მთავარი ხაზების მონიშვნა, რათა დავებრუნდეთ ისტორიული კერეტის სტილს და ვთქვათ, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატია, რომელიც სოციალ-დემოკრატების დიქტატურის ე. ი. მემარჯვენე ფრთის მარქსიზმის ფორმა იყო, წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს. სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსითა და თავისი სულისკვეთებით ეს დემოკრატია, თუმცა მის წიაღში აშკარად იღვიძებდა ხალხის შეგნება, სინამდვილეში მოსკოვისაკენ იყო მიმართული და არა ევროპისაკენ; და ამით იქმნებოდა ის ძირეული წინააღმდეგობა მისსავე საგარეო პოლიტიკის იმ ევროპულ ორიენტაციასთან, რომელსაც საქართველო დაბეჭითებით მიჰყვებოდა 1920 წლის გაზაფხულამდე.

როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო მაგიდაზე დააწვინეს და ნაცადმა დასტაქარმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, სასტიკი ოპერაცია ჩაუტარა, ამ ქირურგმა იცოდა, რომ პაციენტი ქლოროფორმით დაბანგა და საოპერაციოდ მოამზადა საქართველოს

სოციალ-დემოკრატიის ასევე გამოცდილმა, თუმცა ნაკლებად კადნიერმა ხელმა.

ის, რაც პოლიტიკურად და სუბიექტურად იყო ბრძოლა და გადატრიალებად აღიქმებოდა, ისტორიულად და ობიექტურად აღმოჩნდა მარტივ განაწილებად და ფაზათა მონაცვლეობად.“

თუ მე დაეინებით ვუსვამ ხაზს, რომ საქართველო იყო მსხვერპლი სოციალისტური გამოცდილებისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მინდა ქვა ვესროლო მის შთავაზობას, მის თავმჯდომარეს, რომელიც ამჟამად პარიზშია გადმოხვეწილი. არა, ეს აზრადაც არ მომსვლია.

პირიქით, ვაღიარებ: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ იმავე პარტიას, რომელიც მერე ბოლშევიკურად გადაიქცა, რომ ისინი სრულიად რუსულ მენშევიკურ პარტიას ჩამოსცილდნენ მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გარდატეხის მნიშვნელოვანი გზა გაიარეს. მათ პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა არსებითი ევოლუცია განიცადეს. მათი იდეები, გრძნობები, კონცეფციები უფრო და უფრო ეროვნული ხდებოდა. იმ ტანჯვა-წამებამ (ახლაც იტანჯებიან) რაც მათმა სამშობლომ გადაიტანა, დააჩქარა ქართული სოციალ-დემოკრატიის ევოლუცია. ამ ბოლო დროს, სოციალ-დემოკრატებისაგან შემდგარმა ქართულმა მთავრობამ მოუწოდა საქართველოს სხვა პარტიებს (განსაკუთრებით ეროვნულ პარტიას) გაერთიანებისა და ერთად თანამშრომლობისაკენ სამშობლოს მომავლისათვის.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ამაშია ამ ქვეყნის ხსნა, ქვეყნისა, რომელსაც როცა კარგად გაიცნობ, შეუძლებელია არ შეგიყვარდეს. ხსნა არის „სალმრთო კავშირში“.

იმ დღეს, რა დღესაც ბოლშევიკური ურჩხული მიწაზე დაენარცხება, ყველა ღონე უნდა იხმარონ საქართველოში ნორმალური პირობების აღსადგენად. უნდა გაერთიანდეს სახელმწიფო საქმეების ცოდნა (რისი გამოცდილებაც აქვთ სოციალ-დემოკრატებს), ეროვნული პარტიების გავლენა და პატრიოტული ენერჯია.

აქვე უნდა მოვიყვანოთ საგულისხმო სიტყვები, რომელნიც მითხრა სოციალ-დემოკრატიული ~~პარტიის~~ პარტიის წევრმა, ვისთანაც მივედი ზოგიერთი საბუთის გასაცნობად:

„თქვენს სტატიებში¹ ჩემს პარტიას არა ერთხელ დაესხით თავს. მაგრამ არა უშავს საქმე ამჟამად პარტიას აღარ ეხება. თქვენ ჩემი სამშობლოს, საქართველოს დასაცავად სწერთ. აბა, ამაზე მეტი რაღაა საჭირო... დიდ მადლობას მოგახსენებთ.“

რა გულწრფელი და აღელვებული ტონით იყო ნათქვამი ეს უბრალო სიტყვები: „აბა ამაზე მეტი რაღაა საჭირო!...“

* * *

მაშ ასე: უნდა შეიქმნას საღმრთო კავშირი ყველა ქართველს შორის. მაგრამ ეს არ კმარა. უფრო ფართო კავშირია საჭირო, კავშირი კავკასიის ყველა ხალხებს შორის. ეს მიიძღულებს რამდენიმე სიტყვა დავამატო კავკასიაზე. უკვე დროა კავკასიის საკითხი დღის წესრიგში დაისვას. თუ კავკასიის საკითხი სათანადოდ გადაწყდება, ეს იქნება მშვიდობის, კომერციის, ეკონომიკის განვითარების დიდი გარანტი ახლო აღმოსავლეთში.

თავისი ადგილმდებარეობით კავკასიის ყელი თითქოს მოწოდებულია მშვიდობიანი როლი შეასრულოს საერთაშორისო ურთიერთობებში. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. საუკუნეების განმავლობაში იგი ბრძოლის ველი იყო და ასეთადვე დარჩა დღემდე.

კავკასიის პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა, როგორც ჩანს, ამ ყელის ნეიტრალიზაციაში მოიხანს; ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით, რამაც სხვა შემთხვევაში უკვე გაამართლა.

მეორე მხრივ ჩნდება ეკვი. სახელმწიფოთა ეს კონფედერაცია, შემდგარი ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯან-

¹ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ლონდონის ანტიბოლშევიკურ და ანტისოციალისტურ თამამ უიველკოუელს "The Patriot", რომელმაც ასე თავისიანად და უხვად დამოთხო ადგილი თავის ფურცლებზე ჩოთაც ხელი შეუწყო ჩემს კამპანიის საქართველოს დაცვის საკითხში.

ნისაგან, ანუ ტერიტორია დასახლებული ქართველებით, სომხებით, აზერბაიჯანელებით, დაღესტნელებით, ყაზარდოებით, ოსებით, ინგუშებით, ჩეჩნებით — იქნება კი სიცოცხლისუნარიანი?

ფიქრობ, იქნება. კავკასია მკვეთრად განსხვავდება რუსეთისაგან. ეს იმდენად ცხადია, რომ ცარიზმის რეჟიმის დროს, იგი ყოველთვის ქმნიდა კავკასიის სამეფისნაცვალს. ორ ზღვას შუა მდებარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი კავკასიის ყელი ცხადად გამოხატულ გეოგრაფიულ ერთიანობას წარმოადგენს. ამასთან ერთად, მას ეკონომიკური ერთიანობაც აქვს. დაბოლოს, კავკასიაში მცხოვრებმა ხალხებმა, უკანასკნელ წახანებში, ნათლად გამოხატეს თავისი ნება — ჩამოსცილებოდნენ რუსეთს. არც ეკონომიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით კავკასია არ უკავშირდება რუსეთს. ამდენად, მისი რუსეთთან მიერთება უაზროა. დაახლოებით 12 მილიონი მაცხოვრებელით კავკასია შექმნიდა ძლიერ, სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის აუცილებლობა უკვე იგრძნობა ახლო აღმოსავლეთში.

ნორმალურად რომ იცხოვრონ და განვითარდნენ, კავკასიის ერებს ერთნაირად სჭირდებათ დამოუკიდებლობა. ევროპისა და მსოფლიოს ინტერესიც ის არის, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას კავკასიის კონფედერაციული სახელმწიფო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასეთი სახელმწიფო იარსებებს, დიდად შეამცირებს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების შესაძლებლობას. ამ სახელმწიფოს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე დიდ იმედებს აღუძრავს მსოფლიო ეკონომიკას.

მივმართავ იმათ, ვინც წაიკითხავს შემდგომ გვერდებსაც — რომლის დასაწერადაც უამრავ სარწმუნო და სერიოზულ საბუთს ვეყრდნობოდი — არ იფიქრონ, რომ საქართველოში სიმშვიდე სუფევს; რადგან ბოლშევიკების უღელი დაადგეს, განუკითხავი და უსამართლო დაქვრები, გადასახლებები და დახვრეტები შეწყდა. შეცდება ის, ვინც ასე იფიქრებს. პირიქით, ყველაფერი გრძელდება.

როგორც წითლების შიერ დაპყრობილ ყველა ტერიტორიას, ისე საქართველოს და მთელ კავკასიას ჩეკა განაგებს. ის არის აბსოლუტური ბატონ-პატრონი. მართვის მეთოდები ყველგან ერთი და იგივეა; შეიცვალა მხოლოდ სახელი (ამ წითელ ინკვიზატორს ახლა გეპეუ ჰქვია). იმდენი დააპატიმრეს, იმდენი აწამეს, იმდენი გაყლიტეს, რომ ახლა ნაკლები მსხვერპლი გვეჩვენება. ეს არის და ეს. მაგრამ ის კი უნდა ვიცოდეთ, რომ რეპრესიები გრძელდება, თუმცა ჩვენამდე იშვიათად აღწევს წითლების ახალი დანაშაულებრივი ამბები. ჩეკისტური ადმინისტრაცია ჩუმად მოქმედებს. იმასაც უთვალთვალებს, რომ სხვებიც ჩუმად იყვნენ.

როგორც არ უნდა ფრთხილობდნენ ბოლშევიკები — დამალონ თავიანთი დანაშაული — დრო და დრო ჩვენამდე მაინც მოდის ცნობები და ახსენებს ცივილიზებულ სამყაროს, რომ იქ წითელი ტერორი ისევ მძვინვარებს. მაგალითად გასულ მარტს პარიზის პრესაში ნახავდით ცნობას: „თბილისის მუშათა წრეებში დიდი მღელვარებაა. მათ გაიგეს, რომ ქალაქის ჩეკამ ციხეში მოკლა ბ-ნი ილიკო მახარაძე, ქართველი სოციალ-დემოკრატი. მას ბრალად ედებოდა ანტიბოლშევიკური კომიტეტის სხდომაზე თავმჯდომარეობა. ეს კომიტეტი თბილისის მუშების შექმნილია.“

არანაკლებ მნიშვნელოვანია თბილისის უნივერსიტეტის ამბავი. თბილისის უნივერსიტეტი იყო ინტელიგენციის, ნამდვილი ქართველი პატრიოტების უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. აქ დაახლოებით ხუთი ათასი სტუდენტი სწავლობდა ხუთ ფაქულტეტზე. ლექციები ქართულად ტარდებოდა. უნივერსიტეტს უძღვებოდა რექტორი, თავადი ჭავჭავიძე. სანამ წითლები სხვა, უფრო საჩქარო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი, პროფესორებს საშუალება ჰქონდათ ჩაეტარებინათ ლექციები, სტუდენტებს კი ესწავლათ. წითელი დიქტატურის დროს, ცხადია, ნორმალური ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ივლისის თვეში თავადი ჭავჭავიძე უნივერსიტეტიდან გააგდეს. იგი შეცვალა ბოლშევიკების სამსახურში ჩამდგარმა ვინმე ლლონტმა, გაუნათლებელმა კაცმა, რომელიც, ახალგაზრდობაში, სტუდენტიც კი არ ყოფილა.

პედაგოგებს ებრძანათ ლექციები რუსულ ენაზე ჩაეტარებინათ, იმ ცრუ საბაზით, რომ სტუდენტები კარგად დაუფლებოდნენ რუსულს და სწავლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში მუშაობის საშუალება ექნებათო. ამასაც არ დასჯერდნენ — უნივერსიტეტის საბჭოში ჩეკისტი შეიყვანეს. თბილისის უნივერსიტეტის მმართველობა ჩეკამ ჩაიგდო ხელში.

როგორც ემიგრანტი ქართველების მიერ მიღებული ცნობები გვაუწყებს, ამ ცინიკურმა ქმედებებმა სტუდენტთა შორის დიდი რეაქცია და საშინელი აღშფოთება გამოიწვია, აღელვებული ახალგაზრდობის დასაშოშმინებლად თბილისის უნივერსიტეტში წითელი რაზმები შევიდნენ. ამბობენ, მოკლულია 13 კაცი და დაჭრილიაო სამოცზე მეტი.

ყველასათვის ცნობილი უნდა გახდეს ამ მცირერიცხოვანი ხალხის ტანჯვა, მისი წამება, მიხი შეუღრეკელი სიმაძაცე, განცვიფრებას რომ იწვევს.

დაუფიქრდეთ იმ სიტყვებს, რომელიც ბ-მა ბრიუკერმა (ბელგია) წარმოთქვა 1922 წლის 20 სექტემბერს ერთა ლიგის მეექვსე კომისიის მეორე სხდომაზე: „ქართული საკითხი არ ეკუთვნის იმ თეორიულ პრობლემათა რიცხვს, რომელიც შეიძლება გვერდზე გადადო. მართალია გენუამ ყური არ ათხოვა მას, მაგრამ ეს საკითხი დღესაც დგას და ყოველთვის დაისმება.“

სექტემბერი 1926 წ.

თავი I

პატარა ქრისტიანული კუნძული

„ბედის ამდენი უკუღმართობის მიუხედავად, ქართველებმა შეინარჩუნეს ძველი სახე და ეთნიკური ერთობა. ეს დასტურდება იმ საგნებით, ამ ბოლო ხანებში სამარხებში რომ იპოვნეს არქეოლოგებმა. ისინი ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნით თარიღდება. ქართველებმა მოახერხეს აგრეთვე საკუთარი ენის შენარჩუნება.“

მიხეილ თამარაშვილი — „ქართული ეკლესია“.

პატარა, მაგრამ მამაცი ხალხის ქვეყანა — საქართველო — შავი ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. აღმოსავლეთით, კასპიის ზღვისაგან მას დაღესტანი და აზერბაიჯანი ჰყოფს. სამხრეთ-დასავლეთით კი ის ტერიტორიაა, რომელიც ერზერუმის (არზრუმის) და ტრაპიზონის რაიონების ჩრდილოეთით არის (ეს რეგიონი ანექსირებული იყო თურქების მიერ). ეს მიწა-წყალი ქართული უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ალექსანდროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშლილი მცირე ზომის დაბლობი. ამასაც იგივე ბედი ეწია, რაც არძკინის, არდავანის და არტანუჯის ოლქებს. ისინი თურქებმა 1921 წელს დაიპყრეს.

საყურადღებოა აღინიშნოს: მართალია ზემოხსენებული მოსახლეობა დედა-სამშობლოს მოწყვეტეს, მუსლიმანური რელიგია მიადებინეს, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა ადათ-წესები, ენა, დამწერლობა. შეინარჩუნა ქართველებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი,

რელიგიის გარდა. ისინი დარჩნენ მკვეთრად გამოხატულ ქართველებად.

ქართველების ეს რეგიონი რითაც ხასიათდება, იგივე შეიძლება ითქვას ყველა ქართველზე. მათი ქვეყანა ისე ხშირად იყო დაპყრობილი, ანექსირებული, გაძარცული, განადგურებული, ცეცხლში გადაბუგული, სისხლში დამხერჩალი, რომ საკვირველია ამდენ განსაცდელში როგორ შეინარჩუნეს ხელუხლებლად ზნე-ჩვეულებანი, ენა, ეროვნული გრძნობა, დაუოკებელი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. უფრო მეტიც: როგორ ახერხებდნენ უკუეგდომთ დამპყრობელი — იყო ეს ალექსანდრეს არმია თუ სპარსელები, მონღოლები თუ თათრები, არაბები თუ ხაზარები, ერთ მომენტში ბერძნებიც კი...

გავიხსენოთ: მარტო მონღოლებმა საქართველო 13-ჯერ დაიპყრეს. მათ შორის თემურ-ლენგის შემოსევაც იყო. გასაკვირია, ისეთი მტრებიც კი, როგორც იყვნენ მონღოლები, თურქები, პატივს სცემდნენ ქართველებს. ეს იმ დროს, როცა სხვა მეზობელი ხალხების მიმართ ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი. საოცარია ქართველებისადმი ეს პატივისცემა მათი ყველაზე დაუძინებელი მტრების მხრიდან.

* * *

ჩრდილოეთისაკენ ქართველები ჩვეს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში დაიძრნენ. ისინი კავკასიის სამხრეთით დამკვიდრდნენ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ადრე კი შუამდინარეთის გვერდით სახლობდნენ.

ქართველთა რიცხვი სამ მილიონს აღწევს. ისინი სლავურ რასას არ ეკუთვნიან. მათ აბსოლუტურად უცნობი სათავეები აქვთ. ასევე უცნობია მათი ენის წარმომავლობაც. ამ მხრივ ისინი შეიძლება შევადაროთ ეტრუსკებს და ბასკებს.

საქართველო ანტიკური ხანიდანაა ცნობილი. იგი იმ ტერიტორიას მოიცავს, ადრე კოლხეთის სახელით რომ იცნობდნენ. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ კოლხეთში ჩამოვიდნენ ოქროს საწმისის წასაღებად.¹

¹ ეს რეგიონი სამცხეცაა. იგი დროის ჩრდილოეთით მდებარეობს. ბერძნები დროს ფაზის უწოდებდნენ.

როგორც ყველა ლეგენდაში, არგონავტების მითშიც არის ქეშმარიტების მარცვალი. ფინიკიელები მამაცი მეზღვაურები იყვნენ. კოლხეთს კარგად იცნობდნენ. დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ და ხშირი მიმოსვლით გაცხოველებულ კომერციას აწარმოებდნენ. იქვე ყიდულობდნენ ოქროს, ვერცხლს, კალას, ტყავს, წითელ საღებავს და ა. შ. ამ მხარეში ჩამოვიდნენ არგონავტები, ანუ ბერძნები, კოლხეთის მეფე რეტა პირველთან სტუმრად.¹

საქართველოს ძლიერი დამპყრობლები ებრძოდნენ. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ კიროსი, რომელიც თავის არმიასთან ერთად განადგურდა, დარიოსი, ალექსანდრე და მისი მხედართმთავარი აზონი. აზონი დაამარცხეს და მოკლეს ქართველებმა. რომაელებმა ნელნელა მოახერხეს ქართველების დამორჩილება. ვის არ ახსოვს მითრიდატეს ხანგრძლივი ბრძოლები რომელი ლეგიონების წინააღმდეგ, პომპეუსის ექსპედიცია იბერიაში (საქართველოში)!

უამრავი შემოსევისა და დაპყრობის, ქაოსისა და განადგურების (რაც თან ახლდა ამ შემოსევებს) მიუხედავად, ქართველებმა, როგორც ზემოთ ითქვა, შეინარჩუნეს საკუთარი ენა. ეს ნახევრად სემიტური ენაა, რომლის საწყისები უცნობია და უძველესი ანტიკურობიდან მოდის. იგი ძალიან მდიდარია. არაფერი აქვს საერთო აზიურ ენებთან. სხვადასხვა დაპყრობების შედეგად ქართულ ლექსიკონში შევიდა არიული წარმოშობის სპარსული, არაბული და თურქული სიტყვები.²

თავდაპირველად ქართველები ასირიულ გრაფიკულ ნიშნებს ხმარობდნენ. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში შეიქმნა სუფთად ქართული დამწერლობა — 36 ასოიანი ანბანი: „მხედრული“, რომელიც ფართოდ იხმარება და „საეკლესიო“. დღეს ორივე არსებობს.

315 წელს, იერუსალიმიდან, საქართველოში ქრისტიანული რელიგია შემოიტანა წმინდა ნინომ. (ამ სახელს დღესაც ყველა თაყვანს სცემს). ეს მოხდა მირიანის მეფობის დროს (265-342). იგი საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფეა. მან საქართველო სოციალური განვითარების

¹ ასე უწოდებს დოღე კოლხია მეფეს აეტს (მთარგმნელები).

² სუფთად ქართული ენის ვადა, არსებობს რამდენიმე დიალექტი, როგორც მაგალითად სვანური და მჭრელი. ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან.

მაღალ დონეზე აიყვანა. ბიზანტიასთან ადრე დამყარებული ურთიერთობა, ამ დროიდან მოყოლებული, კიდევ უფრო და უფრო ფართოვდება და ვითარდება.

საქართველო მთლიანად ქრისტიანული ქვეყანაა. იგი, ყველაფრის მიუხედავად, ასეთადვე დარჩება. საქართველო ქრისტიანობის კუნძულივით მოსჩანს მუსლიმანური მეზობლებით — სპარსელებით და თურქებით — გარშემორტყმული. იგი იდგა ქრისტიანული, დასავლური კულტურის სადარაჯოზე. როგორც ითქვა, აურაცხელმა და სხვადასხვა ჯურის მტრებმა საქართველოს მრავალი განსაცდელი დაატება, მაგრამ ვერ განანადგურა. თუ შრავალჯერ დაუტყრიათ, ისევ ფეხზე წამომდგარა. მცირე თუ ხანგრძლივი ინტერვალების შემდგომ ისევ დამოუკიდებლობისათვის მიულწევია.

ვახტანგ პირველის (446-499) მეფობის დროს ქრისტიანულმა რელიგიამ, მთლიანად ქვეყნის ცივილიზაციამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. ამ მონარქის მიმართ ხალხის მადლიერება მრავალრიცხოვან ლეგენდებსა და თქმულებებში გამოიხატა. მათში ძნელი გასარჩევია რეალობა და შეთხზული საოცრებანი.

ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში. უნდა გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი: საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში — ხევსურეთში — დღესაც იცვამენ ტანისამოსს, რომელიც ჯვაროსანთა ტანსაცმელს ჩამოგავს. ამ ტანსაცმელის გულისპირზე ამოქარგულია ჯვარი, როგორსაც ჯვაროსნები ატარებდნენ.

ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, ყველა ქრისტიანთა შორის, მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშით შესულიყვნენ.

მე-9 საუკუნიდან საქართველო აღმავლობის გზაზე დგას. მე-12 საუკუნეში კი თამარის მეფობის ხანაში, თავისი ბრწყინვალეების უმაღლეს საფეხურზე აღის. თამარი განასახიერებს ბრწყინვალე სამხედრო ჰეროიზმს და ადმინისტრატიულ სიბრძნეს.

1915 წლის მონაცემებით საქართველოს 80 000 კმ უჭირავს. ცხოვრობს სამ მილიონ 176 056 კაცი. ამას თამარის ეპოქის საქართველო ოთხჯერ აღემატებოდა

თურქეთი, სპარსეთი, საბერძნეთი ესწრაფოდნენ ამ ძლიერ ქვეყანასთან კავშირს.

თამარ მეფის ხანა ქართველებისათვის ოქროს ხანაა. ასეც უწოდებენ. ამ მეფემ ქველმოქმედების ღრმა კვალი დატოვა ყველა სფეროში — სამხედრო სმქმიანობაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მეცნიერებაში.

შოთა რუსთაველი იყო მე-12 საუკუნის ყველაზე დიდი პოეტი. მისი „ვეფხისტყაოსანი“ ბევრ უცხო ენაზე ითარგმნა. პოეტმა უკვდავეო თამარის მშვენიერი მეფობა.

მე-15 საუკუნეში მუსლიმანების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ქართველები გამოაცალკევა. მათი მდგომარეობა უფრო რთული გახდა. ქრისტიანობა მას მარტოს უნდა დაეცვა.

მე-15,16,17 საუკუნეებში მუსლიმანურმა ძალმომრეობამ იმატა, რამაც საქართველოს ბევრი უბედურება მოუტანა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველები, როგორც წესი, ბოროტს კეთილით პასუხობდნენ. მართალია, მაჰმადიანი დამპყრობლების ხელში საქართველომ ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა, მაგრამ თუ მუსლიმანები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდნენ, ქართველები მათ კარგად ეპყრობოდნენ.

* * *

მე-17 საუკუნეში საქართველოს ერთდროულად დაემუქრნენ თურქები და სპარსელები. ქართველებმა დახმარებისათვის სხვა ქრისტიან ერებს მიმართეს. ამ მიზნით თავადი სულხან-საბა ორბელიანი, როგორც სრულუფლებიანი ელჩი, რომსა და საფრანგეთში მიემგზავრება. ვერსალში იგი ლუი XIV მიიღო. მაგრამ ამ დემარშებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

მე-18 საუკუნეში, ერეკლე მეორის მეფობის ეამს (1762-1798) საქართველოში ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება. ქვეყანა ნამდვილად გაიმართა წელში. საგარეო ურთიერთობები და მეტადრე სამხედრო საქმეში საქართველოს გარკვეული გავლენაც კი ჰქონდა

სპარსეთის პოლიტიკაზე. ფრიდრიხ II და ეკატერინე II თავიანთ გენერლებს ხშირად მიუთითებდნენ ერეკლე მეორის სამხედრო გამჭირაობაზე. მაგრამ დიდხანს საქართველოს იზოლირებულად დარჩენა აღარ შეეძლო. მუსლიმანური თავდასხმის მუდმივი საშიშროებაც უნდა მომსპარიყო. რაკი დასავლეთის სახელმწიფოებთან ადრინდელმა დახმარებებმა ნაყოფი არ გამოიღო, ერეკლე მეორემ რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს მიმართა. 1783 წელს მათ შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მეფეს, მთავრობას, საკუთარ მმართველობას, ფულს, არმიას და ა. შ. იგი ვალდებული იყო გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა თურქეთთან და სპარსეთთან. რუსეთი კი კისრულობდა დახმარებოდა საქართველოს ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. იმასაც კპირდებოდა, რომ საქართველოს დაუბრუნებდა იმ მიწა-წყალს, რომელიც თურქეთმა მე-14-16 საუკუნეებში წაართვა.

მაგრამ, ძალიან მალე, 1795 წელს, სპარსელები, ალა მაჰმად ხანის მეთაურობით კიდევ ერთხელ შემოესევინა საქართველოს. ანგრევენ თბილისს, სხვა ქალაქებს, ანადგურებენ ოკუპირებულ ტერიტორიას. ქართველები მარცხდებიან. აწიოკების შემდეგ ალა-მაჰმად ხანი ტოვებს საქართველოს. ადგილს უთმობს რუსეთს, რომელიც ძალიან გვიან იწყებს საქართველოს დახმარებას. საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ანექსიას ახდენს.

ასე და ამგვარად საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ მანამ, სანამ ამ ვრცელ იმპერიას დიდი უბედურება არ დაატყდა თავს: ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება. მცირე ხნით საქართველო თავისუფლებას მოიპოვებს, მაგრამ ჩქარა კარგავს მას. როგორ, ამას მერე ვნახავთ.

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველო შეუპოვრად და ხანგრძლივად ებრძოდა. იმათ შორის, ვინც თავგამეტებული იცავდა საშობლოს დამოუკიდებლობას, ალექსანდრე ბატონიშვილი გამოირჩევა. იგი სპარსეთში დაიღუპა, როცა იქ დახმარების საძებნელად იყო წასული. იმასაც დავძენ, რომ ქართველები მე-19 საუკუნეში

არაერთხელ აჯანყებულან რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ.

როცა საქართველო კარგავდა პოლიტიკურ თავისუფლებას, იმავდროულად ქართულ ეკლესიასაც ართმევდნენ დამოუკიდებლობას. რუსთა მოსკლამდე საქართველოს საკუთარი საპატრიარქო ჰქონდა. მაგრამ ამერიიდან, სანამ რუსეთის მფლობელობა გაგრძელდებდა, ეკლესიას უხელმძღვანელებს რუსი არქიეპისკოპოსი. ქართულ საპატრიარქოში მოიკალათებს ბევრი რუსი მღვდელი და ბერი. ქართული ეკლესია იქნება რუსული ეკლესიის მხოლოდ ნაწილი. საქართველოში ოფიციალურ ენად აღიარებული იქნება რუსული ენა.

* * *

თუ საქართველო ხშირად იწვევდა მეზობელი ქვეყნების ცდუნებას, ეს უპირველესად იმის ბრალი იყო, რომ იგი ბუნებამ განსაკუთრებულად დააჯილდოვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა მხარესაც — გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

საქართველო იმავე განედზეა, რომელზეც პირენეებია აღმართული. მისი ჰავა შეიძლება შევედაროთ ესპანეთისას, ანდა პირენეების ქედის მალალი რეგიონებისას. ეს გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ: საქართველოს მიწის ნაყოფი ძალიან მრავალფეროვანი უნდა იყოს.

ბოსტნეული კულტურების პროდუქცია, ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, ჩაი, თამბაქო (ამას ძალიან აფასებს ზღვისპირა მოსახლეობა), აბუსალთანი, ძირტკბილა, დაფნა, ბამბა, ყოველნაირი ხილი — ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, ალუბალი, ბალი, ქლიავი, კაკალი და სხვა. ბათუმის რაიონში ზეთისხილის ტყეებია. 70 000 ჰა ფართობი დაფარულია ევნახით. (ქართული ლეინოები, მეტადრე კახური, მთელ ახლო აღმოსავლეთშია განთქმული). დიდი და ულრანი ტყეებია (მთელი ტერიტორიის 40%.) ხე-ტყე ქვეყნის ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა. აქედან მეოთხედი ფიქვი იყო. საკმაოდ არის განვითარებული მებაღეუშემეობა და მეფრინველეობა. დიდი რაოდენობით არის ზღვისა და მინდვრის თევზი, ფრინველი. ბევრი პირუტყვი. საქართველოში ერთ-ერთი

ყველაზე გავრცელებული საქმიანობა მეცხოველეობაა — ცხენი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, კამეჩი, მაგრამ უმთავრესია ცხვარი და თხა.

საქართველო წიაღისეულითაც საკმაოდ მდიდარია. უპირველესად უნდა დავასახელოთ ჭიათურის მარგანეცი. აქ არის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი საბადო. ნორმალურ პირობებსა და დროში საქართველოს შეუძლია უცხოეთში გაიტანოს მარგანეცის მსოფლიო პროდუქციის ნახევარზე მეტი. ამას მოსდევს სპილენძი შამლულში, შაგალ-ელაზში, ბელაქანში და განსაკუთრებით ალავერდის¹ რაიონში. ქვანახშირის საბადოებია ტყრბტლსა და ტყვარჩელში.² ფოთის პორტის მახლობლად ბევრი ტორფია. ბევრ ადგილას ნავთობიც უნდა იყოს, უმთავრესად კახეთში, სადაც ნაპოვნია ამოსავალი. არის აგრეთვე თუთია, ტყვია, გოგირდი, ვერცხლისწყალი, პირიტი, სტიბიუმი, ოქროც კი (რომელიც ალავერდში სპილენძს ურევია), ლითოგრაფიული წისქვილის სადოლაბე და საცემენტე ქვები, თიხა, თაბაშირი, მარილი, განთქმული მინერალური წყლები და ტალახი.

ამ მთა-გორაკიან ქვეყანაში, სამომხველო გზებს უჭირავს: 825 კმ — რკინიგზას, 2 000 კმ — გზატკეცილს. საქართველოში არ არის მდინარეებზე სანაოსნო ქსელი. ნაოსნობა შეიძლება რიონისა და კოროხის მხოლოდ მცირე ნაწილზე. ყველაზე მნიშვნელოვანი პორტები — ბათუმი და ფოთი — მდებარეობს შავ ზღვაზე. შავ ზღვაზევეა შედარებით უმნიშვნელო ნავსადგურები — სოხუმი, გაგრა, სოკი.

ისე, რომ ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, საქართველო მდიდარია როგორც წიაღისეულით, ასევე მიწისზედა ნაწარმით.

გამოკვეთილი საერთაშორისო მნიშვნელობის გზები ძალიან ცოტაა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გზა, რომელიც ამიერკავკასიის

¹ამჟამად სოხუმი (მთავრელები).

²საქართველოში ქვანახშირი თოთხის ყველგან მოიპოვება მაგრამ დაუმუშავებელია.

(უფრო ზუსტად საქართველოს, რადგან იგი ამიერკავკასიის გასაღებია) სახელმწიფოების მეშვეობით აკავშირებს დასავლეთს წინა და შუა აზიის ქვეყნებთან. ნათელია ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს საქართველოს, როგორც გზას, სომხეთთან, სპარსეთთან და შუა აზიასთან ურთიერთობებისათვის.¹

ერთი სიტყვით, საქართველო დერეფანია, რომლის საშუალებით მთელი ამიერკავკასია უკავშირდება დასავლეთს, ხოლო ამიერკავკასია თავად არის ბუნებრივი ხიდი ევროპას და აზიას შორის.

¹ 1920 წლის 18 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ ერთა ლიგას წარუდგინა განმარტებითი შეპირანდუმი.

თავი II

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

მრავალჯერ დაპყრობილი და აწიოკებული საქართველო ყოველთვის ახერხებდა ფეხზე წამოდგომას. ჯერ ერთი იმით, რომ საქართველოს მოსახლეობას აცოცხლებს მძაფრი ეროვნული გრძნობა და, მეორე, ქართველ ქარისკაცებს, მათ სამხედრო ხელმძღვანელებს აქვთ გასაოცარი შემოქმედებითის უნარი და ვაჟკაცური სული.

ქართველთა უმრავლესობა გლეხებისაგან შედგება. ისინი პატარა-პატარა მესაკუთრეები არიან (80%). მათზე სხვადასხვა ტიპის თეორიებს არასოდეს მოუხდენიათ გავლენა. მათ ყოველთვის მკვეთრად გამოხატული ეროვნულობა ახასიათებდათ.

უარსაყოფია ის არსებითი შეცდომა, რომელსაც ჩვენში უშვებს ზოგიერთი, როცა სოციალისტურ საქართველოზე ლაპარაკობს. ამ ორი სიტყვის შეერთება დიდი შეცდომაა. მცდარია პოლიტიკური ვითარების ის დახასიათებაც — თითქოს ყველა ჩატარებულ კონსულტაციაზე ხმათა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს მიეცათ.¹

უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: სოციალ-დემოკრატებისათვის მიცემული ხმების პროპორციული რაოდენობის უმრავლესობა გამოხატავდა ეროვნულ არჩევანს.

საიდან გაჩნდა ხმების უმრავლესობა, გინდაც მინიმალური, სოციალისტურ ან სოციალ-დემოკრატიულ არჩევნებში?

მოეძებნოთ.

ქართული სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთერთმა ცნობილმა წევრმა ამიხსნა² (იგი ამჟამად პარაზში ცხოვრობს. მასთან ხანგრძლივი საუბარი შექონდა):

¹ 1926 წლის 29 იანვარს დებუტატთა პალატაში სოციალისტ ჩენოლდის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

² მოვიხილო სამხედრო და ეროვნული საბუთები, სოც-დემოკრატების წყალობი, ჩათა შემგვროვებინა დოკუმენტაცია, რომლის ეტყუარობას ვერც ერთი პარტია ვერ გახდოდა სადასო.

ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოში მტკიცე საფუძველი ჰქონდა. კიათურის მეშახტეების (მარგანეცის საბადოები), თბილისის (ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები), ბათუმის და ფოთის პორტების მუშების მყარი მხარდაჭერა. მეორე მხრივ, გლეხებს, რომელნიც ქართული მოსახლეობის წვრილ მესაკუთრეებს წარმოადგენენ (40%), არაფერი ესმოდათ სოციალიზმისა და, ცხადია სოციალისტები არ იყვნენ.

ეს მან გულწრფელად აღიარა და დასკვნაც თავისთავად კეთდება.

* * *

ამგვარ ვითარებაში რატომ მიეცათ ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს? ახლავე ვნახავთ.

განვიხილოთ, რა პოლიტიკური პარტიები მოღვაწეობდა საქართველოში, როცა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის რევოლუციამ იფეთქა. გავიგოთ რა ადგილი ეჭირათ მათ და მოქმედების რა საშუალებებს მიმართავდნენ.

ყველა ამ პარტიის თავში სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა. იგი მართლაც კარგად იყო ორგანიზებული. ერთადერთი პარტია იყო, რომელსაც შეეძლო საჭირო წუთში ეხელმძღვანელა ქვეყნის ბედისათვის.

სანამ საქართველო რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო, ქართველი სოციალ-დემოკრატები სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. (ქართული სოციალ-დემოკრატია მას მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გამოეყო). სოციალ-დემოკრატია ედგა მუდმივად სათავეში რევოლუციურ მოძრაობას, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ქართველი სოციალ-დემოკრატები იმდენად სახელმძღვანელონი იყვნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც კი ხელმძღვანელობდნენ.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქაში, ქართველი სოციალ-დემოკრატები, ვითარებისა და მოვლენათა განვითარების შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იღწევდნენ. ეს საქმიანობა

უფრო და უფრო ეროვნული ტენდენციისაკენ განვითარდება. სწორედ ამით განსხვავდებიან ქართული სოციალ-დემოკრატიები რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ნაწილისაგან.

1905 წლის რევოლუციის წინ, საქართველოში სოციალ-ფედერალისტთა პარტია ჩამოყალიბდა. იგი, რიგით მეორე პარტია იყო.

1914-18 წლების ომის დაწყებამდე შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. წევრთა რაოდენობა ამ პარტიაში ძალიან ჩქარა იზრდებოდა. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ამ პარტიას აქტიური როლი ეთამაშა ჯერ პოლიტიკური ლიდერების აღზრდაში და მერე რევულიარული მთავრობის ჩამოყალიბებაში. მისი წევრები ვერც ორგანიზირების უნარით გამოირჩეოდნენ და ვერც საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკაში გამჭვირახობით.

ამ პოლიტიკური პარტიების გვერდით არსებობდა კიდევ სოციალ-რევოლუციონერთა და ბოლშევიკ-კომუნისტთა პატარა ჯგუფები. მათ არც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და არც რაიმე გავლენა.

* * *

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართული მოსახლეობა ყოველთვის ცოცხლობდა ეროვნული გრძნობით. თუ, ერთი მხრივ, მას მძაფრად სურდა სამშობლოს თავისუფლება, მეორე მხრივ, კარგად ესმოდა — სანამ რუსეთში ცარიზმი ბატონობდა, საქართველოს ცოტა შანსი ჰქონდა ავტონომია და დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. იმ შემთხვევაში კი, თუ ცარიზმი დაემხოვდა, თავისუფლებისათვის შეიქმნებოდა მკვეთრად ხელსაყრელი პირობები. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, თუ რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა წრეებში საქართველოს წარმომადგენლებს გავლენა ექნებოდათ. ამდენად, ქართული პატრიოტიზმის გამო იყო, რომ როგორც წესი, რუსეთში პოლიტიკურ წარმომადგენლებად სოციალ-დემოკრატებს ირჩევდნენ. ე. ი. ირჩევდნენ ადამიანებს, რომელთა საქმიანობა, ჯერ ერთი, მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ და, მეორეც სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ძლიერ პირებად ითვლებოდნენ.

ამგვარი საქმიანობა გრძელდებოდა მას შერეც, რაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა. როგორც უკვე ვთქვი, ამ პარტიას აკლდა დიდი პოლიტიკოსები. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკან იდგა მაშინაც, როცა რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მოხდა და მაშინაც, როცა ბოლშევიკებმა გადატრიალება მოაწყვეს. ამ „საღმრთო კავშირში“ გულისამაჩუყებელი საქციელიც კი ხდებოდა. სოციალ-დემოკრატიის პარტიის ერთმა წევრმა, ვისთანაც მქონდა პატივი დოკუმენტაციის გასაცნობად მივსულიყავი, მითხრა: ქართველი თავად-აზნაურების წინამძღოლმა თავადმა კოტე აფხაზმა,¹ ქართველ თავადებისა და აზნაურების სახელით ქართველ ერს საკუთარი მამულები გადასცა. (მაგ. თბილისის მთელი ერთი უბანი) და მიწა-წყალი, რომელიც მათ ეკუთვნოდა.

მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად უნდა ვთქვა არა „სოციალისტური საქართველო“, არამედ „საღმრთო კავშირი“.

* * *

1917 წლის თებერვალში რევოლუციამ რომ იფეთქა და პეტროგრადში გაიმარჯვა კიდევ, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის თავმჯდომარემ ჩხვიძემ რუსული საბჭოები შექმნა. ამიერკავკასიის მთავრობაც მაშინვე ჩამოყალიბდა. იგი შედგებოდა ამიერკავკასიის სამი ეროვნების წარმომადგენელთაგან. ორი იყო ქართველი (პარტიულობით ერთი სოციალ-დემოკრატი, მეორე სოციალ-ფედერალისტი), ერთი სომეხი და ერთიც აზერბაიჯანელი. კონტროლის მიზნით, მათ დაემატა ერთი დონელი კაზაკი დეპუტატი, რომელიც კავკასიელად ჩაითვალა. ამიერკავკასიის ამ მთავრობას („ოზაკომი“) ისეთივე უფლებანი ჰქონდა, როგორიც პეტროგრადის დროებით მთავრობას. მაგრამ სირთულე მაშინვე წარმოიშვა. რუსეთის რევოლუციის გამარჯვებასა და ამიერკავკასიაში ახალი მთავრობის შექმნასთან

¹ როგორც შეგვე უნახავთ თავადი აფხაზი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ერთად დაიკარგა რუსული ადმინისტრაცია. მაშინ „ოზაკომის“ წევრები მიუბრუნდნენ ეროვნულ საბჭოს. ესენი ოფიციალურად უკვე არსებობდნენ საქართველოშიც, სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც. ასევე მიიხედეს გლეხებისა და მუშების საბჭოებისაკენ. ესენი კი ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით შეიქმნენ.

ჯარისკაცების საბჭოებს, რომლებიც ძირითადად რუსებისაგან შედგებოდა, დიდი გავლენა არ ჰქონდათ. მალე, რუსეთის არმიის ნაწილებმა, ამიერკავკასიაში რუსულ-თურქეთის ფრონტზე რომ იმყოფებოდნენ, „სამშობლოში“ დაბრუნება დაიწყეს. ხანამ რუსეთის შეიარაღებული ძალები ამიერკავკასიაში იყო განლაგებული, ჯარისკაცთა საბჭოები ხელს უშლიდნენ ეროვნულ საბჭოებს. რუსეთის წყენა რომ არ გამოეწვიათ, ეროვნული საბჭოები სუსტად მოქმედებდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ რუსეთში საბჭოებს უწესრიგობა ახლდა, საქართველოში კი მათ ხელი შეუწყეს წესრიგის დამყარებას. ქართველები დისციპლინირებულნი არიან, უყვართ წესრიგი. იმდენად კონსერვატორები არიან, რომ უკიდურეს ტრადიციონალიზმში ეარდებიან. საბჭოებზე, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ, ქართველებმა იმდენად კარგი გავლენა მოახდინეს, რომ მკვიდრო თანამშრომლობა დამყარდა „ოზაკომს“, ეროვნულ, გლეხთა და მუშათა საბჭოებს შორის.

მთელ ამიერკავკასიაში დამყარდა წესრიგი, რაც ადვილი საქმე არ იყო. განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ბოლშევიკების ბრძანებით, რუსი ჯარისკაცები ტოვებდნენ რუსეთ-თურქეთის ფრონტს. რუსები უკან დაბრუნებისას, გზაზე აწიოკებდნენ ყველაფერს, რაც ხელში ხვდებოდათ.

* * *

როცა „ოზაკომმა“ დაინახა, რომ რუსეთს ბოლშევიკები დაეპატრონენ, მან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა პეტროგრადთან. იგი ამიერკავკასიის კომისარიატად გადაიქცა. ამიერიდან კომისარიატი

დამოუკიდებლად მოქმედებდა. მის წინაშე ორი ამოცანა იდგა: ერთი მხრივ, ერთგული უნდა დარჩენილიყო ანტანტის და, მეორე მხრივ, თავი დაეღწია თურქეთის შემოსევისაგან. ამ მიზნით კომისარიატი საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში აყალიბებს სამხედრო ნაწილებს. ეს საჯარისო ნაწილები, 1918 წლის გაზაფხულზე, იკავებენ რუსეთ-თურქეთის ფრონტს.

კომისარიატს მიაჩნდა, რომ წითელი დიქტატურა დიდხანს ვერ გასტანდა და რუსეთში სტაბილური რეჟიმი ისევ დამყარდებოდა. ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატი საკუთარი სურვილით დაუ-ყონებლივ ირჩევს დეპუტატებს. ამ დეპუტატებს უნდა წარმოედგინათ ამიერკავკასია სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბა პეტროგრადში. ბოლშევიკებმა იგი გარეკეს პირველივე დღის ბოლოს, მანამდე სანამ ზოგიერთი დეპუტატი შორეული რაიონებიდან პეტროგრადში ჩამოსვლას მოასწრებდა, კოლეგებს რომ შეერთებოდა.

მოვლენები სწრაფად იცვლებოდა: წითლებმა ბრესტ-ლიტოვსკის ურცხვი მოლაპარაკება დაიწყეს. ამიერკავკასიიდან თურქეთის შუამავლობით, 1918 წლის იანვარში, ერთი დელეგატი მიიპატიყეს.

კომისარიატმა წინასწარი პროტესტი განაცხადა. მტკიცე უარი თქვა ყოველგვარ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც ხელმოწერილი იქნება ანტანტის სხვა ქვეყნების მონაწილეობის გარეშე. ამასთანავე იგი წინააღმდეგი იყო ყოველნაირი მომავალი შეთანხმებისა, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა.

რაკი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება ჩაიშალა, ამიერკავკასიელებმა გადაწყვიტეს საკუთარ სეიმში შეკრება. სეიმის დეპუტატებად ის დეპუტატები დარჩნენ, რომელნიც რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის აირჩიეს (ამ დეპუტატების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყვნენ იმ მიზეზით, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით). ამ დეპუტატების რიცხვს დაემატა ახლად არჩეული სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. მათი რაოდენობა სეიმში გაორმაგდა.

ამასობაში ბრესტ-ლიტოვსკის ნაღვლიანი კომედია დამთავრდა.

ბოლშევიკებმა თურქეთს დაუტოვეს საქართველოს და სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — ყარსი, არდავანი, ბათუმი.

1918 წლის მარტ-აპრილში თურქებმა შეტევა დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ. მათ ახალი ტერიტორიისა და ძლიერი ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება უნდოდათ. (მაგ. ბათუმის). ამის მეშვეობით, ახლო თუ შორეული მომავლისათვის, ხელსაყრელი გასასვლელი ბაზების შექმნა სურდათ.

ამიერკავკასიის კომისარიატი ენერგიულ პროტესტს უცხადებს თურქეთსა და ევროპის ქვეყნების მთავრობებს. თურქები მაინც სულ წინწინ შიშვებენ. კომისარიატი რძულბუღია, ტრაპიზონში შოღრა-პარაკება დაიწყოს თურქეთთან. შეთანხმებას ვერ აღწევენ. თურქები ანახლებენ შეტევას. მოლაპარაკების დროს იგი მცირე ხნით შეჩერდა. თურქეთის მიზანია საჩქაროდ დაეუფლოს ტერიტორიას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზაეის შედეგად ერგო. ამიერკავკასიის სეიმმა დაინახა: ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონში ვერაფერი გააწყოს. სეიმმა იმედის თვალი უცხოეთის ქვეყნების თანხმობას მიაპყრო. მან პირველ აპრილს სააღყო წესები გამოაცხადა. შეიქმნა დირექტორია. მას დაევალა, მოემზადებინა და მოეწყო მთელი ამიერკავკასიის დაცვა.

სეიმი მალე მიხვდა, რომ ბრძოლა ამაოა. 1918 წლის 22 აპრილს მან გადაწყვიტა განეახლებინა თურქეთთან მოლაპარაკება. ამასთანავე, ამავე კრებაზე იგი აცხადებს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ამით იგი შესაძლებლობას იძენს თურქეთთან მომავალ მოლაპარაკებაზე ავტონომიური სახელმწიფოს სახელით ილაპარაკოს.

ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკამ მხოლოდ ხუთი კვირა იარსება. მოლაპარაკება 11 მაისს განახლდა ბათუმში, რომელსაც თურქეთი 14 აპრილს დაეპატრონა. მოლაპარაკებაში გერმანიაც მონაწილეობს.

თურქები სულ უფრო და უფრო მეტს ითხოვენ. ბათუმის აღების შემდეგ მათ ყარსი და სომხეთის დიდი ნაწილი დაიპყრეს. ხელში ჩაოგდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრები. შეიჭრნენ აზერბაიჯანში. გათამამებული თურქები ბევრად მეტის მიღებას ცდილობდნენ, ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ითვალისწინებდა.

ამით მათ გერმანელები გააღიზიანეს. გერმანიის წარმომადგენლებს გენერალი ფონ ლოსოვი მეთაურობდა. იგი წარმომავლობით ბაეარული იყო. მიმდინარე მოვლენებზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდა და სალად მოაზროვნე პიროვნებაც გახლდათ.

გერმანელებს არ სურდათ მათ მოკავშირეებს უფრო ღრმად შეეღწიათ იმ ტერიტორიაზე, რომელიც არც მათთვის იყო ინტერეს-მოკლებული.

ამიერკავკასიის დელეგაციას ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი ბ-ნი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაცია მარჯვედ მოქმედებდა. ამის შედეგად გენერალმა ფონ ლოსოვმა თავად შესთავაზა ამიერკავკასიის დელეგაციას თავისი სამსახური, რომ მორიგებულიყვნენ, იგი იშუამდგომლებდა თურქებსა და ამიერკავკასიელებს შორის. ამიერკავკასიელები დათანხმდნენ. თურქებმა უარი თქვეს ემსჯელათ გენერალ ფონ ლოსოვის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე.

გერმანელებმა შეწყვიტეს შუამავლობა. მოლაპარაკება კიდევ ერთხელ გადაიდო.

* * *

იმის გამო, რომ ამიერკავკასიის ერთიანობა რეალურად აღარ არსებობდა, იმის გამო, რომ თურქები სომხეთსა და აზერბაიჯანში ღრმად იყვნენ შეჭრილნი, იმის გამო, რომ აზრთა დაპირისპირება-სხვადასხვაობამ იჩინა თავი ამიერკავკასიის აღმოსავლური რაიონების მოსახლეობის შორის,

სეიმმა 26 მაისს დაადასტურა სეიმის დაცემა და პოვალეობის შესრულება შეწყვიტა.

მაშინვე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო. იგი გრძნობდა, რომ სჭირდებოდა მოქმედების სრული თავისუფლება. თურქეთთან მომავალი მოლაპარაკებისათვის აჯობებს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახელით გამოვიდეს. იმავე დღეს 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებს.

ამ მომენტისათვის „საღმრთო კავშირი“ აბსოლუტურია. პარტიების განურჩევლად, მთელი მოსახლეობა ერთ ბლოკად იკვრება. იგი დგება იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც გამოაცხადეს ნანატრი დამოუკიდებლობა, ასე დიდხანს რომ ელოდნენ.

თავის მხრივ სომხეთი და აზერბაიჯანიც აცხადებენ დამოუკიდებლობას.

მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. იგი არჩეულია საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით. არჩევნებში მონაწილეობს ყველა, განურჩევლად სქესისა, ქალი და კაცი, ვისაც 20 წელი შეუსრულდა და ვისაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში არჩევნების ასეთი წესი იჭნება საბოლოოდ მიღებული შემდგომ).

დამფუძნებელი კრების მიერ დაუყოვნებლივ ხდება რატიფიკაცია აქტისა, რომლის თანახმად საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

• • •

ახლა ყურადღებას გერმანელებისაკენ გადავიტანთ. ცხადია, მათ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, როცა ქართველებს დაუჭირეს მხარი, თურქთა წინააღმდეგ. გერმანელებს არ უნდოდათ, მათ მოკავშირეს ხელში ჩაეგდო ქართული ნამცხვარის დიდი ნაჭერი.

როგორც ვნახეთ, უკრაინის დაპყრობის შემდეგ, გერმანელები მონაწილეობდნენ ბათუმის მოლაპარაკებაში. ამით გამოიხატა თურქეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი. გერმანია არ ეთანხმებოდა თურქეთის ოპერაციის გაგრძელებას ამიერკავკასიაში.

თურქები ჯიუტად მოიწვედნენ წინ ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გერმანელებმა აღარ დააყოვნეს და ქართული საჯარისო ნაწილების გასაძლიერებლად გაგზავნეს ქვეითი ორი თუ სამი ბატალიონი და მსუბუქი არტილერია.

თურქეთის არმიის სარდალმა გერმანელმა ვეიბ-ფაშამ გერმანელებს ოფიციალური დეპეშით შეატყობინა: თურქები, რომელნიც საქართველოს სიღრმეში მიიწვევენ, არ არიან თურქეთის რეგულიარული არმიის

ჯარისკაცები. ისინი არიან ბანდები, სახელდახლოდ შექმნილი სასაზღვრო რეგიონებში. გერმანელებმა ამოისუნთქეს. ახლა მათ თავისუფლად შეეძლოთ დახმარებოდნენ ქართველებს თურქთა ბანდების წინააღმდეგ და ხელი შეეშალათ მოკავშირესათვის უფრო ღრმად შეჭრილიყო მდიდარ საქართველოში. თურქები კი ველარ უსაყვედურებდნენ — მოკავშირეებს გვებრძვისო.

გერმანელებმა კარგად გამოიყენეს ეს ვითარება.

1918 წელს ერთი სასაცილო ამბავიც მოხდა. ეს ერთმა ქართველმა მიაშბო. იგი მონაწილეობდა „გერმანელი ჯარისკაცების“ იმპროვიზირებულ გადაცემის პროცესში.

გერმანელებს ნაკლებად აღელვებდათ, რომ თურქები იკავებდნენ გზას — ბათუმი-თბილისი, რომელიც, არსებითად შუა აზიისაკენ მიმავალი გზაა. მაგრამ მათ მაინც გადაწყვიტეს მიეხედათ ძირითადი პუნქტებისათვის, მეტადრე პატარა სადგურებისათვის. მაგრამ ჯარისკაცები აკლდათ. გადაწყვიტეს — გამოეყენებინათ ყოფილი გერმანელი ტყვეები,¹ ყველა, ვისაც თოფის დაჭერა შეეძლო. აგროვებდნენ იმ გერმანელებსაც, ვინც საქართველოში სახლობდა. დაახლოებით 200 კაცი შეკრიბეს. ჩააცვეს ძველი რუსული უნიფორმა. დაახურეს უწინაფრო ბრტყელი ქუდები. ხელთ დააჭერინეს თოფები და ხიშტები. უნტეროფიცებისათვის გერმანული ჩაფხუტებიც კი გამოძებნეს. ისინი ძალიან ჰგავდნენ გერმანულ landwehr-ის ფორმას (სახალხო ლაშქარს). ეს ხალხი, ხუთიდან ოც კაცამდე დააყენეს ბათუმი-თბილისის რკინიგზის საგუშაგოებზე. ამ „ლაშქარს“ ნამდვილი გერმანელი ოფიცერი ხელმძღვანელობდა.

შეთანხმების მიხედვით, თურქები უნდა შეჩერებულიყვნენ, როცა გერმანელთა მიერ დაკავებულ პოზიციას მიუახლოვდებოდნენ და პირიქით: გერმანელები უნდა შეჩერებულიყვნენ, თუ თურქების მიერ დაკავებულ პოზიციას მიუახლოვდებოდნენ. როცა თურქებმა დაინახეს, რომ რომ ბათუმი-თბილისის რკინიგზა ძირითადად „გერმანელთა“ საგუშაგოებით არის დაკავებული, მათ პირნათლად შეასრულეს

¹ ლაშქარი იმ ტყვეებზე, რომელნიც საქართველოში იყვნენ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. (მთარგმნელები.)

„შეთანხმება“. რკინიგზის ბატონ-პატრონად „გერმანელთა“ საგუშაგოები იქცნენ. ეს მოხდა 1918 წლის მაისში.

შემდეგ თვეში გერმანელებმა ვეიბ-ფაშას განცხადება გამოიყენეს: თურქეთის არმია კი არ იპყრობს ქართულ ტერიტორიას, არამედ „თურქი ბანდები“. გერმანელები შეუერთდნენ ქართულ შეიარაღებულ ძალებს. მათ უკუაგდეს „თურქი ბანდები“ მდინარე ხრამზე მომხდარ ბრძოლაში 1918 წლის პირველ ივნისს (გერმანელებს ჰყავდათ ორი თუ სამი ქვეითი ბატალიონი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა არტილერია).

ქართულ-გერმანულმა ჯარმა, რომელსაც ქართული არმიის-მხედარ-თმთავარი გენერალი კვინიტაძე მეთაურობდა, გამარჯვება იზეიმა.

თურმე, მეომართა უმრავლესობა ნამდვილად ბანდებს ეკუთვნოდა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა თურქეთის რეგულიარული არმიის ოფიცერი.

ასე და ამგვარად, კეთილმა გერმანელებმა ხელი შეუწყვეს თავიანთი მოკავშირის-თურქეთის წინსვლის შეჭერებას საქართველოში!

თავი III

მოსკოვი საქართველოსთან მიგობროვის ხელშეკრულებას აწერს ხელს და ამავე დროს მუხანათურად ესხმის თავს

1801 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მოხდა და ქართველთა სახელმწიფომ დაკარგა ტერიტორიული ერთიანობა, საქართველოში ხალხებისა და რასების ერთმანეთში აღრევას დიდი ხელშეწყობა ჰქონდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაისვა საზღვრების საკითხი საქართველოსა და მის მეზობელ ერებს შორის. სამწუხაროდ ამ პრობლემამ რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. ქართველებს სამჭერ მოუწიათ თავიანთი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა. მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეს კონფლიქტები ლოკალურ ხასიათს ატარებდნენ.

ქართველებს უსიამოვნება არ შეხვედრიათ არც იმ ტერიტორიის გამო, რომელიც თურქებმა დაიკავეს შემოჭრის შედეგად და არც იმ ტერიტორიების გამო, რომელიც გერმანელებს ეჭირათ მას მერე, რაც ქართველებმა და გერმანელებმა ერთად შეაჩერეს თურქების წინსვლა. 1918 წლის 11 ნოემბერს ზაეის შემდეგ, თურქებსა და გერმანელებს ამ ქართული ტერიტორიის დატოვება მოუხდათ. 1918 წლის დამლევს იქ ანტანტის ჯარების კონტინგენტი მოვიდა.

ანტანტის საქართველოში ყოფნამ განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერიდან ვერც ერთი მეზობელი ხალხი ვერ იფიქრებდა მისი საზღვრების დარღვევას.

თავის მხრივ, ანტანტა საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ისინი იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ მოვლენების მსვლელობას ადევნებდნენ თვალს. ძალიან ბევრი

პოლიტიკოსი და დიპლომატი, დარწმუნებული იმაში, რომ ბოლშევიკური დიქტატურა ხანგრძლივი არ იქნებოდა, ნანობდა ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთის დიდი იმპერიისაგან. მაგრამ მალე საქართველოს სიცოცხლისა და ცხოვრების უნარიანობა თვალშისაცემი აღმოჩნდა. ამიტომ, ამიერკავკასიის სხვა მთავრობებზე აღრე, საქართველოს მთავრობა იქნა აღიარებული დე ფაქტო.

ამ ფაქტმა ხელი არ შეუშალა დენიკინს დასჯახებოდა ქართველებს. დენიკინი თავისი თეთრგვარდიელთა არმიით ბოლშევიკებს ებრძოდა. ქართველები მაინც ემზადებოდნენ სამშობლოს დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ანტანტა თითქოს ხაქართველოს უზიფათობის გარანტიას იძლეოდა.

ბოლშევიკებმა დაამარცხეს დენიკინი. ისინი ამიერკავკასიის (საქართველოს) უშუალო მეზობლები გახდნენ. მათ, ჩვეული მეთოდით, აზერბაიჯანში აჯანყების მსგავსი მოძრაობა მოაწყვეს. მოულოდნელად წითელი არმიის შეტევა განახორციელეს და 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი დაიპყრეს.

აზერბაიჯანი, განსაკუთრებით ბაქოს რეგიონი, საბჭოელებისათვის ძვირფასი ნადავლი იყო. რუსეთში ისინი ძალიან მძიმე ეკონომიურ და ფინანსურ კრიზისს განიცდიდნენ.

საქართველოსა და საბჭოების მთავრობებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. იგი თითქოს ურთიერთ თანხმობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლშევიკებისათვის ჩვეული ორპირობით. მოლაპარაკება 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების ხელმოწერით დაგვირგვინდა. ხელშეკრულების მიხედვით, მოსკოვის მთავრობა (ჩქარა სიტყვას დაარღვევს) ფორმალურად და ფაქტობრივად ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას. ბათილად აცხადებს ცარიზმის ყველა უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე პირობას სდებს, რომ არ ჩაერევა საქართველოს საგარეო და საშინაო საქმეებში.

* * *

ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ მოლაპარაკებით, რომელიც წინ უძღოდა ხელშეკრულების ხელმოწერას, მოსკოვს სურდა ქართული

მთავრობის ყურადღების მოდუნება. ეს იქიდან ჩანს, რომ მოლაპარაკებისას, თითქოს შემთხვევით, აზერბაიჯანის მხრიდან, წითელმა რაზმებმა საქართველოს შემოუტიეს. ამაზე ახლავე მოგახსენებთ.

აქ ფრჩხილები უნდა გავხსნათ: აზერბაიჯანი ძირითადად ნავთობის ქვეყანაა, უპირატესად ბაქოს რეგიონი. მაგრამ აზერბაიჯანს არა აქვს გარე სამყაროსაკენ გასასვლელი. ნავთობის გატანა რომ შესძლოს, იგი ბათუმში უნდა გავზავნოს ან რკინიგზით ან ნავთსადენით. ამიტომ იყო ბოლშევიკების გეგმა ჯერ აზერბაიჯანის ხელში ჩაგდება და მერე საქართველოსი.

აზერბაიჯანი უკვე მათ ხელში იყო. ფორმალურად აზერბაიჯანს დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უწოდეს. ყავდა საკუთარი მთავრობაც, რომელიც სინამდვილეში მოსკოვის ხრიკების შესანიშნავი ფასადი იყო. ეს ყალბი დამოუკიდებლობა მოსკოვს ძალიან დაეხმარა შემდგომში.

უპირველესად მოსკოვი ცდობლობს საქართველოსთან უთანხმოების საბაბი გამოძებნოს. ქართველების მოთმინებიდან გამოსაყვანად ქმნიან casus belli-ს (ომის საბაბს), ვაგონებისა და ნავთობის ცისტერნებთან დაკავშირებით. აქ ნათლად გამოჩნდა მათი ბნელი ზრახვები. მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს და ქართველებს წონასწორობა ვერ დააკარგინეს. ქართველები ბოლშევიკებს უნდოდ უყურებდნენ.

რაკი ეშმაკობამ ვერ გაჭრა. ბოლშევიკებმა ძალისა და მოულოდნელობის ფაქტორს მიმართეს.

* * *

საქმის არსი ნათელი რომ გახდეს, ცოტა უკან უნდა დავიხიოთ. 1920 წლის დამდეგს, ყირიმში, წითლების მიერ დამარცხებული დენიკინის არმიის ნარჩენები ხელმეორედ გააერთიანეს, გენერალ ვრანგელის მეთაურობით. თეთრი არმია ახალი შეტევისათვის ემზადება, რაც ზაფხულში უნდა დაიწყოს. ამავე დროს, ბოლშევიკებს ომი აქვთ გაჩაღებული პოლონეთთან. ამ ვითარებაში, მოსკოვისათვის ძნელია ამიერკავკასიის სახელმწიფოს ხელში ჩასაგდებად ჯარი

გაგ ზაენოს ორ-სამ დღეიზიაზე ანუ 20 000 ჯარისკაცზე მეტი. ეს კი არ კმარა სამი ქვეყნის დასაპყრობად. ჩრდილოეთ კავკასიაშიც ციებ-ციხელებია. არადა, ამიერკავკასიისაკენ მიმავალი გზა სწორედ ჩრდილო კავკასიის მტრულად განწყობილ მუსლიმანური მოსახლეობის ტერიტორიაზე გადის.

თუ მდგომარეობას სუფთა სამხედრო თვალსაზრისით განვიხილავთ, უნდა ვთქვათ, რომ ბოლშევიკები გადაუჭრელი პრობლემაა წინ იდგნენ.

მაგრამ წითლებმა მოახერხეს ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარების გამოყენება. ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის დამოკიდებულება უფრო მეგობრული და მჭიდრო რომ ყოფილიყო, ისინი უდაოდ მოახერხებდნენ თავი დაეღწიათ მოსკოვის უღლისაგან.

რაკი წითელი არმიის ნაწილების შეტევა მოსალოდნელი იყო, საქართველოს მთავრობას სურდა თავდაცვითი ფრონტის გამაგრება. ამ მიზნათ ქართველებმა შესთავაზეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს ხელი მოეწერათ სამხედრო კავშირის ხელშეკრულებაზე. ეს სამხედრო კავშირი მიმართული უნდა ყოფილიყო ყველა იმით წინააღმდეგ, ვინც ამიერკავკასიაზე თავდასხმას და მის დაპყრობას მოინდომებდა. სომხებმა ამ წინადადებას წაუყრეს. 1919 წლის ზაფხულში ხელშეკრულება მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა. შეთანხმება, საუბედუროდ ძალიან ზოგადი იყო. წინასწარ არ ყოფილა დაზუსტებული აუცილებელი დებულებები. არ დაუსახეთ დიდი საკითხები. არ დაუმუშავებიათ საერთო მტრის წინააღმდეგ თავდაცვის გეგმა. ეს ხელშეკრულება უეფექტო იყო და არც არასოდეს გამოუყენებიათ.

აზერბაიჯანისა და საქართველოს უმაღლეს მთავარსარდლობის ახლო თანამშრომლობას შეეძლო ეს ხელშეკრულება ძალიან სარგებლიანი გაეხადა, მაგრამ სამწუხაროდ, არ იყო ურთიერთ გაგება. ეს ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ აზერბაიჯანის ხელმძღვანელ წრეებსა და მთავრობაში ერთგვარი ყოყმანი და გადაუწყვეტელობა იგრძნობოდა. ზოგიერთს თურქეთისაკენ ეკირა თვალი. ზოგიერთს სურდა აზერბაიჯანი ისევ რუსეთის, თუნდაც ბოლშევიკურის,

ორიენტაციას დასდგომოდა. ზოგიერთი კი გულწრფელად ელტვოდა თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას.

მოსკოვის ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა აზერბაიჯანის ეს ვითარება. იყო კიდევ ერთი გარემოება: აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა საზღვრების გამო. 1920 წლის გაზაფხულის დამდეგს, აზერბაიჯანის მთელი არმია სომხეთის საზღვარზე, ანუ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გაიგზავნა, რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მოპირდაპირე მხაიეს. მოხდა კიდევ რამდენიმე შეტაკება. თუმცა არც ჩრდილო საზღვარი, ანუ რუსეთ-აზერბაიჯანის გამყოფი ზოლი დავიწყებიათ. იქ, დაახლოებით 20 კმ-ზე, კასპიის ზღვიდან კავკასიის მთებამდე, მდ. სამურის გაყოლებით, სადაც როსტოვი ბაქოს რკინიგზა გადის, გაამაყრეს პოზიციები. დენიკინის არმიის უკანდახვევის შემდეგ, მდ. სამურის ხიდი, სწორედ იმ ზოლში, რომელზეც ეს ეს არის ვილაპარაკეთ, ფრიალ საექვო ვითარებაში ბოლშევიკებმა დაიკავეს.

ამიერკავკასიისათვის ეს აღმაშფოთებელი მოვლენა იყო. მიუხედავდ ამისა 20 კმ-იან პოზიციას დარაჯობდა აზერბაიჯანელთა მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი. ხოლო ის ორი თუ სამი ბატალიონი, რომელიც შეიძლებოდა დახმარებოდა რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის დამცველებს, განლაგებული იყო ბაქოსა და ელიზავეტოპოლში. ამდენად, საკონფლიქტო პოზიციას დაშორებული იყო 100-300 კმ-ით.

რაც შეეხება აზერბაიჯანის არმიას, როგორც უკვე ვთქვით, იგი მთლიანად იმყოფებოდა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე, ანუ ბაქო-როსტოვის რკინიგზის ხაზს მოცილებული იყო 250-300 კმ-ით.

ისე, რომ ბოლშევიკებისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა; გამოიყენეს კიდევ ეს თავის სასიკეთოდ, თუმცა დიდი ჯარი არ ჰყავდათ. გითხარით, რომ მისი ძირითადი არმია პოლონელებსა და ერანგელს ებრძოდა.

1920 წლის აპრილის ბოლოს ბოლშევიკებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს ბაქოში. იმავდროულად შეუტრეს იმ ერთადერთ ბატალიონს, რომელიც მდ. სამურის გასწვრივ განლაგებულ პოზიციას

დარაჯობდა. მათ, როგორც სახელმწიფო გადატრიალება, ისე შეტევაც წარმატებით განახორციელეს.

ბატალიონს, რომელიც მდ. სამურის ზოლს იცავდა, ხელმძღვანელობდა ენერგიული ქართველი ოფიცერი თუმანოვი. მას შეუძლებელი ამოცანა ჰქონდა დავალებული — დაეცვა ჩრდილოეთის საზღვარი. იგი მაინც მამცურად იბრძოდა თითოეული გოჯი მიწისათვის. ყოველგვარ რაინდულ და კეთილშობილურ თვისებებს მოკლებულმა უცხოელებმა — რუსებმა — დახვრიტეს ეს გულადი და ღირსეული ადამიანი. მან ბოლომდე აღასრულა თავისი სამხედრო მოვალეობა, თუმცა გამარჯვების იმედს არ ჰქონდა.

ასევე ლაჩრულად დახვრიტეს სხვა ოფიცრები. მათ შორის გენერლებიც ბაქოში და სხვაგან.

ბაქოში მოკალათებულმა, ბოლშევიკების მიერ დასმულმა მთავრობამ უპირველეს საზრუნავად მიიჩნია დეპეშა გაეგზავნა სომხეთის საზღვარზე მდგომ აზერბაიჯანელი არმიისათვის და განკარგულება მიეცა — მედგრად დაეცვა ქვეყნის ტერიტორია, თუკი სომხები შეტევაზე გადავიდოდნენ.

წითელი არმიის ნაწილებმა სრულიად იოლად დაიპყრეს აზერბაიჯანი. დაიკავეს ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზზე მდებარე ქალაქები. დაიწყო ჭარისკაცებით სავსე მატარებლების საქართველოსაკენ გაგზავნა.

* * *

აზერბაიჯანის ტერიტორიის უმსგავსო ძალმომრეობითმა ოკუპაციამ, საერთაშორისო კანონების სრულმა იგნორირებამ, გამოაფხიზლა ქართული მთავრობა. გვიანდა იყო!

ბაქოს აღებისა და აზერბაიჯანის დაპყრობის ამბავმა თბილისში 30 აპრილს ჩამოაღწია. პირველ მაისსავე გაიცა ბრძანება — ქართული სამხედრო ნაწილები შეედგინათ. მაშინვე დაიწყო ბოლშევიკებთან მოლაპარაკება. იგი 7 მაისს დამთავრდა. დაიღო მეგობრობის ხელშეკრულება, რომელზეც ამ თავის დასაწყისში ვილაპარაკე.

საქართველო მზად არ არის წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. საკმარისი არ არის სამხედრო ამუნიციები. საჭიროა სასწრაფო მოქმედება. დეტალებს ველარ შევხები. ამ წიგნის მიზანი მოვლენების ზოგადი აღწერაა. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ როცა ბოლშევიკების თავდასხმის მუქარა გაჩნდა, თავდაცვის არაავითარი გეგმა არ იყო ჩამოყალიბებული.

პირველ მაისს საქართველოს მთავრობა გენერალ კვინიტაძეს ნიშნავს მთავარსარდლად. მანამდე იგი ქართულ სამხედრო სკოლას ხელმძღვანელობდა თბილისში. კვინიტაძე სწორედ პირველ მაისს, დილით, დაბრუნდა აზერბაიჯანდან, სადაც მძვინვებით იყო გაგზავნილი. მისი საგანგებო მატარებელი ისე გამოვიდა ბაქოდან, რომ გენერალმა არც სახელმწიფო გადატრიალების ამბავი იცოდა და არც აზერბაიჯანზე წითლების თავდასხმის ცნობა ჰქონდა. იგი კინალამ ბოლშევიკებს ჩაუვარდა ხელში. ბაქო-თბილისის რკინიგზის მახლობელ საგუშაგოებს წითლებმა ბაქოდან დეკემები დააყარეს ბრძანებით — გაეჩერებინათ გენერალ კვინიტაძის მატარებელი და თავად იგი დაეპატიმრებინათ. მაგრამ საგუშაგოების უმეტეს ნაწილს ქართველი ოფიცრები შეთაურობდნენ. სადაც ბრძანება დროზე მოვიდა, იქ არავინ განძრეულა. არც უფიქრიათ გენერალის დაპატიმრება. კვინიტაძეს მატარებელში ტკბილად ეძინა, არც იცოდა, რა საფრთხე ემუქრებოდა. მთელი ღამე მშვიდად იმგზავრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დილით კი დაუბრკოლებლად ჩავიდა საქართველოში, სადაც მისი ყოფნა ეგზომ საჭირო იყო.

* * *

რაკი თავდაცვის არაავითარი გეგმა არ არსებობდა, გენერალმა უპირველესად მთავრობას კითხვა დაუსვა:

დედაქალაქი თბილისი მტერს თუ ჩაუვარდება ხელში, ქართველთა წინააღმდეგობა დამთავრებულად ჩაითვლება, თუ პირიქით — ბრძოლა კვლავ გაგრძელდება?

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: საქართველოს მთავრობამ ერთსულოვნად

და ვაეყაცურად გადაწყვიტა — იმ შემთხვევაშიც კი, თუ თბილისს მტერი იალღებს, ქვეყნის ტერიტორიის დაცვა და ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი მეტრძოლი მაინც დარჩება.

გენერალი ხელმძღვანელობს ამ დირექტივით. იგი განიხილავს შექმნილ ვითარებას. აზერბაიჯანსა და საქართველოს გამყოფი საზღვრიდან თბილისისაკენ სამი ძირითადი ხაზი მოდის.

1. ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზი. იგი გადაკვეთს მდ. მტკვარს. თბილისიდან 85 კმ-ზეა.

2. ბაქო-თბილისის რკინიგზა საზღვრიდან სადგურ აღსტაფამდე. შემდეგ არის გზა აღსტაფა-წითელი ხიდი-თბილისი. მანძილი 65 კმ-ზე ნაკლებია.

3. ევლახი-ნუხა-ზაქათალა-თბილისის გზა. ეს გზა გრძელი და ნაკლებად მოსახერხებელია, ვიდრე პირველი ორი.

უმთავრესად გასათვალისწინებელი პირველი ორი გზა იყო. იქაური სასაზღვრო ხიდები — ფოილოსა და წითელი — აზერბაიჯანელებს ეკუთვნოდათ. ამიტომ უადრესად მნიშვნელოვანი იყო მათი ხელში ჩაგდება სისხლის დაუღვრელად. აზერბაიჯანის ბატონ-პატრონ ბოლშევიკებს საბაზი არ უნდა მისცემოდათ ეყვირათ — შეტაკებები საქართველომ წამოიწყო.

ამ დროს თბილისში იმყოფებოდა აზერბაიჯანის დამხობილი მთავრობის წარმომადგენელი. ამ დელიკატურ ვითარებაში გენერალ კვინიტაძემ მას თხოვნით მიმართა: დეპეშით შეეტყობინებინა ფოილის ხიდის დამცველ აზერბაიჯანელთა რაზმისათვის დაეტოვებინათ ხიდი და ქართველები შეეშვათ.

აზერბაიჯანის წარმომადგენელი სიამოვნებით დათანხმდა ამ სათუთ საკითხის ამგვარ გადაჭრას. ქართველთა ერთი ბატალიონი საჩქაროდ გაიგზავნა მატარებლით. ბატალიონს ევალბოდა ფოილის ხიდის დაკავება, მისი დანაღმვა, რომ საჭიროებისდა მიხედვით, აეფეთქებინათ.

წითელ ხიდს რაც შეეხება, იქ შეუძლებელი აღმოჩნდა დეპეშის გაგზავნა. არც ხიდამდე და არც ახლომახლო ადგილამდე სატელეგრაფო ხაზი არ აღწევდა. იქ ცხენოსანთა ოთხი ესკადრონი გაუშვეს. მათ

უნდა დაეკავებინათ ხიდი და დაუყოვნებლივ მოემზადებინათ ნალმები. ესკადრონმა ვერ მოასწრო ხიდის აღება. გზაზე რუსი ბოლშევიკების ავანგარდი შემოხვდათ. წითლებმა ხიდი გამოიარეს და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ.

იმავე ღამეს (3-4 მაისს) ორმოციოდე ბოლშევიკი ცხენოსანი, ოფიცრის მეთაურობით, წითელი ხიდის მახლობელ სოფელში შევიდა. სოფელში ქართული სამხედრო პუნქტი იყო განლაგებული. სულ ოთხი კავალერისტი. მორიგემ განგაში ატეხა. პუნქტის უფროსი შენობიდან გამოვარდა. მას ორი ჭარისკაციდან ერთი გამოჰყვა. ისინი, ორივენი, რუსი ცხენოსნების პირისპის აღმოჩნდნენ. ძალიან ბნელოდა და რუსები გაურკვეველ მასად მოჩანდნენ.

იარალი დაყარეთ! გაისმა ბოლშევიკების მხრიდან ბრძანება.

პასუხად ორმა ქართველმა ჭარისკარმა ცეცხლი გახსნა წითლების მიმართულებით.

ქართველებმა მომხდურთა რიცხვი არ იცოდნენ. ბედად წითლების მეთაური დაიჭრა. იგი ცხენიდან ჩამოვარდა. ბოლშევიკებს ეგონათ, მათ პირისპირ, მრავალრიცხოვანი რაზმი იდგა. თანაც ოფიცერი გამოაკლდათ. აღარ დააყოვნეს და მოკურცხლეს. მოკლულ ოფიცერს ჭიბეში რამდენიმე საბუთი აღმოაჩნდა. ერთი მათგანი თბილისზე შეტევის ბრძანება იყო. ეს კი უტყუარად მიანიშნებდა იმას, რომ რაც მოხდა, უბრალო სასაზღვრო ინციდენტი არ ყოფილა. მოსკოვთან იწყებოდა ნამდვილი ომი.

* * *

საქართველოშიც, თბილისშიც მოინდომეს, ბოლშევიკური მეთოდით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.

სამი მაისი რომ თენდებოდა, ღამით, პირველ საათზე 50 შეიარაღებული კაცი სამხედრო სკოლის შენობაში შეიჭრა უკანა შესასვლელით. მათ დაატუსაღეს მორიგე ოფიცერი და იარალი აჰყარეს. მერე კურსანტების საწოლ ოთახებში შეცვივდნენ. ისინი იარაღის მუქარით ოთახებში ჩაკეტეს და ერთადერთ კარს მეთვალყურე დაუყენეს.

მომხდურთა დიდი ნაწილი მეზობელი შენობისაკენ გაეშურა. იმედოვნებდნენ — როცა გამოეცხადებთ, საქართველოს მთავრობა აღარ არსებობს, ქვეყანას ბოლშევიკები განაგებენო, იქ მყოფ ბატალიონის უნტერ ოფიცრები აჯანყდებიანო.

მართალია, ბოლშევიკებმა ყველაფერი წინასწარ გათვალეს, მაგრამ გენერალი კვინიტაძე გამორჩათ. ეგონათ, იგი სამხედრო სასწავლებელში აღარ იმყოფებოდა, რადგან იმ დღეებში დანიშნეს მთავარსარდლად. როცა თავდასხმა მოხდა, გენერალი სწორედ შაშინ დაბრუნდა სკოლაში. იგი ჩვეულებრივ ცხოვრობდა თავის მოადგილე გენერალ ჩხეიძესთან ერთად. სანაშ კვინიტაძე თავის ოთახში მივიდოდა, გენერალმა ჩხეიძემ დატყვევებული მორიგე ოფიცერი გაანთავისუფლა (მისი მოდარაჟე ბოლშევიკი იქვე გააგორა). სამივემ სროლა დაიწყო. ტელეფონის გადაჭრა ბოლშევიკებს დაეიწყებოდათ. კვინიტაძემ ამით ისარგებლა. სასწრაფოდ მოთხოვა შტაბს ორი ტყვიამურქვევი და დახმარება. შემდეგ სამმა გაბედულმა მხედარმა ფანჯრიდან იარაღი და ტყვიები გადასცეს კურსანტ ოფიცრებს. მათ სინათლე გამორთეს და სკამებითა და იარაღით დაერივნ მოდარაჟე ბოლშევიკებს. მათი უფლებელყოფის შემდეგ მეზობელ შენობისაკენ გაიქცნენ, რომ დარჩენილი წითლები სკოლიდან გაეყარათ.

რამდენიმე ბოლშევიკმა გაქცევა მოახერხა და თავისიანები გააფრთხილა. ზოგიერთი კიდევ ცდილობდა დაერწმუნებინა უნტერ-ოფიცრები აჯანყება დაეწყოთ. არაფერი გამოუვიდათ. მომხდურთა ბანდა გაიქცა. სამი ბოლშევიკი ტყვედ ჩავარდა. ისინი მეორე დღეს დახვრიტეს.

უნდა აღვნიშნო: ამ ბოლშევიკებში არც ერთი ქართველი არ არის.¹ მათი უფროსიც ბოლშევიკი იყო, რომელმაც მოსკოვში უხელმძღვანელა ასეთივე გადატრიალებას. მაშინ ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა საქმე.

¹ დოკუმენტები თავდასხმელები ძირითადად ქართველები იყვნენ (მთარგმნელები). იხ. გენერალ კვინიტაძის წიგნი „Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921“ გამოცემული „თბილისის“ პრესით.

თავი IV

წედმიტალ მიმნდობი საქართველოს მთავრობა პერ იყენებს ლამაზი გამარჯვების ნაყოფს

მაშინვე, როგორც კი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარი წითელმა არმიამ გადმოლახა, მთავრობამ მიმართა მოსკოვს. მოსთხოვა ამ სრულიად უსაფუძვლო თავდასხმის გამო ახსნა-განმარტება.

მოსკოვმა მარტივად უპასუხა: იგი (მოსკოვი) არაფერ შუაშია. აზერბაიჯანი დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა. ეს აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებმა დაარღვიეს საქართველოს საზღვარი და შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ცდა მოსკოვის საბჭოთა მთავრობას ჩაეშალა. არც ის იცოდა, როგორ შედეგს გამოიღებდა მომხდარი სამხედრო აქცია. ამიტომ ამგვარი პასუხით სცადა თავის დაძვრენა.

საქართველოს მთავრობის წევრებმა მოსკოვის მხრიდან ვერ წარმოიდგინეს ამგვარი ორპირობა და თავხედობა. პირდაპირ ვთქვათ: დაუჭერეს კიდევ. ამიტომ იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ხელი მოაწერეს მეგობრობის ცნობილ ხელშეკრულებას, რაც ზემოთ მოვიხსენიე.

სინამდვილეში კი თავდამსხმელები მართლაც რუსეთის წითელი არმიის ნაწილები იყვნენ. იმ ადგილებში განლაგებული იყო ბოლშევიკების მე-20 და 32-ე დივიზიები. ისინი შემოიჭრნენ საქართველოში ყოველგვარი მიზეზისა და საბაბის თვინიერ.

მოსკოვის მთავრობა, ალბათ, გულში ხითხითებდა, როცა 7 მაისის ხელშეკრულებას აწერდა ხელს.

სინამდვილეში მოსკოვმა ნამდვილი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს თავდასაცავად ორი სახის შეიარაღებული ძალა ჰყავს. ჯერ ერთი, ჰყავს არმია, მსგავსი ყველა ჩვეულებრივი არმიისა. იგი შედგება 12 ბატალიონისაგან. მობილიზაციის დროს ისინი შეიძლება გარდაიქმნას სამ ბატალიონად, რომელთაც ეყოლებათ არტილერიის, საინჟინრო ჯარების, მესანგრეების და ა. შ. სპეციალური დანაყოფები. ამათ დაემატება ცხენოსანი პოლკის ოთხი ესკადრონი.

მეორეც, ჰყავს აგრეთვე ეროვნული გვარდია. იგი შედგება 23 ბატალიონისაგან. საარტილერიო ბრიგადის, ცხენოსანი პოლკის ოთხი ესკადრონისა და მესანგრეებისაგან.

მობილიზაცია დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა. უპირველესად მთავარსარდალმა პატარა-პატარა ჯგუფები გაანაწილა. მათ ჩრდილოეთში ღა შავი ზღვის პირას სტრატეგიული წერტილები დაიკავეს. ლაგოდეხიც გაამაგრეს. ყველა ხეობა უნდა დაეჭირათ. ამით ხელი ეშლებოდა მტერს საქართველოში შემოსაპრეულად გამოეყენებინა რომელიმე მესამე გზა და თბილისამდე მოეღწია.

არმიის ძირითადი ნაწილი და გვარდია კი წითელი ხიდისაკენ გაგზავნა. მაგრამ აღმოსავლეთ საზღვარზე მოვლენები სწრაფად განვითარდა. ამ სტრატეგიულ პუნქტს ქართული ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი კენჭუაშვილი იცავდა. როცა პოლკოვნიკმა დაინახა, რომ წითელი ჯარის ავანგარდი, ჯავშნოსანი მატარებლით მოემართებოდა ფოილოს ხიდისაკენ (ხიდი-საზღვარი, რომელშიც ბაქო-თბილისის რკინიგზა გადის), მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება აეფეთქებინა ხელოვნების ეს ნიშუში. ასე „ზედმიწვენით“ შეასრულა ის ბრძანება, რომელიც მისცეს.

ბოლშევიკები აღმოჩნდნენ წვიმებისა და თოვლის დნობისაგან ადიდებული მდინარის პირას. მათ გადმოსვლის საშუალება არ ჰქონდათ. სხვა აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მდინარის ნაპირას ვაჰყოლონდნენ წითელი ხიდის მიმართულებით.

წითელი ხიდის მისადგომებთან შეტაკებები რამდენიმე დღე

გაგრძელდა. ბოლშევიკები დამარცხდნენ: მათი ერთი დივიზიიდან მხოლოდ ჩონჩხი დარჩა. მან უკან დაიხია და იგი ახალმა დივიზიამ შეცვალა. მოსკოვის ჯარისკაცები არა მარტო უკუაგდეს საქართველოს ტერიტორიიდან, არამედ 40 კმ-ით აღმოჩნდნენ საზღვარს მოცილებული.

ეს პირველი წარმატებები რამდენიმე ქართულმა პოლკმა მოიპოვა. მობილიზაცია ცხორმალურად ჩატარდა. მთელი არმია მზად იყო და მთავარსარდლის ხელმძღვანელობით მტერს მიერეკებოდა.

* * *

მაგრამ არც მოსკოვი თვლემდა. როგორც გითხარით, მათ ე. წ. დამოუკიდებელ აზერბაიჯანის მთავრობის ვერსია გაითამაშეს. (თუმცა იგი ბოლშევიკების დასმული იყო). მოსკოვი ყველა ხერხით ცდილობდა დაერწმუნებინა საქართველოს მთავრობა, რომ თავდასხმა განახორციელეს წითელმა რაზმებმა, რომ ეს აზერბაიჯანის „ახალგაზრდა მთავრობის“ „შეცდომა“ იყო. ამ ფაქტის მიმართ საქართველოს ხელისუფლებას შემწყნარებლობა უნდა გამოეჩინა და არ უნდა გაენადგურებინა აზერბაიჯანი. მოსკოვმა იმდენი უჩიჩინა თბილისს, რომ საქართველოს მთავრობამ განკარგულება გასცა — შეეწყვიტათ მტრის დევნა. დევნის შეჩერებას მაშინვე მოჰყვა მოლაპარაკებაც.

ასე აიცილნა მოსკოვის გამოგზავნილმა წითელმა ჯარმა დამარცხება, რაც გარდაუვალი ჩანდა. ბოლშევიკებმა მეტსაც მიაღწიეს: მოლაპარაკების დასაწყისშივე ქართულმა ჯარმა არა მარტო მტრის დევნა შეწყვიტა, არამედ თბილისის მთავრობის ბრძანებით, უკან საზღვრამდე დაიხია და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდა.

ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ: კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე ძლიერი არა... უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დაამარცხა, გააქცია, თავად კი უკან დაიხია.

ამ გამარჯვების გამოყენება საქართველოს ძალიან ხელსაყრელ ვითარებას უქმნიდა როგორც რუსეთის, ისე სხვა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ბოლშევიკები, ერთი მხრივ პოლონეთს ებრძოდნენ, მეორე მხრივ — ვრანგელს. მათთვის სრულიად შეუძლებელი იყო დახმარებოდნენ აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს.

ქართველების გამარჯვების შედეგად აზერბაიჯანში მძიმე ვითარება შეიქმნა. ბევრ რეგიონში ხალხი მზად იყო წითლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის. ამით ქართველთა წინსვლა გაადვილდებოდა. აზერბაიჯანელებმა დაწესდნენ ალდებოდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, რაკი ამ ქვეყნიდან მოსკოვის ჯარს გაყრიდნენ.

ქართული ჯარის შეტევით, აზერბაიჯანელი მოსახლეობის აჯანყებით, აზერბაიჯანის არმიის მონაწილეობით, რომელსაც, როგორც ვთქვით, ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ, უკანდახეული წითელი ჯარები აირღაიროდნენ, გაჩნდებოდა უწყესრიგობა და ბოლშევიკებიც ამიერკავკასიიდან გაძევებული იქნებოდნენ. ნათობით მდიდარი რეგიონიც — ბაქოც განთავისუფლდებოდა. ამიერკავკასიიდან ბოლშევიკების გაყრა რუსეთს დიდ დარტყმას მიაყენებდა.

აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის ფატალური ბრძანება ბრძოლის შეჩერების და უკანდახევის შესახებ თბილისიდან მოვიდა! მოვიდა იმ დროს, როცა მთავარსარდალს და საერთოდ ჯარის ხელმძღვანელობას, ბრძოლის გაგრძელების და შეტევის განკარგულება ჰქონდა გაცემული. გენერალი კვინიტაძე მიხვდა რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა თბილისიდან მოსულ ბრძანებას. იგი გადადგა. არ სურდა რაიმე კავშირი ჰქონოდა ამ მოუფიქრებელ და უგუნურ ბრძანებასთან.

გენერალმა ცხადად დაინახა, რომ მისი სამშობლო კომპრომეტირებული იყო. ნათლად დაინახა, როგორ მოიკალათებდნენ დიდი ხნით წითელი ბანდები აზერბაიჯანში, საქართველოს კართან. ალბათ ისიც აფიქრებდა, რა ბედი ეწეოდათ იმ აზერბაიჯანელებს, რომელნიც მზად იყვნენ წითლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის. ზოგიერთ

რაიონში დაწყებული იყო აჯანყება, რომელიც გამანათვისუფლებლად მიაჩნდათ.¹

თბილისიდან მოსულმა საბედისწერო ბრძანებამ ჩეკას ჯალათებს ხელში ჩაუგდო აზერბაიჯანელი პატრიოტები, რომლებმაც საფუძველი მოამზადეს თავიანთი სამშობლოს გასანათვისუფლებლად.

ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს დამოუკიდებლობას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

თბილისის მთავრობა კი იმედოვნებდა: რაკი მან უარი თქვა ესარგებლა გამარჯვების შედეგით, ამით მოსკოვის ხელსუფლების გულს მოიგებდა და ხანგრძლივ მშვიდობას დაამყარებდა. სინამდვილეში კი ხელ-ფეხი შეიკრა. მხოლოდ ათი თვე-ღა იყო საჭირო ბოლშევიკებისათვის, რომ ხელმეორედ შესეოდნენ საქართველოს და ამჯერად გაენადგურებინათ იგი.

¹ ამ მოძრაობას ქართლ ქართან კავშირში უნდა გაერთაისუფლებინა აზერბაიჯანი. იგი კარგად იყო მომზადებული. მიუხედავად ქართული ჯარის შეტრუბისა, მოსკოვის წინააღმდეგ აჯანყებამ 26 მაისს კლინავეტოპოლში (განჯაში), აზერბაიჯანის დღაქალაქში, მაინც იფეთქა.

თავი V

თბილისში ცნობილი ხდება, რომ ბოლშევიკები საქართველოს ხელმეორედ დასაპყრობად ემზადებიან

ხანამ საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ანტანტამ გადაწყვიტა დაეტოვებინა ბათუმი. 7 ივლისს ქალაქში ქართული ჯარი შევიდა.

ქართველები მარტო აღმოჩნდნენ ბოლშევიკების პირისპირ, უფრო ზუსტად — ბოლშევიკებით გარშემორტყმული. ახლა ბოლშევიკებს სომხეთიც დაპყრობილი ჰქონდათ, იმავე მეთოდით, რითაც ადრე აზერბაიჯანი ჩაიგდეს ხელში. ქართველებს წითლების შემოსევის საფრთხე ელის ყოველი მხრიდან, გარდა სომხეთისა, სადაც თურქეთ-საქართველოს საზღვარია და შავი ზღვის მცირე ზოლი.¹

ოქტომბერში ქართველები იგებენ, რომ ბოლშევიკები გამალებული ემზადებიან მათ დასაპყრობად.

ამ პერიოდში ბოლშევიკების მდგომარეობა საკმაოდ კარგია: დენიკინის შემდეგ დამარცხებულია ვრანგელი. მოგვარებულია პოლონეთთან ურთიერთობაც.

ივლისის თვიდან აზერბაიჯანში ბოლშევიკების თავშეყრა დაიწყო. ამ დროს ხანგრძლივი მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომელსაც აგვისტოში მეგობრობის ცნობილი ხელშეკრულების ხელმოწერა მოჰყვა.

¹ 1920 წლის 8 აგვისტოს ბ-ნი ვან მარტენი ბაკურთიანიდან სწერდა „ფრენკის გაზეთს“: „ჩემი ღრმა რწმენით, ბოლშევიკები თამაშობენ საქართველოში, როგორც კატა თავით. იციან, რომ დაღეჭონ კბილებით და დაეწრონ ბრჭყალებით. იციან რომ საქართველო მათ განკარგულებაში იქნება, როგორც ყო მიოსტრეცებზე. მის უბე სიმლოდრესაც კარგად გამოიყენებენ, როგორც ყო აზერბაიჯანს მოუღებენ ბოლოს. თუ ასეა, რაღას ელოან? კარგად იცნავენ ქართველი ჯარისკაცების სიამაყე და არ უყვართ, როცა ერთდროულად ბევრი მტერი ჰყავთ.“

სამწუხაროდ თბილისში თავდასხმისათვის მზადების ნათლად გამოხატულ ნიშნებს ის ყურადღება არ მიაქციეს, რასაც იმსახურებდა.

ნოემბერში ვითარება ძალიან დაიძაბა. საქართველოს მთავრობა უახლეს საფრთხეზე ზუსტ ინფორმაციას იღებს. უმცირესი ექვიც აღარ რჩება. ნათელია რა განზრახვა აქვს მტერს. თბილისში შერტყვევა, რომ აზერბაიჯანში წითელი ჯარის უფროსს ვინმე გეკერს, ბალტიის ქვეყნებიდან გამოსულ გენერალს. მოსკოვში სთხოვეს შეედგინა მოხსენებითი ბარათი საქართველოს შესაძლო დაპყრობის შესახებ.

ამ მოხსენებითი ბარათის პირი საქართველოს მთავრობას ხელთ ჰქონდა უკვე დეკემბერში. გეკერი აცხადებდა, რომ საქართველოს დასაპყრობად მხოლოდ ექვსი კვირა სჭირდებოდა.

ეფექტობ მსჯობა მოვიყვანო ამ საბუთის დამახასიათებელი ნაწყვეტები.¹ მოხსენებითი ბარათი ეგზავნებოდა მე-II არმიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს:

„როგორც უკვე მოგახსენეთ მე-II არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს კრებაზე ამა წლის (1920) 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ კიაზიმ კარაბეკირის (ქემალისტური თურქები) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ოპერაციისათვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შეეკმნათ.

ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24 000 რეგულარულ ჯარისკაცს და 14-16 000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიდრე რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრული დაშლის კრიზისს განიცდის და რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაქავებლად უნდა დავაყენოთ ძალები,

¹ გეკერის საიდუმლო მოხსენების თარგმანი ამოღებულია 1981 წ. ქარაზში გამოცემული კრებილიდან „დაპყრობის 60 წლისთავი“.

რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

„ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზულ წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაეარდნენ. ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავებდავ გამოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებულნი არიან ლენქორანში, დალესტანში, ჭავჭავაძისში და ყარაბაღში.“

„ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენით, რაც წერილობით უნდა მოვახსენოთ, თურქებთან ჩვენი ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.“

„თუ მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მგობრულ განწყობილებას დაიჭერს, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა და, უპირველეს ყოვლისა თბილისისა, უფრო რეალური გახდება.“

„საქართველოს წინააღმდეგ სრულიად გარანტირებული ოპერაციის ჩასატარებლად საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსკენ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, აღსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ, ქვეითი ჯარის ექვსი დივიზია და ხუთი დივიზია კავალერიისა; მთლიანად 25 000 ხიშტი და 4 000 ხმალი. ფოილოს მიმართულებით ამას გარდა კიდევ უნდა გვეყავდეს სამი ჭავჭავაძისანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად — ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი.“

„—ყველა ეს მოსაზრება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს

უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვეუთავოთ ხელი თბილისის ხალხს.

„თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომი მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად მოვახდინოთ მთელი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჩარები შეფერხდებიან. ამის გამო, თავს ნებას ვაძლევ გააფურთხოლოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდება:

1. ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტოპოლ-ყაზახში მემვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიის კონცენტრაცია.

2. ბაქო-ელიზავეტოპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლის მისვლა-მოსვლა, რომელიც სურსათით მოამარაგებს დეკემბერიანერის თვეთა განმავლობაში.

3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჩარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავსდეს ექვსი კვირის განმავლობაში...“

წითლების ორპირობა მთლიანად გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რომ დაახლოებით იმავე პერიოდში, როცა გეკერი ამზადებდა თავის მოხსენებით ბარათს, ჩიჩერინი უგზავნიდა ლორდ კერზონს ნოტას, რომელშიც აღნიშნავდა საბჭოების მთავრობის მშვიდობიან ზრახვებს საქართველოს მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1920 წლის სამ დეკემბერს ლონდონის სოციალისტურმა გაზეთმა „Daily Herald“-მა გამოაქვეყნა შემდეგი სტრიქონები:

„ლორდ კერზონს ბათუმის საკითხთან დაკავშირებით ჩიჩერინმა ნოტა გამოუგზავნა. ნოტაში გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ თითქოსდა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება. ეს კი არ შეესაბამება სინამდვილეს. ერთადერთი საფრთხე ანტანტაა...“

...საბჭოთა რუსეთს არ დაუწყია და არც დაიწყებს მტრულ საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ, ბათუმის ალებით ან სხვა რაიმე ქმედებით.“

* * *

მაგრამ საქართველოში იციან, რომ თავდასხმა მოსალოდნელია.

დაუყოვნებლივ იტზვენება ჯარის ნაწილები აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებზე სამეთვალყურეოდ. საფრთხე ამ ორი ქვეყნიდან არის მოსალოდნელი. ორივეს ბოლშევიკები ბატონ-პატრონობენ.

მაგრამ ხიფათი იმდენად ახლოა, რომ სერიოზული და გამალებული მზადებაა აუცილებელი.

1920 წლის ნოემბერია, ის თვე, როცა ახალწვეულები მიჰყავთ ჯარში. ყველაზე ლოგიკური ჩანს, რომ დაუგვიანებლივ გაიწვიონ ახალგაზრდები სამხედრო სამსახურში, რომ შემოსევისთანავე შეეძლოთ დედა-სამშობლოს თითოეული გოჯის დაცვა. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გაწვრთნილი ჯარისკაცების შეგროვება.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ვერ ხედავს ვითარებას და სხვა გადაწყვეტილებას იღებს. ნუ დაგაეიწყდებათ, რომ იგი სოციალდემოკრატიებისაგან შედგება და სამხედრო საქმეებში ვერ ერკვევა. მობილიზაციის მომენტისათვის სამხედრო ფორმების დიდი ნაკლებობა იყო. ერთდროულად ახალგაზრდების გაწვევა და რეზერვისტების მობილიზება არ მოხერხდებოდა. უნდა არჩევანი გაეკეთებინათ. ჯერ ახალგაზრდები უნდა გაეწვიათ, მერე რეზერვისტები.

მართალია, საფრთხე რეალური იყო (თუმცა გეკერის მოხსენებითი ბარათის პირი ჯერ ხელთ არ ჰქონდათ), მაგრამ საქართველოს მთავრობა მაინც ფიქრობდა, რომ თავდასხმა ასე ჩქარა არ მოხდებოდა. ბოლშევიკები კი ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობას. მაგრამ მათაც ბევრი რამ აკლდათ გამარჯვების მოსაპოვებლად. აუცილებელი მაშველი ჯარის გადმოსროლას რამდენიმე კვირა დასჭირდებოდა, რთული და ძნელი გზების გამო. ამ ხნის მანძილზე მოესწრებოდა ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის ინსტრუქტაჟის

ჩატარება. ეს მათ საშუალებას მისცემდა სამშობლო ტერიტორია უფრო ეფექტურად დაეცვათ. ამასობაში აუცილებელ ფორმებსაც იშოვნინდნენ. რეზერვისტებსაც შემოსავდნენ. შესაძლებელი იქნებოდა მათი რეგულიარული გამოძახება და ჩაცმა.

ეტყობა საქართველოს მთავრობა მხოლოდ აწმყოს ხედავდა. ცხადია, მას სურდა, რაც შეიძლება კარგად და სწრაფად მოეწყო იმ ქვეყნის დაცვა, რომლის ბედსაც განაგებდა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: ჯერ რეზერვისტები გამოიძახეს, ხოლო უფრო გვიან ახალგაზრდების გაწვევა დაიწყო.

ეს იყო სერიოზული და სახიფათო შეცდომა. ამაზე უარეს შეცდომას მთავრობა ვერ დაუშვებდა.

* * *

ბოლშევიკები, თავის მხრივ, დროს არ კარგავენ საქართველოში. მათ თბილისში მოაწყვეს რუსული საბჭოთა, დაახლოებით 300 კაციანი საელჩო. ეს რიცხვი, პროპორციულად საოცრად აღემატებოდა თბილისის საელჩოს განსაზღვრულ საშტატო რაოდენობას.

ეს იყო დიდი კომუნისტური კერა. მას ხელმძღვანელობდა ვინმე შეიშანი. საელჩო აწარმოებს კომუნისტურ პროპაგანდას. ეძებს კავშირებს. აგროვებს ცნობებს დაგეგმილი შემოსევის სასარგებლოდ. განსაკუთრებით აქტიურია საბჭოთა სამხედრო ატაშე. ეს პოსტი უჭირავს ცარიზმის არმიის ყოფილ გენერალს სიტინს. იგი 1917 წელს წითელ ძალებს ედგა სათავეში დენიკინის წინააღმდეგ. მაშინ სიტინი დამარცხდა. სავარაუდოა: როგორც ჯაშუშთა უფროსი და ინფორმატორი იგი უფრო მარჯვეა, ვიდრე არმიის სარდალი.

მოხდა ისე, რომ 1921 წლის თებერვალში, დანაშაულის ადგილას, ჯაშუშობისათვის სიტინს ორი სამხედრო დაუჭირეს — ივანოვი და გოკი. ისინი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. როცა ბოლშევიკები თბილისს მიუახლოვდნენ, ორივე დახვრიტეს.

როცა ქარიშხლის მომასწავებელმა პირქუშმა ღრუბლებმა პორიზონტი დაფარეს, პარიზში, ქართული საელჩოს დიდი მონდომების შედეგად,

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დე-იურედ აღიარა საერთაშორისო კონფერენციამ.¹

სამწუხაროდ, ეს დამოუკიდებლობა ეფემერული იყო. ძალიან ჩქარა, წითელი არმია ზევევივით მოაწყდა საქართველოს. რუსეთს მხარი აუბეს ქემალისტებმა. ამას მოჰყვა სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლა გმირული, კეთილშობილური, თავგანწირული, მაგრამ ამაო. წითლებმა გაიმარჯვეს. დაიწყო რეკვიზიცია, ძარცვა, ეკონომიკური ნგრევა, სილატაკე, მასიური დაჭერები, გაუსამართლებლად დახვრეტები და ყოველნაირი თავისუფლების მოსპობა.

ღრმა თანაგრძნობა უჩნდება ადამიანს, როცა გაიგებს ქართველთა ამ დრამას. შეუძლებელია არ სცე თაყვანი იმ გმირებს, ვინც მედგრად ეწინააღმდეგებოდა მტერს. არ გოცდე იმ სრული ერთიანობით, რომელიც სუფევდა ამ ძაძებმოსილ დღეებში.

სანამ საშხედრო ხასიათის მოვლენებს შევხებოდე, იმ პრავალმხრივ ღირშესანიშნავ კამპანიას, ვფიქრობ საჭიროა გიამბოთ — როგორ ემზადებოდა ეს მცირერიცხოვანი ერი წითელი ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ შეიარაღებულ ძალას შეადგენდა ეროვნული გვარდია (23 ბატალიონი), რევულარული არმია (12 ბატალიონი, რომელიც მობილიზაციის პერიოდში გაიზარდა 36 ბატალიონამდე). თითოეულ ბატალიონში 600 კაცი შედიოდა. მთლიან მობილიზაციის შემთხვევაში ჯარის საერთო რაოდენობა შეიძლება 35 400 მეომარი ყოფილიყო.

მობილიზაციის გეგმის ხარვეზების გამო, 15-20 დღე დასჭირდა ჯარში გაწვევას, ჩაცმას, იარაღით აღჭურვას. რამდენიმე დღე ქვეგანყოფილების ჩამოყალიბებამ წაიღო. 35 400 მეომარს უნდა

¹ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე-იურედ აღიარეს შემდეგმა ქვეყნებმა — ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, არგენტინამ, ვერძინამ, პოლონეთმა, ესტონამ, რუმინეთმა, ლუქსენბურგმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლიხტენშტაინმა.

დაემატოს არტილერია, საინჟინრო ჯარები, კავალერია, მეკავშირეები, არიერგარდი. სულ 50 000-დან 55 000-მდე კაცი.

სამშობლოს დასაცავად სინამდვილეში 148 000 ქართველი იყო გაწვეული (ე. ი. ყველა მამაკაცი 20-დან 38 წლის ჩათვლით).

საქართველო შეძლებდა უფრო ეფექტურად წარემართა ბრძოლა, ჯარის ორგანიზება მშვიდობიანობის დროს რომ მოხდარიყო. ომისათვის იგი უფრო თანმიმდევრულად და პრაქტიკულად მოემზადებოდა. ამჟერად კი მას საშუალება ჰქონდა 55 000 კაცზე მეტი გაეწვია ჯარში.

ამით ხელმძღვანელობდა მე-11 არმიის წითელი სარდალი გეკერი. მან საქართველო დაიპყრო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, ანუ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. როგორც უკვე ითქვა, იგი მოხსენებით ბარათში მოსკოვს სამხედრო ოპერაციებისათვის სთხოვდა მინიმუმ 30 000 მეომარს. მე-9 წითელი არმია კი საქართველოში უნდა შემოტყრილიყო კავკასიონის ხეობებით და შავი ზღვის სანაპიროთი.

გეკერი ეყრდნობოდა საბჭოთა საელჩოს ცნობებს. მან ზუსტად გამოითვალა, რომ ქართული შეიარაღებული ძალის ერთი მესამედი გაიგზავნებოდა მთებში და ზღვის სანაპიროზე. თავად გეკერს 20-22 000 მეომარზე მეტი არ დაუპირისპირდებოდა. ესეც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ საქართველოში მთლიანი მობილიზაცია ჩატარდებოდა.

* * *

როგორც წესი, მობილიზაცია ომისათვის მზადების ბოლო აქტია. მობილიზაციისას ქვეყნის ძალების დაჯგუფება წინასწარ დადგენილი დირექტივების მიხედვით მიმდინარეობს. ამის მერე იწყება ოპერაციები.

მობილიზაცია საქართველოში 1920 წლის ნოემბერში დაიწყო. შეიარაღებული ძალა გაიგზავნა სამხრეთ აღმოსავლეთის ძირითად პუნქტებში: ვორონცოვკის რაიონში — 3 000 კაცი (ეროვნული გვარდია), სადახლოში — 5 000 მეომარი (რეგულარული არმია), წითელი ხიდის მიდამოებში — 5 000 კაცი (ეროვნული გვარდია), ფოილოს ხიდთან — 1 500-2 000 მეომარი (ეროვნული გვარდია),

ლაგოდებში — 1 000-1 500 კაცი (ეროვნული გვარდია და რევულარული არმია).

გეგერის მოხსენებითი ბარათი ცნობილი იყო საქართველოს მთავრობისათვის. მასში ნათლად იყო აღნიშნული ბოლშევიკების საომარი ზრახვები. მიუხედავად ამისა, მობილიზებულ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი შინ გაუშვეს.

როგორც უკვე ვთქვით, რეზერვისტების პირველი კონტინგენტი 1920 წლის ნოემბერში უნდა გაეწვიათ, მაგრამ მხოლოდ 1921 წლის იანვარში წაიყვანეს. ომი კი 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო. ამ წუთისათვის რეზერვისტები იმდენად მოუმზადებელი იყვნენ ბრძოლისათვის, რომ მათ ალბათ ჭამის მეტი არაფერი შეეძლოთ.

ქართული შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი განლაგებული იყო საზღვრების გასწვრივ. მას მტერი უშუალოდ ეშუქებოდა. მეორე ნაწილი გარნიზონებში იმყოფებოდა. ზოგიერთი გარნიზონი 5-6 და 10 დღის სავალზე იყო დაცილებული რკინიგზას. ეს დეტალიც კი საემარისია იმისათვის, რომ ცხადი გახდეს — რა სიძნელეებს ხდებოდა საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობა ქვეყნის დაცვის საქმეში.

დააკვირდით ამ ფაქტს: თბილისის გარნიზონის პირველი გამაგრებული პუნქტი (ორი ქვეითი ბატალიონი) დაშორებული იყო საზღვრის ყველაზე სტრატეგიულ პუნქტებს შემდეგი მანძილით: ეორონცოვკიდან — 220 კმ. (ფეხით), სადახლოდან — 100კმ. (რკინიგზითა და ფეხით), წითელი ხიდიდან — 70 კმ (ფეხით), ფოილის ხიდიდან — 90 კმ (რკინიგზითა და ფეხით), ლავოდებიდან — 160 კმ. (რკინიგზითა და ფეხით).

ამრიგად, ქართული არმიის ნაწილები დაქსაქსულნი იყვნენ. ამას გარდა შეუძლებელი ხდებოდა გამოეყენებინათ 1920 წლის წვევამდევები. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოს სჭირდებოდა ყველა საშუალების გამოყენება, ყველა ჯარისკაცის ამოქმედება ბოლშევიკური ურდოების წინააღმდეგ.

თავი VI

სიტყვისგამტახნი ბოლშევიკები მეორედ იპყრობენ საქართველოს

აზერბაიჯანში უმაღლესი წითელი მთავარსარდლობა ემზადება საქართველოზე თავდასასხმელად. ამ დროს ქართული არმია განლაგებულია სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ხუთ პუნქტში. შემოსევა აქედან არის მოსალოდნელი და ამიტომ სომხეთის მხარეს საქართველოს ჯარი განლაგებულია ევრონცოვკისა და სადახლოს რაიონებში; აზერბაიჯანის მხარეს — წითელ ხიდთან, ფოილოს ხიდთან და ლაგოდეხში.

წითელი რუსეთის მიერ დაპყრობილ სომხეთსა და საქართველოს შორის არსებობს სადაო ტერიტორია. სომხეთის დაპყრობამდე, გარკვევა იმისა — ვის ეკუთვნის სადაო ტერიტორია — საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მოლაპარაკება-მოგვარების საგანი იყო. ეს ერთგვარად ნეიტრალური ტერიტორია არავითარ მტრულ გამოხდომებს არ იწვევდა. საზღვარზე განლაგებულ ქართულ ჯარის და წითელი არმიის ნაწილებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა იყო.

ამგვარი იყო ვითარება, სანამ რაიმე საპატიო საბაბის და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წითელი მე-II არმიის რაზმები მოულოდნელად არ შეიჭრნენ ხსენებულ ზონაში 1921 წლის 12 თებერვალს ღამით. მათ მოჰყვა წითელი არმიის დანარჩენი ნაწილიც გენერალ გეკერის მეთაურობით. ისინი ხელში იგდებენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს. ბნელი ღამით სარგებლობენ და ჩუმად ესხმიან ქართულ ჯარს, განლაგებულს სადახლოსა და ევრონცოვკაში. ქართული არმიის ის ნაწილები, რომელთაც მოახერხეს გაქცევა, სასწრაფოდ გაერთიანდნენ და ეკვეთნენ მტერს. სცადეს წითლების შეჩერება.

თბილისიდან სასწრაფოდ გაგზავნილი დამხმარე ბატალიონი,

სადახლოში, ენერგიულ კონტრშეტევაზე გადადის, მაგრამ მტრის წინსვლას ვერ აჩერებს. თბილისი კიდევ ერთ ბატალიონს ამატებს, შემდეგ ნახევარ ბატალიონს. ისინი მედგრად იბრძვიან, მაგრამ ამაოდ.

ახლომახლო დამხმარე ძალა აღარაა. 14 თებერვალს გაიცა ბრძანება: წითელ ხიდთან მდგომი საჯარისო ნაწილები დაეხმარებიან სადახლოს მეზობლებს. წითელ ხიდთან ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა. მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, როგორც ეს ხიდია, დაუცველი რჩება.

დასახმარებლად გავ ზავნილი ეს პატარა-პატარა რაზმები, სამწუხაროდ, იმთავითვე განწირული იყო დასამარცხებლად. როცა ბოლო დამხმარე ჯგუფი 5 000-6 000 მეომრით, გენერალ ჯიჯიხიანს შეთაურბობით წითელ ხიდთან მივიდა, უკვე გვიან იყო. ქართველი ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ საზღვრის დაცვაზე. ისინი გაემართნენ მდინარე ხრამის მიმართულებით და დაბანაკდნენ მდინარის მეორე ნაპირზე.

მდინარე ხრამი კი თბილისიდან 30 კმ-ზეა.

წითელ ხიდთან ეროვნული გვარდიის მხოლოდ ერთი ბატალიონი დარჩა. ბოლშევიკებმა კეთილი და მეგობრული დამოკიდებულებით ქართველთა სიფხიზლე მოადუნეს. ამით აზერბაიჯანის მხრიდან ისარგებლეს წითლებმა და ელვისებური სისწრაფით თავს ესხმიან ქართველებს; აიძულებენ დასავლეთისაკენ დაიხიონ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა.

ქართული ჯარის მარცხენა ფრთა, განლაგებული მდ. ხრამის ნაპირზე, სადახლოს პირდაპირ, მტერმა აღმოაჩინა. 16-ში ზურგიდან მიეპარა და ხელთ იგდო. უთანასწორო ბრძოლა შეუძლებელი გახდა. იგი წაგებულია. საქართველოს ამ ნაწილს მტერი ეუფლება.

* * *

მტერი კი, ერთგული მისთვის ჩვეული ცბიერი პროპაგანდისა, ხმამაღლა აცხადებდა ეორონცოვკასა და სადახლოში განლაგებული ქართული ჯარის წინააღმდეგ შეტევისას წითელ არმიას სომხეთში საგანგებოდ შეგროვებული ბანდა ახლდაო. წითელი არმია ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც სომეხის, ისე ქართველის

სურვილს. მოსახლეობას თანასწორუფლებიანობა სურს. წითელი არმია ებმარება ადგილობრივ მოსახლეობას ქართული ჯარის წინააღმდეგ.

შემდეგმა მოვლენებმა ცხადჰყვეს ამ განცხადების სიცრუე. როგორც კი მოულოდნელი თავდასხმის ამბავი ცნობილი გახდა, ქართველებმა დაამტკიცეს თავიან პატრიოტული სულისკვეთება და ეროვნული სული. ისინი ერთსულოვნად შეერკინენ მტერს. მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ წითლების საქართველოში შემოსვლისა. ამას წინათ ერთი ამერიკელი, რომელიც სომხეთის დამხმარე ამერიკულ მისიაში მონაწილეობდა და რამდენჯერმე საქართველოში ყოფნა მოუხდა, ჩემთან ლაპარაკში იხსენებდა იმ დღეებს და საათებს, საქართველოსათვის ტრაგიკულს და ამასთანავე პათეტიკურს; იხსენებდა, როგორი ენთუზიაზმით იცაედა ქართველობა სამშობლოს; იხსენებდა სადგურებში, რკინიგზებზე გამოფენილ ხალხს, რომელიც ჯარისკაცებს ყვავილებს ესროდა და მათთვის სურსათ სანოვავე მოჰქონდა.

წითლების ცბიერების მეორე მაგალითსაც მოვიყვან: იმ მოულოდნელი თავდასხმის მერე, თბილისის დაცვის დროს, საქართველოს მთავრობამ კატეგორიულად მოსთხოვა მოსკოვს ახსნა-განმარტება, ამჭერად ყოველგვარი ყოყმანის გარეშე; თურმე მოსკოვმა არაფერი იცოდა, საქმის კურსში არ იყო. მისი აზრით, საზღვარზე უმნიშვნელო ინციდენტი მოხდა.

ცხადია, წითლებს დიდიხნით ადრე ჰქონდათ განზრახული ეს დარტყმა. ზემოაღნიშნული მოლაპარაკებისას განა მათ არ მოითხოვეს: საქართველოს მშვიდობიანი ზრახვებისა და ურთიერთდობის საბუთად სწორედ ფოილოს ხიდი ყოფილიყო? სასაზღვრო ხიდი, რომელიც ნეიტრალურ ზონად გამოაცხადეს და რომელიც არ უნდა დაენალმათ. საქართველოს მთავრობას სჯეროდა მოსკოვის მშვიდობისმოყვარეობა და ამიტომაც დათანხმდა ამ უცნაურ პირობაზე. რა მოჰყვა მერე ამას? ფოილოს ხიდის დამცველებს, მტრის ძლიერი დაწოლის გამო, უკან დახვეა მოუწია და იმ ნაწილებთან შეერთება, რომელიც თბილისისაკენ მოდის. მართალია, ქართველებმა ხიდი ააფეთქეს, მაგრამ ნაჩქარევად. ისე ვერ ააფეთქეს, რომ ხიდი დიდი ხნის განმავლობაში გამოუსადეგარი

ყოფილიყო. ბოლშევიკებმა იგი სწრაფად შეაკეთეს. ზედ ჩავშნიანი მატარებელიც და ტანკებიც გაატარეს, რაც დიდ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა.

* * *

16-ში საღამოთი, ქართული ჭარის ის ნაწილი, რომელმაც მოახერხა მტრისაგან თავი დაეღწია, სანგარში შეაკრიბა. იმ დროს გზა წითელი ხიდიდან თბილისამდე ღიაა ბოლშევიკებისათვის. ეს სამწუხარო ამბავი, იმავე დღეს შეტყვევს თბილისში.

გენერალი ოდიშელიძე გადააყენეს თანამდებობიდან. მთავარ-სარდლობა კიდევ ერთხელ გადავიდა გენერალ კვინიტაძის ხელში. კვინიტაძე გადადგომის შემდეგ უმუშევარი იყო. სამხედრო მატრიანებში იშვიათ მაგალითად უნდა შევიდეს ერთი ფაქტი: გადაყენებული გენერალი ოდიშელიძე, რომელმაც მთავარსარდლობა ვერ შეძლო, მთავრობის თავმჯდომარემ უორდანიამ მოიწვია და თავის სამხედრო მრჩეველად დანიშნა. ეს თანამდებობა საგანგებოდ გადაყენებული გენერალისათვის შექმნეს.

ისევე, როგორც 1920 წელს, თავდაცვის არავითარი გეგმა არ არსებობდა. ახალმა მთავარსარდალმა ეს რომ დაინახა, მთავრობას შეეკითხა: წინააღმდეგობა თბილისში დამთავრდება თუ ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდებაო. მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო. სანამ შეეძლებათ, ქართველებმა უნდა იბრძოლონ და სამშობლო უკანასკნელ გოჯამდე დაიცვანო.

ყველა სათადარიგო ნაწილი სწრაფად გამოიძახეს თბილისში. ორი პოლკი გაგრის მიმართულებით, შავი ზღვი პირას გაიგზავნა. რამდენიმე რაზმს კავკასიის ხეობების დაცვა დაევალა. ახალშექმნილი, ჭერ კიდევ არარსებული პოლკები სასწრაფოდ თბილისში ჩამოვიდნენ დედაქალაქის დასაცავად. თავგანწირულად იბრძოლეს კიდევ პირველი დღიდან უკანასკნელ წუთებამდე.

თბილისისათვის ბრძოლა 16 თებერვალს დაიწყო. იმ დროისათვის ქალაქში მხოლოდ 400 ჭარისკაცი იყო, ქალაქის დაცვის რეგულიარული გარნიზონი.

სინამდვილეში თბილისი დაუცველი იყო. ამ პატარა გარნიზონში ის ჭარისკაცები იყვნენ, რომლებიც წითლებთან ბრძოლაში უკან იხედნენ და თბილისში ნელნელა იყრიდნენ თავს. ისინი დემორალიზებულნი იყვნენ მდ. ხრამზე დამარცხების გამო და უძლურნიც, სერიოზული წინააღმდეგობა რომ გაეწიათ მტრისათვის.

* * *

ასეთი იყო ვითარება, როცა ბოლშევიკებმა, 18-19 თებერვალს ღამით, იერიში დაიწყეს სოღანლულის მხრიდან. კოჭრის მხრიდან კი გამთენიისას აიღეს ეს დაბა. კოჭრის შალაღი ადგილი, დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს.

აქ უნდა გაგახსენოთ, რომ ბოლშევიკების სწრაფ წინსვლას სხვადასხვა გარემოებამ შეუწყო ხელი:

17-ში ბოლშევიკებმა ფოილის ხიდს შეუტყეს. ამ სასაზღვრო ხიდს ეროვნული გვარდიის ორი ბატალიონი იცავდა. როგორც უკვე გითხარით, მოსკოვთან მოლაპარაკების საფუძველზე ხიდი ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული. მიღებული იყო შეთანხმებაც, რომ ხიდი არ დაენალმათ.

მოსახდენი კი მოხდა: წითლების მოულოდნელმა იერიშმა ქართველებს არ აცალა ხიდის დანადგვა. შესძლეს მხოლოდ იმ საყრდენი ბურჯის აფეთქება, რომელიც ქართველთა მხარეს იყო. მტერმა ჩქარა შეაკეთა ხიდის დაზიანებული ნაწილი. დიდ სამხედრო ძალასაც მოუყარა თავი. სამი ჯავშნიანი მატარებელი და სამი ტანკიც მოიშველიეს. ქართულმა ჯარმა თბილისისაკენ დაიხია.

უკან დაიხიეს იმ ნაწილებმაც, რომელნიც ლავოდებთან იცავდნენ საზღვარს. ბოლშევიკების არმია მრავალრიცხოვანი იყო. მის შემოტევას ქართველებმა ვერ გაუძლეს.

17-18 თებერვალს, როგორც იქნა, თბილისში წინააღმდეგობის ცენტრი ჩამოყალიბდა. მასში ის საჯარისო ნაწილები შევიდა, რომელთა შეგროვება მოხერხდა.

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი შემდეგი ვითარება იყო:
ორნახევარი ასეული, ანუ 500 ხიშტიანი ჭარისკაცი, კოჯორში იყო
განლაგებული.

სამხედრო სკოლა და მე-9 პოლკის ერთი ბატალიონი, დაახლოებით
1000 ხიშტი, ტაბახმელაში იდგა (კოჯრის მთის ფერდი სოლანლულის
მიმართულებით).

სამნახევარი ბატალიონი კი, დაახლოებით 1 700 ხიშტი, სოლანლულის
ბორცვებს იცავდა მტკვარამდე.

მტკვრის მარცხენა ნაპირს ბოლშევიკები მხოლოდ 50 კმ-ით იყვნენ
დაშორებული. თბილისში იქმნებოდა ეროვნული გეარდიის 7 თუ 8
ბატალიონი იმ ჭარისკაცთაგან, რომელნიც ხრამის დამარცხებას
გადაურჩნენ.

18-ში სალამოს, დასაზვერად გაგზავნილმა რაზმმა, თბილისიდან 15
კმ-ის მანძილზე, ბოლშევიკების ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. მაგრამ
ვორონცოვიკიდან თბილისისაკენ უკანდახეულ ქართულ ჭარს თავს
დაესხა ბოლშევიკების არმია და გაფანტა იგი. თუმცა გაფანტულთაგან
ბევრმა მიაღწია ტაბახმელაში განლაგებულ ნაწილებამდე.

19 თებერვალს, გამთენიის სამ საათისათვის, სოლანლულში
ბოლშევიკები ქართველთა ფორპოსტს უახლოვდებიან. მთელ ხაზზე
დაიწყეს შეტევა. ბრძოლა გათენებამდე გაგრძელდა. დილით ბოლ-
შევიკებმა პოზიცია დასთმეს. სამარცხვინოდ უკუიქცნენ და გამარჯვებულ
ქართველებს, ერთი ოთხის წინააღმდეგ რომ იბრძოდაჩ 1000 ტყვე
დაუტოვეს.

სამწუხაროდ, იმავე დილით, წითლებმა კოჯრის მთა (1524 მ)
დაიკავეს. იგი თბილისის შემოგარენშია და ქალაქს თავზე დაჰყურებს.
ამ შესანიშნავი გადმოსახედიდან ბოლშევიკებს შეუძლიათ პირდაპირ
ქალაქისაკენ დაიძრან. სულ 4 თუ 5 კმ-ია. ამით ისინი ფლანგებიდან
მოუვლიან ქართულ რაზმებს, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირავთ
ტაბახმელა და სოლანლული.

კოჯრის დამარცხება სოლანლულის გამარჯვებას აქარწყლებს.
მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სასწრაფო და გადაუდებელი
მოქმედება.

საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობა შეუძლებელს გადაწყვეტს. ეცდება კოჭრიდან გაავდოს მტერი. კოჭრის ფერდობები იმდენად დამრეცია, რომ კონტრშეტევა არარეალური ჩანს.

აზც ახალი რაზმები და რეზერვებია. იმ ძალების გადაჯგუფება კი რაც არის, საკმაო დროს მოითხოვს — რვა, ათ საათს. ბოლშევიკების კოჭრიდან განდევნა კი დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს!

და ამ დროს ხდება საოცარი რამ, რაც ნათელჰყოფს ქართველი ჯარისკაცის სულის სიდიადეს.

თავად ანდრონიკაშვილი კოჭრის მეზობლის, ტაბახმელას სარდალია. მას ჰქირე ჯგუფი ჰყავს. იგი სამხედრო სკოლის კურსანტებისაგან შედგება. ანდრონიკაშვილი ამ 30 — კაციან პატარა ერთეულს ორ ნაწილად ჰყოფს. კაპიტან თოიძის მეთაურობით, ეს კურსანტები და მსუბუქი არტილერიის სამი ბატარეა ეკვეთა მტერს. ისე, როგორც წყლის წვეთი ცდილობს დიდი ნაკადის შეჩერებას, ასევე ფიქრობენ ეს ბოქები დააკაონ წითლების წამოსული ზეავი.

ხდება გაუგონარი ამბავი. თავადი ანდრონიკაშვილი ამ ჭაბუკებზე ამყარებდა იმედს. იმათაც გაუმართლეს. საქართველოსათვის თავგანწირულმა რამდენიმე კურსანტმა მოახერხა კოჭრის ბორცვის აღება. იქიდან მათ ფეხი არ მოუცვლიათ. ბოლშევიკთა ურდოები უწყვეტ იერიშად მიედინებოდა. სამი ჩინებულად აწყობილი ბატარეა ანადგურებს მათ.

კაპიტანი თოიძე ბრძოლის დაწყებისთანავე დაიღუპა. მოკლეს მისი ერთადერთი ლეიტენანტიც. სამხედრო სკოლის თავგანწირული და უდრეკი ჭაბუკების გეამები კოჭრის ბორცვებს ეფინება. გადარჩენილებში ცოტაა, ვინც არ დაჭრილა. ასე შეუწყვეტლად მიმდინარეობს ბრძოლა ლამემდე.

როგორც იქნა, მათ დასახმარებლად 5 ბატალიონი მოვიდა. ისინი სხვა ნაწილებიდან გამოივზაენა.

მეორე დღეს, გამთენიისას, მეომრები წინ წინ მიიწევდნენ, მიცოცავდნენ, ებლაუჭებოდნენ კოჭრის ციცაბო კლდეებს (ზოგან დამრეცი 45 გრადუსია). ყმაწვილების თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო — კოჭორი აღებულა. ბრძოლის ველზე მტერმა დატოვა 200 მოკლული, 4 ქვემეხი, 18 ტყვიამფრქვევი.

თავი VII

საქართველო ბარბაროსებმა დაიპყრეს

თბილისის გარშემო დღეცა და ღამეც გაშმაგებული ბრძოლები გრძელდება. იგი მხოლოდ 24-25 თებერვალს, ღამით 12 საათზე დამთავრდება.

თბილისის ეს დაუვიწყარი დაცვა, ისევე როგორც მთელი ეს ომი, საესეა ეპიზოდებით, რომელნიც ავლენენ ქართველთა პატრიოტიზმისა და გმირობის, თავგანწირვისა და კეთილშობილების გრძნობებს. კოჭრის აღების გარდა, კიდევ რამდენიმე მაგალითი უნდა გვიამოთ. ისინი საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად გავიგოთ ქართველთა ბუნება.

ტაბახმელის რაიონის ერთ ტრანშეაში 40 ჯარისკაცია. მათ კაპიტანი ყიფიანი მეთაურობს. უცბათ ტრანშეას თავს დაესხა წითელი რაზმი. თითქმის ალყაში მოაქცია. რიცხოზრივად მათ შორის უშველებელი სხვაობაა. მაგრამ ქართველები არ ნებდებიან. იმედოვნებენ დახმარება მოუსწრებთ. ეს იმედი ამაოა. ქართველთა რაოდენობა სწრაფად კლებულობს. რჩება მხოლოდ ფეხზე მდგომი ხუთი ჯარისკაცი და მათი კაპიტანი. ბოლშევიკები ტრანშეას იღებენ.

ხუთი გადარჩენილი რწმუნდება, რომ დამარცხება გარდაუვალია. ისინი ერთ მუშტად იკვრივებან. კაპიტანი მათგან ცოტა მოშორებით აღმოჩნდა. მას არც გაქცევა სურს და არც ცოცხლად მტრის ხელში ჩავარდნა. კაპიტანი მკერდზე რევოლვერს მიიდებს. ერთი მეორის მიყოლებით ტყვიებს დაიხლის. სასწაული! კაპიტანს სიკვდილი არ ეკარება. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რომ სიცოცხლე მოისწრაფოს. უეცრად ვიღაცამ უსწრაფესად ხელიდან გამოგლიჯა რევოლვერი. ეს საშხედრო სკოლის კურსანტები გამოჩნდნენ დასახმარებლად. კურსანტებმა მტერი უკუაგდეს. ტრანშეა ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს.

სამხედრო სკოლის კურსანტებმა ამ აქტით ისეთი დიდება მოიპოვეს, რომ მათ მთელი საქართველო „ტაბახმელას გმირებს“ უწოდებს.

ერთი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი თავის ტრანშეისაკენ მიდიოდნენ. ღამით მიმართულება შეეშალათ. ანაზღად ბოლშევიკების დიდ ჯგუფს შეეჩვენენ. დარწმუნებულნი, რომ გარდაუვალი სიკვდილი ელით, დაუფიქრებლად მტერს ეკვეთნენ „ვაშას“ ძახილით. ხდება კიდევ ერთი საოცრება: წითლები იარაღს ყრიან! და ამ სამ კაცს ტყვედ ნებდებიან...

იმ ვეჯაკებს, კოჭრის მთა რომ დაუბრუნეს ქართველებს, კაპიტანი ალექსი-მესხიშვილის ბატარეა ახლავს. იგი უკან იხედება და რას ხედავს: 50-ოდე ბოლშევიკი ზურგიდან უვლის, ბატარეის ხელში ჩასაგდებად. „ჩემსკენ“ — ბრძანებს ალექსი-მესხიშვილი. თვალისდახამხამებაში ხმალამოწვდილი მეზარბაზნეები მის გვერდით დგანან. „ვაშას“ ძახილით ეს პატარა რაზმი მტერს ეკვეთება. სამხედრო სკოლის კურსანტებიც მათ დასახმარებლად მიეშურებიან. წითლებმა ველარ გაუძღეს ორივე მხრიდან შემოტევას. ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა... თბილისის ახლოს სამხედრო სკოლის კურსანტებს მტერმა ტრანშეა წაართვა. კურსანტების მეორე ჯგუფმა იგი უკან დაიბრუნა. ტრანშეაში სასიკვდილოდ დაჭრილი და გულწასული შალვა ერისთავი ნახეს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას თოფი ხელიდან არ გაუშვია. თვალს ვერ ახელდა, ფეხზე ვერ დგებოდა და მინც საბრძოლო განკარგულებებს იძლეოდა...

უკან დახვეისას, ქართულმა ჯარმა ქუთაისი დატოვა (ამაზე მოგვიანებით ვიამბობთ). შეამჩნიეს, რომ სამხედრო ფორმით დატვირთული სამი თუ ოთხი ვაგონი სადგურში დავიწყებოდათ. ქართველებს ღირსების საკითხად მიაჩნდათ — არაფერი დაეტოვებინათ მტრისათვის. არიერგარდის სარდალმა ანდრონიკაშვილმა ჯავშნიანი მატარებელი გაგზავნა იმ ვაგონების წამოსაყვანად.

ქუთაისის სადგური და მთელი ქალაქი წითლების ხელშია. ქართული ეროვნული გვარდიის ოფიცრის, ჯავშნიანი მატარებლის მეთაურის გოგუაძის ბრძანებით, მატარებელი დიდი სისწრაფით შეიჭრა ქალაქში. მიალწია სადგურს. ჯავშნიანი მატარებლის წევრები

დავიწყებულ ვაგონებს გამოაბამენ ჯავშნოსანს და ქალაქიდან გაიყვანენ. თან ქუთაისის სადგურში დატყვევებულ 20-ოდე წითელ კაზაკსაც გაიყოლებენ.

საქართველოში ბოლშევიკების რეჟიმი რომ დამყარდა, ეს გმირი (გოგუაძე) პარტიზანების მეთაური გახდა. მთებში გაიხიზნა და იქიდან ებრძოდა მტერს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ის წითლებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს.¹

* * *

ბრძოლა გრძელდებოდა. ზემოთ ნაამზობის მსგავსი ბევრი ეპიზოდის მოყოლა შეგვიძლია...

მაგრამ ქართული უმაღლესი მთავარსარდლობა გრძობს: მიუხედავად ქართველთა დიდი ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის, ძალები უთანასწოროა. გადაწყვეტილია 24-ში უკან დაიხიონ.

მართლაც, თბილისის დაცვა უკვე შეუძლებელია. გაჩნდა საშიშროება ქართული ჯარის ალყაში მოქცევისა. ეს ხდება იმ დროს, როცა ქართული ჯარი 9 600 ხიშტს ითვლის, ხოლო მტერს 5 ქვეითი დივიზია ჰყავს და ორი კავალერიისა, ე. ი. 30 000 მეომარი. მათ განუწყვეტლივ ემატება ახალი ძალები რკინიგზით ბაქოდან.

მცირერიცხოვნების გამო ქართული საჯარისო ნაწილები დღედაღამ იბრძვიან. მათ შემცველი არა ჰყავთ. ისინი სტოვებენ იმ ადგილებს, სადაც შედარებით სიმშვიდეა. სასწრაფოდ მიეშურებიან იქ, სადაც გაათრებულნი ბრძოლაა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც თბილისი ალყაში იყო, დედაქალაქში მანქანების განუწყვეტელი მიმოსვლა იყო. მათ მეომრები გადაჰყავდათ კოჯრის, ტაბახმელას, სოლანლულის მიდამოებში, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე. მანქანების მოძრაობა კარგად იყო ორგანიზებული. ჩინებულადაც მოქმედებდა. ამან საშუალება მისცა მთავარსარდლობას დედაქალაქი საკმაოდ დიდხანს დაეცვა.

¹ ვ. გოგუაძე 1934 წლის აჩანების წინ დააპატიმრეს დახვრიტეს აჩანების სხვა ხელისუფლებთან ერთად (მთავრებლები).

შაგრამ რა შეუძლია თავგანწირვას, ამალღებულ და წმინდა გრძნობას იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც რიცხოვნად ბევრად აღმატებულია და ყოველ საათს ძალას იმაგრებს ახალ-ახალი რეზერვებით?

ქართველები მხოლოდ თავდაცვით უნდა შემოფარგლულიყვნენ. მცირერიცხოვნების გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება ცეცხლის რკალი გაერღვიათ და გასულიყვნენ. თბილისის გარშემო მტრის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 24 თებერვალს, 16 საათისათვის, დადგა კრიტიკული მომენტი: დასაველეთო, შავი ზღვისაკენ მიმავალი რკინიგზის სადგურა ავჭალა ბოლშევიკებმა აიღეს. თბილისი თითქმის მთლიანად ალყაშემორტყმულია. დარჩენელია ერთადერთი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა (სამხედრო გზა). ბოლშევიკები მას 3 თუ 4 კმ-ით არიან დაშორებული. დედაქალაქის გადარჩენის იმედი გადაწურულია. ბრძოლა მაინც გრძელდება, ვარუშნებში. მტკვრის ორივე ნაპირას ამასთანავე დასაველეთისაკენ იგზავნება საწოვაგე, აღჭურვილობა, ტანსაცმელი და სხვა, ყველაფერი, რისი გადარჩენაც სურთ.

22 საათისათვის ბოლშევიკების ყველა იერიში უკუგდებულა. დედაქალაქის გარშემო ამ შეუწყვეტელი ომის დაწყებიდან პირველად ხდება, რომ სიმშვიდე დგება. ორივე მხრიდან წყდება საომარი მოქმედება. ყველა ცეცხლმსროლელი იარაღი დუმდება.

შესვენების ეს წუთი ბედისწერის საჩუქარი იყო ქართულ არმიისათვის. ამან გაუადვილა მას ნორმალურა უკანდახევა.

მართლაც, ღამის 12 საათზე შესაძლებელი გახდა უკანდახევის დაწყება. ბოლშევიკები აღარ აწუხებენ. თბილისის ევაკუაციას არაფერი უშლის ხელს. 25-ში დილით ადრე საჭარისო ნაწილებმა დედაქალაქი გაიარეს. უკანდახევა მტკვრის ორივე ნაპირზე მიმდინარეობს. მარცხენა კოლონას ერთ ადგილას, სოფელ ავჭალაში, ხიშტებით მოუხდა გზის გაკაფვა. წითლებმა, რომელთაც სადგური ავჭალა დაიკავეს, სოფელი ავჭალაც აიღეს. იგი დედაქალაქიდან 10 ვერსზეა.

მიუგრობა და დამფუძნებელი კრება უკანასკნელ წუთებამდე

თბილისში დარჩა. მათ არიეოგარდაან ერთად. ლატოვეს დედაქალაქი.

25-ში ქართული არმია დისციპლინირებულად იხვეს უკან. იგი მტხვთა ალწევს. იქ ათევს ლამეს. მერე გორში ჩადის. გორს ტოვებს ცხარე ბოძოლის შეძლევ. ბოლშევიკებმა გორში ზურგიდან დაარტყეს ქართველებს.

უკანდახევა მეთოდურად გრძელდებოდა. პირველ მარტს არმია ნაშურს ალწევს. აქ. ორი დღის ბრძოლის შედეგად ბოლშევიკების იერიში შეჩერებულია. გამარჯვება ქართველებს რჩებათ. ისინი დაიღალნენ პასიური როლით, რაც გარემოებამ მოახვია თავს. თავდაცვიდან შეტევაზე გადადრან.

ხელისგულივით გაშლილ ველზე ქარი დათარეშობს. დაბლობი დაფარულია სქელი თოვლით. ადამიანი მუხლებამდე ეფლობა. ხე რომ ხეა, ისიც არსად ჩანა. არა თუ რაიმე ნაგებობა-თავშესაფარი. მთელი კვირის ბრძოლით გადაქანცული ქართველები უცბათ შეტევაზე გადასვლას გადაწყვეტენ. მტერი კი რიცხოზრვიად ბევრად სქარბობს.

სამშობლოს სიყვარული ქართველ ვაჟაკებს ახალ ძალებს მატებს. ამ არასახარბიელო ადგილასა და პირობებში ისინი იმარჯვებენ. ეს გამარჯვება ლამაზიც არის და აღმაფრთოვანებელიც. დღის მწუხრულს ქართველები წითლების მარჯვენა ფრთას დაეუფლნენ. შემინებული ბოლშევიკები უკუიქცნენ. მათი მეთაურები პანიკამ მოიცვა.

ამ მშვენიერ გამარჯვებას გაგრძელება არ ეწერა. ეროვნული გვარდია. რომელიც მართლა მედგრად იბრძოდა და ამ გამარჯვებაში წილი ედო. ღამით ქართული არმიის უკიდურეს მარცხენა ფლანგზე აღმოჩნდა.

ქართულ ეროვნულ გვარდიას იგივე ნაკლი ჰქონდა, რაც თითქმის ყველა ეროვნულ გვარდიას ახასიათებს. აკლდა ბევრი ის თვისება, რაც რევულიარულ არმიას აქვს. სახელდობრ აკლდა ღამით ბრძოლის გამოცდილება. არ გააჩნდა ის დისციპლინა, რაც აუცილებელია ჯარის სიმტკიცისა და მანევრირებისათვის. ერთი სიტყვით, გვარდია თუ დღისით კარგად იბრძოდა, ღამით ძალიან აუსტი იყო.

ცხადია, უმაღლეს მთავარსარდლობას რომ შესძლებოდა. ღამით ბრძოლაში ეროვნულ გვარდიას შეცვლიდა. მაგრამ საუბედუროდ.

ბრავტარტი რეზერვი არ ჰყავდა. მეტი რა დარჩენოდა: ეროვნული გვარდია უნდა გამოეყენებინა.

გაქცეული მტერი სიცოცხლის ნიშანწყალს არ იძლეოდა. გამარჯვებაც საბოლოოდ იქნებოდა. მაგრამ აუხსნელმა და გაუგებარმა პანიკამ მოიცვა გვარდიის ერთი ნაწილი. ეს მოხდა მაშინ, როცა მტრის ბანაკში აბსოლუტური სიჩუმე სუფევდა. მოულოდნელად გაისმა ყვირილი — „განგაში“, „თავს უშველეთ!“ ეს პანიკური ღრიალი აიტაცეს და მთელ გვარდიას მოედო.

ზედმეტია ზაზი გაესვას იმას, როგორ უწყობს ხელს პანიკას ღამე, განსაკუთრებით უღისციპლინო და გაუწვრთნელ არმიაში. ამის გამო აღმოჩნდა პანიკის მსხვერპლი მთლიანად ქართული გვარდია. მან ბრძოლის ველი მიატოვა. ისე მოკურცხლა, რომ მეორე დღეს დილას, 18 კმ-ით აღმოვიდა ბრძოლის ადგილას დაშორებულა.

როცა ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ მარჯვენა ფრთა გაშიშვლდა, გული მოეცათ. ამასთანავე ახალი ძალები მოემართათ. რუსეთიდან მატარებლებით მოემშურებოდა დასვენებული რაზმები.

ქართულ მთავარსარდლობას ერთილა დარჩენოდა: კვლავ უკანდახევის ბრძანება გაეცა.

* * *

სწორედ ამ დროს ქართველებისათვის ისედაც მძიმე ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან, შავი ზღვის სანაპიროთი, საქართველოში მე-9 არმია იჭრება. მას ლევანდოვსკი ხელმძღვანელობს. ჭარის ზევაი იზრდება და იზრდება. მე-9 არმია ქუთაისისაკენ მიემართება. ქართულ ჭარს სრული განადგურება ემუქრება.

ქართული არმია მედგარ წინააღმდეგობას უწყევს. მაგრამ მაინც იძულებულია უკან დაიხიოს. იგი სამტრედიის მალღობზე ადის. წითლების შეტევას აჩერებს. მერე მდ. რიონს გადადის. გასვლისას ერთადერთ ხიდს აფეთქებს.

რიონი ძალიან ადიდებულია. ბოლშევიკებისათვის იგი გადაულახავი დაბრკოლებაა. იძულებულნი არიან შორი გზიდან მოუარონ. დიდი

დრო ეკარგებათ. მართალი რომ ეთქვა, ქართველებსაც არ ყოფნით დრო ყველაფერი მოაწესრიგონ, დაისვენონ, ახალი ბრძოლისათვის მოემზადონ. ამით საშუალება მიეცემოდათ უკანასკნელი დასაყრდენი — ბათუმის გამაგრებული ნაწილი დაეკვათ. ეს სიმაგრე რუსების მიერ აგებულია მაშინ, როცა ისინი საქართველოს ბატონ-პატრონები იყვნენ.

* * *

ახალი უბედურებაც გამოჩნდა, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა ისედაც აწეწილდაწეწილი ვითარება. საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი თურქეთის დამოკიდებულებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

რუსეთთან ომის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობამ თურქეთთან მოლაპარაკება დაიწყო. თურქებმა დაუშალეს ქართველებს, რომ ისინი ბოლშევიკების მოკავშირენი იყვნენ. პირიქით: ქართველებს დახმარება აღუთქვეს. მაგრამ ამ დაპირების მერე მცირე ხანიც არ გასულა, რომ თურქეთის ჯარმა ართვინის რაიონი დაიკავა. ეს ნეიტრალიტეტის დაცვის ფასად მოითხოვა. მერე ჯარი ბათუმში შეიყვანა საქართველოს დახმარების საბაბით, თუმცა წითლები ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ.

როცა 13 მარტს, ქართული არმიის მთავარსარდალი ბათუმში ჩავიდა ქალაქის გამაგრების მიზნით, მის გაცემას საზღვარი არ ჰქონდა: ბათუმში თურქთა ჯარი იყო მოკალათებული.

თურქეთის მთავრობის ნამდვილი ზრახვები ექვს აღარ იწვევდა. საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაუყოვნებლივ გაგზავნა ბათუმში 9 ბატალიონი. ქართული შეიარაღებული ძალა ისე განაღდაგეს, რომ საჭიროებისდა მიხედვით, თურქეთისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. თურქებს კი არა მარტო ბათუმში ეჭირათ, არამედ ახალციხის მიმართულებითაც ჯარი ჰყავდათ დაყენებული.

16 მარტს თურქეთის მთავრობამ ნიღაბი მოიხსნა. თურქეთის წარმომადგენლებმა ქიაზიმ-ბეიმ საქართველოს მთავრობას ნოტა

გადასცა: იგი გუბერნატორათ აცხადებდა თავს. ეს კი ახალი ომის დაწყებას ნიშნავდა თურქეთთან.

ქართული ჯარი მაშინვე იღებს ბრძანებას, გამოწვეულს ახალი ვითარებით, 17, 18 მარტს, ღამით, სქართველოს მთავრობა ჯდება იტალიურ გემზე „კირალი“. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ომი საბოლოოდ წაგებულია. არადა იწყება ახალი ომი ახალ მტერთან. ბოლშევიკებთან ბრძოლა კი ჯერ არ არის დასრულებული.

რაკი საქართველოს მთავრობამ ჩათვალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგულია, წითლებთან ბრძოლის გავრძელება უაზროდ მიიჩნია. მან, სანამ სამშობლოდან გაემგზავრებოდა, ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაიწყო. წითლები დათანხმდნენ ბრძოლის შეწყვეტას პირობით: მათ ჯარს ბათუმისაკენ გზა უნდა გახსნოდა. ქართველები იძულებულნი იყვნენ თანხმობა მიეცათ. დემოკრატიულმა საქართველომ რეალურად აღიარა თავისი დამარცხება.

18-ში წითელი ჯარი ბათუმს მიუახლოვდა რკინიგზით. ქალაქში კი ცხარე ბრძოლაში არ ჩაერვივნენ. მაცურებლის როლი ირჩიეს.

19 მარტს თურქები ყველა გამაგრებული ადგილიდან გაყარეს.¹

ამ დროს საქართველოს მთავრობა შუა ზღვაში იყო. წასელამდე წითლებთან არავითარი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული.

* * *

ამ მძიმე სამხედრო კამპანიამ, ამ ხანგრძლივმა უკანდახევამ, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული და კარგადაც შესრულებული. გამოაჩინა კიდევ ერთხელ ქართველების დიდ სიმამაცე, მხედრული თვისებები და პატრიოტიზმი. გამოაჩინა იმათთვისაც, ვინც საქართველოს არ იცნობდა.

ქართული არმია ებრძოდა რიცხოზობიერად ჯარს მტერს (საშუალო პროპორცია ერთი ხუთზე). თბილისიდან დაწყებული ისინი მოქმედებდნენ მეთოდურად. ყოველ დღე ბრძოლები ჰქონდათ. მე მხოლოდ რამოდენიმე აღვნიშნე.

¹ თურქების წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი გენერალი ვიოტი მაზნიაშვილი (მთარგმნელები)

კულ ამინდსა და მძიმე პარობებში ამ გმირებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ვაჟაკობა და გამძლეობა. ისინი ყველა შემთხვევას და საშუალებას იყენებდნენ დამპყრობელის შესაჩერებლად. უკან იხევდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მტერი რიცხობრივად ბევრად ჭარბობდა. ქართველები მტერს არაფერს უტოვებდნენ, არცერთ ვაგონს, არცერთ ორთქმავალს.

მშობლიური მიწის ამ შეუდარეკელმა დამცველებმა ბათუმში, საქართველოს ერთი ულამაზესი ფურცელი ჩასწერეს. გვიჩვენეს ისეთი სანახაობა, რომლის მსგავსს ცოტას შეხვდებით ისტორიაში.

მართალია, ეს იყო უკანსვლა, მაგრამ უკანსვლა ბრძოლით თითოეული გოგი მიწისათვის. ქართული არმია ხუთი კვირის განმავლობაში იბრძოდა ყინვასა და თოვლში. მან სრული წესრიგით გაიარა 250 კმ. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს აღსასრულს ხედავდა, შეინიარჩუნა მორალური ძალა და ენერჯია. ქართული არმია ებრძოდა სულ ახალ და ახალ ძალებს. მათ შორის იმათ, ვინც მსოფლიოში ყველაზე მამაც ჭარისკაცებად ითვლებიან-თურქებს. თან თურქებს ისეთი დამარცხება აგემეს, რომ ისინი თავგზააბნეული და კუდამოძუებული გარბოდნენ.

ამ გამარჯვებამ გააოცა ყველა, ვინც ქართულ ბუნებას არ იცნობს. ეს შარავანდედია, რომელიც გვიჩვენებს არმიის ნამდვილ სახეს, იმ არმიისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გახლდათ და ცხოვრებას ის ის იყო იწყებდა.

ბათუმის გამარჯვება ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელია. იგი ნათლად მიგვანიშნებს იმას, რომ როცა საქართველო მოსკოვის უღლისაგან განთავისუფლდება და ქართული არმია აღდგება, იგი იქნება დასავლური ცივილიზაციის მოწინავე გუშაგი. იქნება მშვიდობის გუშაგი იმ რეგიონში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასე ხშირად აწიოკებულა და სისხლში მოთხვრილა.

ჩვენ მივალწიეთ 1921 წლის 18 და 19 მარტს — გლოვის თარიღს. იმ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო.

ამიერიდან საქართველოში წითელი ერა იწყება.

თავი VIII

წითელი ქრა

საქართველოს მთავარსარდლობამ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების იმედი დაკარგა. შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომ არ შეეყოყმანდა იგი, რატომ შეება ახალ მტერს ... თურქეთის არმიას, სწორედ მაშინ, როცა ბოლშევიკები უნდა შესულიყვნენ იქ? ზოგიერთმა შეიძლება თქვას — ეს უაზრო სისხლისღერა იყო.

დიდი იმედი მაქვს: ახლო მომავალში საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენს. აი, მაშინ გამოჩნდება საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობის მთელი სიბრძნე. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიას მთლიანად ბოლშევიკები დაუფლებოდნენ. თურქებს არც ერთი ნაწილი არ უნდა დაჩენოდათ. ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკების რუსეთი დაეცემა. წითლები საქართველოდან განიღვენებიან. ქართველები განთავისუფლდებიან. მთელი საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობას. თურქებს ბათუმი და ბათუმის რაიონი რომ დარჩენოდათ, ალბათ ძალიან ძნელი იქნებოდა, ანდა სრულიად შეუძლებელი თურქების ხელიდან მისი გამოგლეჯა. ისტორიული წარსულის სიმართლე საქმეს ვერ უშველიდა.

ქართველები ბათუმისათვის რომ იბრძოდნენ თურქების წინააღმდეგ და მიერეკებოდნენ მათ გამაგრებული ადგილებიდან, ამით ისინი საქართველოს მთლიანობისა და თავისუფლებისათვის ომობდნენ. ვფიქრობ, როცა ღმერთი ინებებს და საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგება, ქართული ჯარის დამსახურება იქნება, რომ ამ პატარა, მამაც ქვეყანას იგივე საზღვრები ექნება, რაც 1921 წელს ჰქონდა. ეხადია, გარდა ართვინისა, არდავანისა და არტანუჯის რაიონებისა, როკლებიც თურქებს დარჩათ.

იმ გმირებს, რომლთაც 1921 წლის 18, 19 მარტს ბათუმის, გადასარჩენად მშობლიური მიწა საკუთარი სისხლით მორწყეს. ამაოდ არ შეუწირავთ თავი.

თურქებმა ბათუმი დატოვეს. ქალაქში ბოლშევიკები შევიდნენ. მთელი საქართველო უკვე მათ ხელშია.

რეგულარული ომი დამთავრდა.

წითლები ბოლშევიკურ რეჟიმს აცხადებენ. თბილისში მათი არჩეული მთავრობა ჯდება. ეს მთავრობა ქართული ბოლშევიკებისაგან, ქართველი ერის მოღალატეებისაგან შედგება. ისინი რუსეთში ცხოვრობდნენ და საქართველოში წითელ ჭართან ერთად დაბრუნდნენ.

ბოლშევიკური მთავრობა სასწრაფოდ ბრძანებს ქართული ჭარის დემობილიზაციას. ოფიცრებს ნებას აძლევენ (როგორც ვნახავთ ძალიან ცოტახნით), სადაც უნდათ იქ წავიდნენ. დეკრეტით ყოფილი დამფუძნებელი კრება დათხოვნილია. გამოცხადებულია ამნისტია იმათთვის, ვინც წითელი არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. მალე გამოჩნდება, რომ ეს ამნისტია ტყუილი და ხაფანგია.

კომისართა საბჭო, როგორც პომპეზურად დაირქვა ამ მთავრობამ, ამით არ დაკმაყოფილდა. იგი სპობს არჩევით ორგანოებს -- დამფუძნებელ კრებას, მუნიციპალურ და ადგილობრივ საბჭოებს. აუქმებს თბილისის მუშათა პროფკავშირს.

ყოველივე ეს იცვლება კომუნისტებით. მათ წითლები ნიშნავენ. იქმნება ჩეკა და მისი განყოფილებები. ჩეკაში უფროსებად ინიშნებიან ადამიანები, რუსეთში ცნობილნი თავისი სისასტიკით.

მოისპო ყოველნაირი თავისუფლება. ქართულ მოსახლეობას წაერთვა რაიმეს თქმის უფლება. ყველა გადაწყვეტილება თბილისის წითლებისაგან მოდის. ისინი მოსკოვის ნილაბს წარმოადგენენ.

ყველაფერი რეკვიზირებულია — ფაბრიკები, ქარხნები, სახლები, ბინები, ავეჯიც კი. ყველა ქალაქსა და სოფელში წითელი არმიის რაზმებია ჩაყენებული.

და ბოლოს, ყველგან არსებული ჩეკა დაკომპლექტებულია უცხოელებით, ძირითადად რუსებითა და სომხებით.

აქ ფრჩხილები უნდა გავხსნა: ბოლშევიკები ტყუილისა და გაიძვერობის აღიარებული ოსტატები არიან. ამიტომ აუცილებელია

ყველაზე სარწმუნო წყაროებს დავეყრდნო. მეტადრე მაშინ. როცა მიზნად მაქვს შევისწავლო და აღვწერო მათი ბოროტებანი და დანაშაულებანი.

რასაც ახლა ვიტყვი, ნუ დაგაეჭვებთ. არც ვიგონებ და არც ვაზვიადებ. ვიფარგლები მხოლოდ ფაქტებით, თვითმხილველთაგან მოსმენილი ფაქტებით, ნაღდი. უეჭველი დოკუმენტებით. დაწვრილებით გავეცანი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს - „საქართველო ბოლშევიკური არმიის ბატონობის ქვეშ. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის გამოცემა. 1921 წ. ოქტომბერი“. ვისარგებლე აგრეთვე დიდი ქართველი პატრიოტის თავადი შალვა ამირეჯიბის დეტალური მონათხრობით და მისი განცხადებებით.

შალვა ამირეჯიბი იყო დამფუძნებელი კრების წევრი. (როგორც გითხარით ეს კრება წითელმა მთავრობამ დაშალა). თავადი დარჩა საქართველოში 1924 წლის მიწურულამდე. როგორც ეროვნული პარტიის წევრმა, მან დაუყოვნებლივ დაიწყო მოსკოვის დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლა იატაკქვეშეთში. ამ ბრძოლას სათავეში ედგა თავადი აფხაზი. როცა ბოლშევიკებმა თავადი კოტე აფხაზი, რამდენიმე გენერალი და ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი გაანადგურეს, ქართული ეროვნული პარტიის ლიდერი გახდა თავადი ამირეჯიბი.

* * *

მართალია ბოლშევიკებმა ამნისტია გამოაცხადეს. მაგრამ ზეკა მაინც თავის საქმიანობას აგრძელებდა. იჭერდა და ციხეებში ყრიდა საქართველოში ყოფილი მთავრობის დარჩენილ წევრებს, ყველა მნიშვნელოვან პირს, ცნობილ გენერლებს, ოფიცრებს (ორი მათგანი — პოლკოვნიკი ლეჟვენიძე და კაპიტანი ფავლენიშვილი — დახვრიტეს).¹

40-ოდე ოფიცერი და კაპიტანი დააპატიმრეს და რუსეთში

¹ იხ. გვ. 111

გაასახლეს. გასახლებისას, მათ ცხოველებივით ყრიდნენ სატვირთო ვაგონებში. ექვსი თვე ეს უბედურები ისეთ აუტანელ პირობებში იყვნენ, რომ ზოგიერთმა ვერ გაუძლო და დაიღუპა (მაგ. გენერალი ახმეტელი).

წითლევანის ისეთი ადამიანები სჭირდებათ, რომელნიც ყველაფერს ზიადენენ. ამიტომ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ყოველგვარი ინდისის ჭეჯის თვინიერ, ზნედაცემულ ადამიანებს ნიშნავენ.¹

აჩილ ბეჩიაშვილი (ცხენების ქურდი) — თელავის რაინული მილიციის უფროსი.

არამბულო (ბანდიტი, რომელიც შერე ბოლშევიკებმა² თვითონ დახვრიტეს) — თიანეთის რაიონის მილიციის უფროსი. ამ პოსტზე შემდეგ ავა შეცვალა მეორე ბანდიტმა ეგოროვმა.

ლევან ქავთარაძე (ბანდიტი) დუშეთის მილიციის უფროსი.

დარჩო კოლოშვილი (ბანდიტი, რეციდივისტი) — ანანურის რევეკომის თავმჯდომარე.

ქუთათელაძე და გუნთაიშვილი (ბანდიტები) — ოზურგეთის ჩეკას უფროსები.

კობიაშვილი (ბანდიტი, მკვლელი) — თბილისის ჩეკას თანამშრომელი.

პაიკაძე (ბანდიტი, რომელმაც მოკლა ინგლისელი ექიმი) — ჩოხატაურის ადმინისტრაციის უფროსი.

თათარაშვილი (ბანდიტი) — რკინიგზის მილიციის თანამშრომელი.

გულარიშვილი და კოსაშვილი (სტუდენტ ბატიშვიძის მკვლელები)

თბილისის მილიციის თანამშრომლები.

ორი მაგალითი საკმარისი იქნება ბოლშევიკების მეთოდების ნათელსაყოფად.

ახმეტაში (თიანეთის რაიონი) აღშფოთებულმა გლეხებმა დაიჭირეს წითელი ხელმძღვანელები. მათ არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. ისინი თიანეთში ჩაიყვანეს. გლეხებს უნდოდათ, მათი საქმე ქალაქის სასამართლოს გაერჩია.

¹ დღევანდელი ზესტი ტრანსკრიფციით არ წერს ქართულ გვარებს. ამიტომ შეიძლება ზესტად ვერ იქნას ცნობილი და ზეგვიძის გვარი არასწორად გეიწერებოდეს (ბიარგშვილები).

დაბა აბასთუმანში თბილისიდან განკარგულება მიიღეს — შეედგინათ ბანდიტების, ქურდების და სხვა საექვო პირების სია. თბილისში სიტყვა-სიტყვით ასეთი პასუხი მიიღეს: „ყველაზე საშიში ბანდიტები და ქურდები არიან შემდეგი პირები: (ჩამოთვლილია კომუნისტური რევკომის წევრთა გვარები). დასკვნა კი ასეთი გახლდათ: ეს ადამიანები მჭიდრო კავშირში არიან ქვეყნის სხვა დამნაშავეებთან. მაგრამ ამასთან ერთად მთავრობასთან თავიანთ „მეგობრებსაც“ აბეზღებენ.

* * *

ყოველნაირი თავისუფლება აკრძალულია — პრესის, კრებების, ასოციაციების, პროფკავშირის. გასამხედროებულია მუშათა დიდი ნაწილი, სახელდობრ რკინიგზელები. თუ ისინი სამუშაო დისციპლინას დაარღვევენ, უნდა გასამართლდნენ სამხედრო წესით.

გაუქმებულია საწარმოთა დიდი ნაწილი. ვფიქრობ, აუცილებელია სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო ნაწყვეტი დოკუმენტიდან — „საქართველო ბოლშევიკების არმიის უღელქვეშ“, რომელიც ერთხელ უკვე ვახსენე.

„ბოლშევიკები ნებას არ აძლევენ უმუშევრებს დასტოვონ ქალაქი და სოფლად წავიდნენ სანოვავის საშოვნელად. მათ აერთიანებენ ჯგუფებად და იძულებით სამუშაოზე აგზავნიან, ხანდახან ძალიან შორს ოჯახიდან. ასე გაასახლეს 1000 ქართველი რკინიგზელი.

...რევკომიტეტმა გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც „უკრძალავს უმუშევრებს უარი თქვან სამუშაოზე“. ეს დეკრეტი აკანონებს მუშების მონობას, რადგან ემუქრება იძულებითი სამუშაოთი კონცენტრაციულ ბანაკებში. ემუქრება ყველას, ვინც არ დათანხმდებია იმ სამუშაოზე, რომელსაც კომუნისტური ხელმძღვანელობა ავალებს.

ამ დეკრეტის მეორე პარაგრაფი აზუსტებს: ყველაზე კვალიფიცი-რებული მუშები და მოხელეები შეიძლება გამოიყენონ შავ მუშად, თუკი ამას ხელმძღვანელობა მოითხოვს. მე-4 პარაგრაფი ადასტურებს: უმუშევრებს, როგორც უნდა იყოს მათი პროფესია, უფლება არა აქვთ თქვან უარი საგზაო სამუშაოებზე ან ხეების დახერხეაზე. მე-

5 პარაგრაფი დაეინებით განმარტავს: ოჯახის მარჩენალი უმუშევარიც უნდა დათანხმდეს ქალაქგარეთ სამუშაოზე (თუნდაც სამუშაო ქალაქიდან შორს იყოს).

ვაცალოთ ქართველ მუშებს თავად აღწერონ თავიანთი მდგომარეობა. აი, რას ამბობს დედაქალაქის 3 449 მუშა 1921 წლის 6 აგვისტოს მოწოდებაში, რომლითაც მათ დასავლეთელ ამხანაგებს მიმართეს:

ჩვენ გვემუქრება ფიზიკური მოსპობა! აღარც იმ საშინელი პურის ნამცეცს (ნახევარი კგ-ის მეოთხედს) გვაძლევენ, რასაც აქამდე ვიღებდით. სხვა პროდუქტებს რაც შეეხება, ლაპარაკიც ზედმეტია. ხელფასს ძველზე უფრო ვიღებთ. ცხარეზეა კი 40; 50-ჯერ გაჭირდა: არის თევები, როცა ამ ხელფასსაც არ იძლევიან. სიკვდილის მუქარით აკრძალული გვაქვს სამუშაოდ ყანებში გავიდეთ. მუშათა უბნებში ქოლერა, ყოველნაირი სნეულებანი, შიმშილი მძვინვარებს. ილუპებიან მუშათა ოჯახები. გამაფებელია ტერორი. ნება არა გვაქვს ჩვენს ტანჯვაზე ვილაპარაკოთ.

განურჩევლად პარტიულობისა, საქართველოს ყველა მოწინავე მუშა საპრობლემაშია. იქ მათ შიმშილი და ავადმყოფობა ანადგურებს. არავითარი ყურადღება არ ექცევა ადამიანს და მის სიცოცხლეს. ხვრეტენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. ხშირად იმათაც, ვინც არასოდეს გააკარებია პოლიტიკას. ამ ადამიანებს იმიტომ სპობენ, რომ ისინი ემსახურებოდნენ დემოკრატიულ ხელისუფლებას და ომში იცავდნენ თავიანთ სამშობლოს უცხოელი დამპყრობლებისაგან.

საქართველოს სიმდიდრე განადგურებულია ან რუსეთშია ექსპორტირებული. აწიოკებულია მალაზიები, დუქნები, კერძო სახლები. ხდება ყოველნაირი რეკვიზიცია, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია. რკინიგზის მოძრავი მასალის დიდი ნაწილი რუსეთში იგზავნება. ყველგან შემოდებულია სამხედრო დისციპლინა. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება დეზორგანიზებულია. ამ აოხრებულ მიწა-წყალზე ბოლშევიკებმა სასურსათო ბარათების სისტემა შემოიღეს რუსეთის გამოცდილების წაბაძვით. კვების პროდუქტების რაოდენობა მინიმალურია. არსაიდან ჩანს შევსება. ხოლო რაც არის, ყველაფერი მამასისხლად იყიდება.

თანამდებობის პირნი და კომუნისტი ხელმძღვანელობა კი სარგებლობს სპეციალური მომარაგებით.

* * *

უნდა ითქვას. რომ ქართული ტერიტორიის ერთი პატარა ნაწილი, მიუდგომელი მთების წყალობით, წითელმა არმიამ დიდხანს ვერ დაამარცხა. ეს არის სვანეთი. იგი დასახლებულია კონსერვატორებითა და 1924 წლამდე, ე. ი. კიდევ სამი წლის მანძილზე ახერხებს გაუმკლავდეს წითელ ჯარს!

ამ სამაგალითო წინააღმდეგობის ნაპერწკალი თითქმის ყველგან ხელს უწყობს ქართული ენერჯის აფეთქებას! აფორიაქებული ბოლშევიკების მთავრობა 1922 წლიდან იწყებს მასობრივ დახვრეტებს. ყველას ატუსაღებენ. ვინც ციხეებში ვერ დაატიეს, რუსეთში ასახლებენ.

განსაკუთრებული გააფთრებით აპატიმრებენ ყოფილ სამხედრო პირებს. ზოგიერთი, დამპყრობელის ტყვეობას მთებში გახიზვნას ამჯობინებს, რომელთაც პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობს. მათ მათ საიმედო თავშესაფარს სთავაზობს. ამ მთიანი მხარიდან ისინი გერილას (პარტიზანულ ბრძოლას) აწარმოებენ. ხევსურეთში ყველა მაცხოვრებელი ჩოლოყაშვილსა და მის რაზმს ეხმარება, ისევე, როგორც სხვაგან. მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

6 000-ჯარისკაცის წითელი რაზმი ხევსურეთში იგზავნება. ისინი დაამარცხეს. ბრძოლებში მონაწილეობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. წითლები შურს იძიებენ. ხუთ სოფელს აწიოკებენ. თუმცა, ისევე, როგორც სვანეთში, წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგეს. ჩოლოყაშვილი კახეთში დაიბადა. ხევსურეთში გაწეული მეღვარი წინააღმდეგობით გამძვინვარებულმა ბოლშევიკებმა კახეთზე იყარეს ჯარი. გაუგონარი სისასტიკით და საშინელი რეპრესიებით დაარბიეს კახეთი.

თავად ჩოლოყაშვილის გამირული მაგალითი სხვებმაც აიტაცეს. ნელ-ნელა თითქმის ყველა კუთხეში, პარტიზანული ომები გაჩაღდა.

პარტიზანებს მოსახლეობა ეხმარება. მოსკოვის დამქაშებს ყოველდღიური და ყოველწამიერი ბრძოლა უცხადდება; თავდასხმები მოულოდნელი და მამაცურია.

გერილაში თავადი დიდად გამოცდილია. იგი ტოვებს კახეთის მთებს. ატარებს რეიდებს ბოლშევიკი კომისრებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ. რეიდების მერე თავადმა კვლავ ფშავ-ხევისურეთის მთებს მიაშურა.

* * *

თბილისის წითელმა მთავრობამ შეიტყო პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მჭიდრო კავშირი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან (გაკვერით ზემოთ უკვე აღვნიშნე). ეს კომიტეტი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის სული და გულია. კომიტეტის წევრების გვარები გასაიდუმლოებულია. მათი ვინაობის გასაგებად წითლები მიმართავენ საშინელ დანაშაულებებს.

იჭერენ ყველა ექვემდებარებულს და ყველას, ვინც შეიძლება რაიმე იცოდეს. წამებასაც არ თაკილობენ. აწამებენ განურჩევლად ყველას, თავადს, აზნაურს, ბურჟუას, სტუდენტს, მუშას, გლეხს, ვინც კი ჩაუვარდებათ ხელში. სულერთია იციან თუ არა საიდუმლო.

პატიმარს, ვინც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან აცხადებს, რომ არაფერი იცის, თავზე რკინის რკალს აცმევენ და ნელ-ნელა უჭერენ. ასობით და ათასობით ქართველს აწამებენ ამგვარად. ამის შედეგად ბევრი დაიღუპა, ბევრიც გაგიჟდა.

თელავში წამების სხვა სახეს მიმართავდნენ. ადგილობრივი ციხის კედელში კარადის ფორმის ადგილი იყო დატოვებული. შიგ პატიმარს ამწყვედევდნენ. მას განძრევა არ შეეძლო. ფეხზე იდგა. ცხრა დღე იყო ამგვარად წამებული. იქნება რაიმე თქვასო. თანაც დაკითხვა ყოველდღე მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და არადაამიანური იყო წამება, რომელსაც განიცდიდნენ ტუსაღები დახვრეტის მოლოდინში.

საქნებში ჩაკეტილმა პატიმრებმა უკანასკნელ წუთამდე არ იციან

რა ბედი მოელით: გაანთავისუფლებენ, ციხეში დატოვებენ თუ დახვრეტენ ერთდროულად ყველას. ჩეკა არაკომპეტენტურად მიიჩნევს სასამართლოებს პოლიტიკურ პატიმართა მიმართ. ამიტომ მათ საქმეებს თვითონ ჩეკა განიხილავს. ჩეკას მიერ გამოყოფილ მოსამართლეს ეძლევა განკარგულება: გამოიტანოს განაჩენი უფროსის მითითების შესაბამისად, ან სიკვდილი და სხვა. ბრალდებულს სასამართლოზე არასოდეს ეძახიან. მას არ ჰყავს ვეჭილი, რომელიც დაიცავდა ჩეკას საგანგებო ტრიბუნალზე. ყოველი განაჩენი ჩეკას თავმჯდომარეს გამოაქვს. მას გვერდით რამდენიმე ჩეკისტი უზის. განაჩენი საბოლოოა და აპელაციას არ ექვემდებარება.

ტუსალები ჩამწვედელნი არიან ციხის ერთ საკანში, ხშირად წყლიან სარდაფში. შუალამისას, ორსა თუ სამ საათზე მათ ჩეკისტები აღვიძებენ. ჩეკისტების უფროსი, ხშირად მთვრალი, პატიმართა შორის დადის და შეურაცხყოფას აყენებს მათ. უფროსს ხელში 12-დან 15-მდე ტუსალის სია უჭირავს, რომელთაც სიკვდილი აქვთ მისჯილი. ყოველი პატიმარი ამ სიის წაკითხვას სასოწარკვეთით ელის. სიის წაკითხვას რომ მორჩებიან, პატიმრები თითო-თითო გადიან საკნიდან. კარებთან მათ ქალათები ელიან. გამოვლენ თუ არა, თავში მათრახს ურტყამენ, ტომარაში აგდებენ და მანქანებით დახვრეტის ადგილას მიჰყავთ. ტომრებში ჩაყრილ გულწასულ ტუსალებს ჩეკისტები და წითელი ჯარისკაცები ასხედან ზედ.

დახვრეტილების ჩასაყრელად თხრილები უკვე გამზადებულია. გზაში ზოგიერთი გულწასული გონზე მოდის. ისინი ტომრებიდან ამოჰყავთ და თხრილის წინ ამწკრივებენ. თითოეულს კეფაში დიდი კალიბრის რევოლვერს უმიზნებენ. ესერიან ზურგიდან, ასე დახვრეტილის სახის ცნობა შეუძლებელია.

ზოგჯერ პატიმრები უარს ამბობენ გამოვიდნენ საკნიდან. მაშინ იწყება ბრძოლა შეიარაღებულ ჩეკისტებსა და პატიმრებს შორის. მალე საკანი სასაკლაოდ იქცევა; მოკლულთა შორის ჩეკისტებიც არიან.

თითქმის ყოველ ღამე, ხან აქ, ხან იქ, მიმდინარეობს საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ისევე როგორც პატრიოტთა, წამებულთა გვარებიც

მოცულია საიდუმლოებით. ცხადია უცნობია ადგილსა დადამათი გვამებია ჩაყრილი.

როცა მშობლებს, ნათესაეებს, მეგობრებს საკმელი მიაქვთ ტუსალებთან და პასუხად ესმით — „ალარ მოიტანოთ, ალარ სჭირდება“ — მათ იციან, რომ ხმა არ უნდა ამოიღონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ახლობელი დახვრეტილია.

ჩეკას მსხვერპლთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. დაყოვნება ალარ შეიძლებოდა. პატრიარქმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას წერილი-მიმართვა გაუგზავნა. მასში ლაპარაკი იყო საქართველოში მომხდარ საშინელი რეპრესიების შესახებ. სამწუხაროდ, არც პასუხი მიუღია და არც რაიმე შედეგი მოპოვოდა მის თხოვნას.

განრისხებული ბოლშევიკები ჯერ სდევნიდნენ, ავიწროებდნენ, შემდეგ კი დაიჭირეს პატრიარქი და ქართული სამღვდლოების წარმომადგენლები. 1924 წლის თებერვალსა თუ მარტში ამბროსი გაასამართლეს. მას სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ განაჩენი ცხრა წლის ციხით შეუცვალეს. მაგრამ 1925 წელს გაანთავისუფლეს.

სამწუხაროდ, შეუძლებელია წითლების მიერ ამოწყვეტილი ქართველი პატრიოტების რაოდენობის დადგენა. ყველაფერი — დაკრები, წამებები, დახვრეტები გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1923 წელს მეტი ადამიანი გაიყლიტა, ვიდრე 1922 წელს.

აღსანიშნავია ის, რომ ჩეკა ქალაქშიც და სოფლადაც მზაკერულად მოქმედებდა. მასობრივი დაკრებით იგი მოსახლეობას აშინებდა. არ მოეწყობოთ მღელვარება, ჯანყი, თითოეულს უნდა სცოდნოდ: თუ რაიმეს გაბედავდა, ბოლშევიკები შურს იძიებდნენ მათ მშობლებსა თუ ნათესაეებზე, მეგობრებსა თუ ნაცნობებზე, რომლებიც წითელ ციხეებში იხდნენ. ლენინზე თავდასხმამ აკი გამოიწვია რამდენიმე ათასი პოლიტიკური პატიმრის დახვრეტა რუსეთში?

თავი IX

ფრანგი მოქალაქე ჩეკას ხელში

ამას წინათ პატივი მქონდა, გავცნობოდი ერთ ჩვენს თანამემამულეს. მან თავად იწვინია წითლების საპატიმროები და ბოლშევიკური საშინელება. მიაშბო თავისი შემზარავი ოდისეა. როგორ გაქურდეს, როგორ შეერყა ჯანმრთელობა, როგორ გაატარა სატუსალოში ავადმოსავონარი საათები, დღეები და თვეები. ალბათ, მის გვამს ჩუმად, სადღაც გადაადგებდნენ საფრანგეთის ელჩი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ელჩმა აიძულა ქალათები გაენთავისუფლებინათ უდანაშაულო ფრანგი.

ჩეკას მსხვერპლი ამჟამად საინტერესო ნარკვევს ამზადებს საბჭოთა რუსეთის შესახებ.¹ მან გამაცნო თავისი მოხსენებითი ბარათი. ამ ბარათში აღწერილია მისი ტანჯვა-ვაება. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ეს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. რასაც ახლა მოგიყვებით, ამ ბარათის დასკვნაა. უფრო სწორედ, შემოკლებული შინაარსი. ისე კი ზუსტად გადმოგცემთ იმ საზარელ ამბებს, რაც ჩვენმა საცოდავმა თანამემამულემ მიაშბო.

„რაკი სუსტი ჯანმრთელობისა ვიყავი, ჯარში არ გამიწვიეს. ომის დაწყებისას რუსეთში ვმუშაობდი. მაშინვე დავბრუნდი საფრანგეთში. ის მოვახერხე, რომ ომის პერიოდში ქვეითი არტილერიის პოლკში განმაწესეს. რაკი რუსული ენა ვიცოდი, ჩემი თხოვნით რუსულ რაზმს მიმაწერეს. მოგვიანებით, ისევე ჩემი თხოვნით, რუსულ რაზმთან ერთად აღმოსავლეთში გამგზავნეს.

1919 წელს გენერალ დენიკინის სამხედრო მისიის მონაწილე ვიყავი ნოვოროსიისკში. ამ მისიას იმიტომ ჩამოეშორდი, რომ იმ ფრანგებისა და შვეიცარიელების ევაკუაცია მომეხდინა, რომლებიც კომუნისტურ

¹ „წითელი რუსეთი. ანუ ავგიოსის თავლები“.

ურდოებს გაუბოდნენ. რუსების ხელმძღვანელობისათვის უნდა მიმეწოდებინა ის აღჭურვილობა და ტანსაცმელი, რომელთაც მათ უგზავნიდნენ.

ცოტა ხანში თბილისში გავემგზავრე. საფრანგეთის სამხედრო მისიის ატაშედ დამნიშნეს კავკასიაში. 1920 წლის ოქტომბერში კი დემობილიზებული ვიყავი. თბილისში მუშაობა ერთერთ ფრანგულ საზოგადოებაში დავიწყე. ეს იყო მხოლოდ სამოქალაქო საქმიანობა. უნდა დავამატო, რომ ამის გარდა, რამდენიმე კომერციული აქცია შევასრულე, კერძოდ, თბილისის მილიციასთან და საქართველოს ეროვნულ-ბანკთან (წითლების მოსვლას შემდეგ). პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულე. არც ჭაშუშობასა და არც კონტრშპიონაჟში მიმიღია რაიმე მონაწილეობა.

საჭიროა აღვნიშნო: წითლებს ჩემი საკმაოდ დიდი თანხა ემართათ: კომერციული აქციები, ქონების კონფისკაციის წილი, ჩემოდანი (იმ ჩემოდანში იყო ოქრო, ვერცხლი, პლატინა, მარგალიტი. იგი ერთმა ჩეკისტმა მატარებელში წაძარტვა). მე მათგან ეს თანხა მოვიტხოვე. თან საქმეებში ჩავრიე (განსაკუთრებით ჩემოდნის გამო) სპარსეთის კონსული ბაქოსა და როსტოვში.

ბოლშევიკებს არავითარი სურვილი არა ჰქონდათ დაებრუნებინათ ჩემი ფული და ნივთები.

ეტყობა, ფულისა და ნივთების დაბრუნებაზე ადვილი წითლებისათვის ჩემი და ჩემი ცოლის მოცილება იყო. ერთ დღეს ჩვენ დაგვიჭირეს.

1924 წლის 15 იანვარს, ღამის თორმეტის ნახევარზე, ჩვენსას, თბილისის ბინაში ჩეკას გამომძიებელი და ერთი აგენტი მოვიდნენ. მე და ჩემი ცოლი უკვე ვიწვექით. მოვიდნენ და დაგვიჭირეს.

1921 წლის აგვისტოს თვის ბრძანებულება 64, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კომისრები, სხვა მუხლებთან ერთად, ნათქვამია:

„უცხოელის ბინაში ნებადართული არ არის არავითარი ჩხრეკა, თუ ჩხრეკას არ ესწრება სათანადო ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელი.

უცხოეთის ქვეშევრდომის ბინა ხელშეუხებელია და რეკვიზიციას არ ექვემდებარება“.

ორი დამრბვეი სრულიადაც არ ფიქრობდა ამგვარ პატარა დეტალებზე, თუმცა ისინი წარმოადგენენ ე. წ. საქართველოს მუშათა და გლეხთა ზელისუფლებას და ევალებათ ცხოვრებაში გაატარონ მათი ბანდის უფროსის გამოცემული კანონები. ისინი მჩხრეკდნენ. მართმევდნენ საბუთებს. ერთერთი მათგანი (სწორედ ის, რომელიც მერე ჩემი გამომძიებელი იქნება) იჭიბავს რამდენიმე ათას ფრანკს, რომელიც ჩემი საკუთრებაა.

ამ მშვენიერი ოპერაციის ჩატარება-მოთავეების შემდეგ, ჩემი ცოლი და მე სადღაც მიეყავართ. არას დაგიდევვენ, რომ ცოლი ორი დღეა ლოჯინად არის ჩავარდნილი.

ამაოდ ვებეწებოდი: ჩემი ავადმყოფი ცოლისათვის ნება მიეცათ შინ დარჩენილიყო. მაგრამ ამ ორ ბარბაროსს არაფრის გაგონება არ სურდა.

* * *

დაიწყო ჩენი წამება.

ჩემი ცოლი შეიყვანეს საკანში, სადაც კარგი ოჯახის ქალები დახედნენ, ხანდაზმული მანდილოსნები და კახპებიც. მე გამომკეტეს დაახლოებით 30 კვ. მ. ოთახში. იქ, იატაკზე იწვა ყოველგვარი ჭურის 32 მამაკაცი — ოფიცრები, სალდათები, ფუნქციონირები, ჭურდები, მოძალადეები და ა. შ. ძლივსძლივობით მოვახერხე იატაკზე ადგილის შოვნა. ორი საათის შემდეგ რწყილებით ავივსე.

ვერც მეორე დღეს შევიტყვე, რა მოტივით დაგვიჭირეს. მესამე დღესაც სრული სიჩუმე. მაწუხებს ცოლის ბედი. თავს ვიმტვრევ — რა უნდათ ჩვენგან. საკმელად მოგვცეს 400 გრამი შავი პური და მარილიანი წყალი, რომელსაც სუფს ეძახიან. გადავწყვიტე ჩეკას უფროსს მიეწერო.

სამი დღეა, რაც დაჭერილი ვარ. გთხოვთ დამკითხოთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა, გაირკვეს ჩემი საქმე. არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. საკვებს გარედან არავინ მაწვდის. აქ დარიგებული „სუფი“ პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილს ყოფნის.

შემდგომ დღეებში დაიწყო უცნაური და სასაცილო დაკითხვები. დაკითხვას აწარმოებდა ის კაცი, ვინც დამიჭირა და გამქურდა.

პირველ დაკითხვაზე წერილობით ჩამომათვლევინეს ჩემი საქმიანობა, მისგლა-მოსგლა იმ დროიდან, რა დროიდანაც ვიმყოფებოდი ტერიტორიაზე, რომელიც წითელ დიქტატურას ექვემდებარება. მეორე დაკითხვაზე გამომძიებელს მოკრძალებით ვკითხე მისგან მითვისებული ჩემი ფულის ამბავი. ნებართვა ვთხოვე, ჯარისკაცის ან მეთვალყურის მეშვეობით, ოფიციალურად მეყიდა საქმელი ცოლისათვის და ჩემთვის. ამაზე შიპასუხა, რომ ჩემი ფული, სამკაულები და ნივთებიც საიმედო ადგილას იყო... როგორც კი გამანთავისუფლებენ, ყველაფერს დამიბრუნებდნენ. მაშინ ხელწერილი ვთხოვე. უარი მითხრა დროის უქონლობის გამო.

და „გამომძიებელი“ დაკითხვას შეუდგა.

ამგვარი დაკითხვა დაახლოებით 15-ჯერ განმეორდა თბილისის ჩეკაში ყოფნისას და ორჯერ ამისკავკასიის ჩეკაში. ყოველი დაკითხვა ერთმანეთს ჰკავდა. ეს იყო უაზრო შეკითხვების გროვა. მზარალებოდა ჯაშუშობა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, მისთვის რამდენჯერმე ინფორმაციის მიწოდება, ფულის გადაცემა თბილისის ლიკეუმის დირექტორისათვის. ეს უკანასკნელი თითქოს ჯაშუშობდა და კონტრშპიონაჟს ეწეოდა. (ჩეკისტი ხან ერთ სიტყვას ხმარობდა, ხან მეორეს, ამ ცნებებს ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებდა). ჩემს ცოლს კი დააბრალებს: საფრანგეთის კონტრდაზვერვის დაეალებით, ჩემთვის კონსტანტინოპოლიდან 60 000 ფრანკის ჩამოტანა.

ამაოდ ვცდილობდი გამეგებინებინა — რა უსამართლო და დაუსაბუთებელი იყო ეს ბრალდებანი. რაღაც რომ მეღიარებინა, ჩემი მტანჯველი, ჩეკას გამომძიებლისათვის ჩვეულ ხერხებს მიმართავდა: ხან ილიმებოდა, ხან ტრაგიკულ იერს იღებდა სიკვდილით მემუქრებოდა, ხან რევოლვერს მადებდა შუბლზე და ა. შ.

* * *

ვიცოდი: ჩემი ცოლი ცუდ პირობებში იყო. საქმელი არ ჰქონდა. არავითარ სამედიცინო დახმარებას არ იღებდა. ვცდილობდი გამემ-

ხნევებინა. ვამშვიდებდი ჩვენი ჩქარი განთავისუფლების იმედით. რაკი მასთან ლაპარაკი არ შემეძლო, ბარათებს ვუგზავნიდი. ორჯერ მოვახერხე. მესამეჯერ წერილი ხელში ჩაუვარდათ. დამსაყეს. 1924 წლის 30 იანვარს ბნელ და ღრმა სარდაფში ჩამკეტეს. სარდაფს იატაკი არ ჰქონდა. მისი აგურის კედლები სინესტისაგან სველი იყო. დილეგი რომ უფრო ცივი ყოფილიყო, ჩეკისტები განგებ ასველებდნენ სოხანეს. როცა სარდაფში ჩამავდეს, ჩეკისტმა იაშა ზარგინავამ პალტოც გამხადა და კისერზე შემოხვეული კაშნეც წამართვა.

ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ იაშა ზარგინავამ 16-17 წლით ჩემზე უფროსი კაცი შემოავლო სარდაფში. იგი თოხაძედ გამეცნო. ამიხსნა, რატომ იჯდა ციხეში. იგი თურმე დემოკრატიული საქართველოს ყოფილ მინისტრს ნოე ხომერიკს¹ დახმარებია ყალბი საბუთების შოვნაში.

ცოტა ხანიც და ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს. იგი ზარგინავას შემოგზავნილი იყო და პროვოკატორად მივიჩნიე.

ჩემს კომპანიონებთან ცოტა ხანს ვისაუბრე. როცა დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდა დამსმენი იყო (ეს იმდენად ნათლად ჩანდა, რომ ვეჭვობ, რაიმე სამსახური გაეწია უფროსებისათვის), კუთხეში მივჯექი და დაძინება ვცადე. ვერ შევძელი, დილეგი ნესტიანი და გაყინული იყო.

ლამის 12 საათი იქნებოდა. ჩემმა ორივე კომპანიონმა, გათბობის საბაბით, ქალაღის ნაგლეჯები და გამხმარი ბალახი აანთეს. ამან სინესტეში საშინელი ბოლი დააყენა. ეტყობა დაღლილობისაგან ოდნავ ჩამთელიმა და უცებ გამომეღვიძა. ჩვენს კარს ვიღაც ფეხებს ურტყამდა და ხმამაღლა იგინებოდა. ეს ზარგინავა იყო.

ჩვენმა ზედამხედველმა ორ პატიმარს რალაც უთხრა ქართულად. მერე სილა გამაწნა და მუშტები დამიშინა. ფეხითაც მცემდა. ბოლოს რევოლვერი ამოიღო და რამდენჯერმე დამარტყა. ისე დამიმიზნა, თითქოს, სახეში უნდა ესროლა. ღმერთმა რატომ გადამარჩინა ამ მხდალი მკვლელისაგან? შეიძლება მომავალი მიპასუხებს ამ კითხვაზე.

¹ ნ. ხომერიკი 1924 წლის აგვისტოს აჩანუბის შემდეგ დაბრუნდა.

მოხდა ისე, რომ რალაც უცნაურმა ძალამ ამ ბანდიტს შუათითი გაუშეშა.

მეორე დღეს მეტეხის ციხეში გამაგზავნეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ისევ ჩეკაში დამაბრუნეს. ამჯერად ჩამკეტეს სამი მეტრის სიგრძისა და მეტრანახევარი სიგანის ოთახში.

ჩემმა ცოლმაც გაისეირნა მეტეხის ციხეში. ეტლით წაიყვან-წამოიყვანეს, რადგან სიარული არ შეეძლო. ისიც ისეთსავე პატარა საკანში ჩაკეტეს, როგორშიაც მე. მისი საკანი ისეთივე ცივი და ნესტიანი იყო. ჩემი ცოლი ამოდ ითხოვდა სამედიცინო დახმარებას. შიმშილით, დასუსტდა, როგორც მე. ქანცგაწვეტილი სისბლს აღებინებდა. ფეხები დაუსივდა. როგორც იქნა, ჩეკისტმა ექთნებმა იგი ციხის („გუბერნსკაია ტიურმას“ რომ ეძახიან) საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ ექიმებმა ასე თუ ისე მიხედეს, რომ არ მომკვდარიყო. რაც ხელთ ჰქონდათ, იმ წამლებით გაჰკიპეს. მაგრამ საქართველოს ჩეკას ბარბაროსობის წყალობით, იგი ცალკე ოთახში იყო გამომწყვდეული 1924 წლის 14 ივნისამდე.

მართალია, ჩემი უბედური ცოლი საავადმყოფოშია, მაგრამ ჩეკას საშინელი მოპყრობის შედეგად, უმძიმესი ავადმყოფია. პარაზიტებით დაკმულ-დაოსებულს საავადმყოფოს ეზოშიც არ უშვებენ. სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის უფლებაც არა აქვს. ჩვენი მოსკოვის ბანაკებში გაგზავნამდე რამდენიმე დღით ადრე მაინც მიაღწია ამას, იმით, რომ შიმშილობა გამოაცხადა.

* * *

პირველ მარტს, ქართული ჩეკადან მე ამიერკავკასიის ჩეკაში („ზაკჩეკა“) გამაგზავნეს. იქ დიღეგში თვენახევარი დავეყავი. იქიდან კი მეტეხის ციხეში გადამიყვანეს.

იმ გაჭირვებამ, დაჭერის დღიდან რომ გამოვიარე და შიმშილობამ ძალიან დამასუსტა. დამიავადდა ფილტვები. ჩემი შერყეული ჯანმრთელობა რომ დაინახა, ციხის ექიმმა საავადმყოფოში გამაგზავნა. იქ, შორიდან, გისოსების მიღმა, შემეძლო დამენახა ცოცხალ ჩონჩხი, ანუ ჩემი საბრალო ცოლი.

1924 წლის 24 ივნისს ჩემი ცოლი და მე გაგვიყვანეს თბილისის სადგურში და მოსკოვს გაგვამგზავრეს.

თბილისიდან ბაქომდე ჩვესტებმა გამყოლად ვილაც კაცო მომიჩინეს. იგი ძალიან ჰგავდა სუტენერს. თავს კი თეთრი გვარდიის პოლკოვნიკად ასაღებდა. მის სახეს ყალბი მსხვერპლისა და წითელი ტეიორის ცრუ შიშის გამომტყველებმა ჰქონდა. ამით ნამდვილად პროვოკატორი მქლანდებოდა. ეტყობა „ამხანაგ“ ტაბანოვს გზაში უნდა მოვესინჯე.

ჩემი ცოლის თანამგზავრად თბილისში ვერავენ ნახეს ან არ უფიქრიათ. ბაქოში კი გონს მოეგენ. თბილისიდან ბაქომდე მან მარტო იმგზავრა. გვერდით არავინ ჰყოლია. ბაქოდან პეტროვსკამდე კი ნამდვილი ჩონჩხი დაემგზავრა, სახეგაფითრებული ქალღმვილი. იგი ირწმუნებოდა, რომ დიდგვაროვანი წარმოშობის მსხვერპლი იყო. თავი მარია მარინესკოდ მოჰქონდა. რუმინელი მშობლები მყავსო, ამბობდა. სინამდვილეში კი პირწაყვარდნილი რუსი იყო.

ცოლს საეჭვო ყოფაქცევის ქალი ახლდა, მე — ვილაც სუტენერი, წითელი რეჟიმის ორი ღირსეული წარმომადგენელი. ვმგზავრობდით გისოსებიან ვაგონით. უზომოდ ცხელოდა. ტემპერატურა ხანდახან 45 გრადუსს აღწევდა. ერთმანეთზე ისე ვიყავით მიკრულნი, როგორც ქაფშია კონსერვის ქილაში.

თბილისიდან მოსკოვში თვენახევარი ვიმგზავრეთ. დღეში საკმელად 400 გრამი შავი პური გვეძლეოდა; ხანდახან დაობებული ქაშაყის ნაქერს მოგვიგდებდნენ. ციხეებში, სადაც ჩავესხეს, ჟოველთვის კახპებსა და ქურდებს შორის გვამყოფებდნენ. ისინი ახალგაზრდები იყვნენ. არ მალავდნენ თავიანთ უბედურებას. ამბობდნენ, რომ ცხოვრების სხვა საშუალებაა არ ჰქონდათ ამ რეჟიმის ქვეყანაში. ბარბაროსებმა ყველაფერი დაანგრიეს, მაგრამ ახლის შენების შნო არ ჰქონდათ.

* * *

მოსკოვში 1924 წლის 25 ივლისს ჩავედით. ერთი კვირის შემდეგ, კომუნისტი ჯალათების წესების შესაბამისად, მივმართე ქ-ნ პეშკოვას (ზოგიერთი რამის ნებართვას იძლეოდნენ). იგი პოლიტიკური

პატიმრების დახმარების ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო. ვთხოვედი დახმარებას, მეტადრე ცოლისათვის. ერთი კვირის შემდეგ მეორე წერილი გავუზავნე, აგვისტოს ბოლოს — მესამე. არც ერთი წერილი არ მისვლია.

სექტემბრის მიწურულს ქ-ნი პეშკოვა და პოლონეთის მისიის წარმომადგენელი ბ-ნი ვინავერი შეხედნენ ზოგიერთ პატიმარს. მე, ოფიციალურ პირთაგან ნებართვა არ ამიღია, ისე წარვუღდექი.

რვა თვის შემდეგ წითელი ჯვრის ამანათი მივიღე. მასში 350 გრამი კარაქი იყო. როგორც ჩანს, ამის მეტი არაფრის გამოგზავნა არ შეეძლო ამ ორგანიზაციის. ვამჯობინე ეს კარაქი არ მომგველო მათთვის და ამანათი უკან გავუგზავნე. ცოლს ესეც არ რგებია, თუმცა რამდენიმე წერილი მანაც გავგზავნა. ცხადია ეს წერილები შეაჩერეს.

უკეთესსაც გეტყვით: მოსკოვში ჩასვლისას ათი დოლარი მქონდა, ცოლს ოცი. ეს ფული წაგვართვეს. ჩვენს სახელზე ბანკში შეიტანეს.

ჩემი ცოლის ჯანმრთელობა უაღრესად მძიმე იყო. ეს ციხის უფროსებს, ორ ლატვიელს, დუკისა და ადამსონს შევატყობინე. ესენი იმ უცხოელთა წარმომადგენლები იყვნენ, რომელნიც 1918 წლის ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობდნენ. სწორედ ამგვარმა ხალხმა, დაბნეულმა და წყალწაღებულმა, აიყვანა რუსეთის ტახტზე ნაირნაირი ერების ნაჯვარი ადამიანების ბანდა.

ჩემს მიმართვას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ცოლის ჯანმრთელობა კი მკვეთრად გაუარესდა. თითქმის უიმედო იყო. საქმეში ექიმები ჩაერივნენ. ისინი პასუხისმგებლობას იცილებდნენ, თუ სნეულს რძესა და და თეთრ პურს არ მისცემდნენ. მაშინ როგორც იქნა, ცოლს საკვების ყიდვის ნება მისცეს.

მოსკოვში დაკითხვებისას ზუსტად თბილისური კომედია განმეორდა. 1924 წლის 2 სექტემბერს გამოძიებულს, ვინმე სოეინსკის, წერილი გადავეცი. მასში ვასაბუთებდი, რომ ყველა ბრალდება ყალბი იყო. წინადადებას ვაძლედი — პიპნოზი გაეკეთებინათ ჩემთვის (სადისტები ამას ყოველთვის აკეთებდნენ. ამ საქმეში დახელოვნებული იყო პროფ. კრასნუშკინი). დაესვათ კითხვები პოლონეთის საკონსულოსა და პოლიტიკური პატიმრების დახმარების წითელი ჯვრის წარმომადგენელთა

თანდახწრებით. იმ ბრალდებების სიაც ჩამოვწერე, რასაც მე და ჩემ ცოლს გვიყენებდნენ. იქვე ვუმატებდი: თუ პიპნოზის ქვეშ თუნდაც ერთ კითხვას დადებითად ვუპასუხებ, თანახმა ვარ სასჯელის უმაღლესი ზომის, ე. ი. სიკვდილით დასჯის.

ჩემს წინადადებას სოეინსკიმ ცინიკურად უპასუხა: ჩვენი კოდექსი დაკითხვის ასეთ ფორმას არ ითვალისწინებსო. ამიტომ თხოვნას მსვლელობა ვერ მიეცემაო.

ცხრა თვის წინასწარი პატიმრობის შემდეგ, გამომძიებელმა არჩია, სასამართლოს გარეშე, ჩემთვის სამი წლით იძულებითა სამუშაო მოესაჯა. ჩემს ცოლს კი, ვისაც უკვე მკვდრად თვლიდნენ — სამი წლით გადასახლება.

ასე და ამგვარად აქრობს კომუნისტური დიქტატურა, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ასობითა და ათასობით მამაკაცს, ქალს, ბავშვს, მოხუცს. სასამართლოს მაგიერ გადაწყვეტილებას კი იღებს ნარკომანი, ლოთი, საღისტი, ყოფილი სუტენერი ან ყოფილი კატორღელი.

სწორედ ამგვარი „გადაწყვეტილების“ წყალობით, გამგზავნეს იძულებით სამუშაოზე. ჩემი მომაკვდავი ცოლი კი, 9 თვის აუტანელი ტანჯვის შემდეგ, გადაასახლეს. ცხრა თვის ციხის წამების მერე მოგველოდა სამწლიანი ახალი საშინელება.

* * *

ეს ორი განაჩენი გამოიტანეს 1924 წლის 9 ოქტომბერს. იმ დროს, როცა საფრანგეთის წარმომადგენლებს, რომლის შვილი გახლავართ და ვის დასაცავადაც აღმოვჩნდი იქ, ოფიციალურად უნდა ელიარებინათ რუსეთის ახალი რეჟიმი. ეს რეჟიმი კი სძულს გლეხობის 99% და მუშების 90%-ს. ისინი ამ რეჟიმს მანამდე აიტანენ, სანამ ხელსაყრელი მომენტი დადგება, რომ როგორც ერთი კაცი, აღდგნენ და ამოვლიტონ ქალათები, რომელთა უღელქვეშ გმინავენ.

მაშ, იმ დროს, როცა საფრანგეთი ოფიციალურად აღიარებდა ქალათების ქვეყანას, რუსეთში დარჩენილი ფრანგი გადაასახლეს თეთრი ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე, იძულებით სამუშაოებზე. მისი

სიკვდილის პირას მისული ცოლი კი, არც ვიცოდი სად! და ეს ხდება იმის შემდეგ, რაც დაუნდობლად გვაწამეს და გაგვქურდეს.

დანიშნულ ადგილას 1924 წლის 31 ოქტომბერს მივალწიე. პირველ ნოემბერს დილას 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე ტყეში ვიყავი და ხეებს ვჭრიდი. საქმელი არ გვქონდა და სამელი. ვმუშაობდი შეუსვენებლივ. ცივი, კოკისპირული წვიმა ძვალსა და რბილში ატანდა.

არა, აღარ შემიძლია იმ შვიდი თვის აღწერა, რაც იქ გავატარე, არც იმისი, რაც იქ ვნახე.

1925 წლის 19 მაისს, წარსწობა რომ ვაიხსნა, მოსკოვში წამომიყვანეს. გზას ათი დღე მოეუნდით. კატორღიდან 5 თუ 6 წერილი მივწერე საფრანგეთის ელჩს. მოსკოვიდანაც რამდენიმე გავუგზავნე. პასუხი არც ერთხელ არ მიმიღია. არც ეს წერილები მისულა ეტყობა დანიშნულების ადგილას.

ვიღაც აუცილებლად უნდა მენახა საელჩოდან. ჯერ ცოლის ამბავი გამეგო. მერე დახმარება და მფარველობა მეთხოვა; იმისი დაბრუნება, რაც წამართვეს და რაც კავკასიაში დავტოვე.¹ ბოლოს, 1925 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში გადავწყვიტე შიმშილობის გამოცხადება მოთხოვნით: ჩეკისტ-ჯალათებს საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები მოეწვიათ.

რვა დღე ვიშმშილე. ერთმა ზედამხედველმა მ მაისით დათარიღებული დეპეშა მომიტანა. იგი ბ-ნ ერბეტს გამოეგზავნა სოლოვკაში. დეპეშა ორი თვის დაგვიანებით გადმომცეს.

როცა დეპეშა ვნახე, მივხვდი: ეს ბარბაროსები ისევე დასცინოდნენ საფრანგეთს, როგორც მე. აღვშფოთდი: როგორ არავინ უწყევდა ანგარიშს საფრანგეთის ელჩის ხელმოწერას. შიმშილობა მაშინვე შევწყვიტე. რაღა აზრი ჰქონდა?

წითელი ბარბაროსების არაადმიანური მოქცევის წყალობით, ჩემი ცოლი დასნეულდა, მეც დავეადმყოფდი. მუშაობა მიჭირს. თავს მხოლოდ ხელფასით ვირჩინებ.

¹ ცხარია, არაფერი არ დამიბრუნეს.

თავი X

ბოლშევიკების დანაშაულებანი და მათ მიერ მოსახლეობის საშინელი დევნა სულ უფრო და უფრო მზარდ მღელვარებას იწვევს

ლიანგურმა დაქერებმა, განუკითხავმა დახვრეტებმა, სასტიკმა წამებებმა, რასაც ბოლშევიკები სჩადიოდნენ წითელ ცხენებში ჩაყრილ პოლიტიკურ პატიმრების მიმართ, ხალხი ფეხზე დააყენა. როგორც უკვე ვთქვი, კახეთი პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მეთაურობით აღდგა დამპყრობლების წინააღმდეგ. შეებრძოლა და დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი ბოლშევიკთა რაზმები. ეს ვაჟაკური ბრძოლა სვანების ბრძოლების გაგრძელება იყო.

ამას მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა რაიონში ადგილობრივი პარტიზანული გამოსვლები.

1923 წელს აჯანყებამ მოიცვა გურია. იქ წითლებმა დამსჯელი რაზმი გაგზავნეს. რაზმს მეთაურობდა ყოფილი კატორღელი, ჩეკისტი ობოლაძე. მან ააწიოკა სოფლები, ცეცხლს მისცა გლეხების სახლ-კარი, უწყალოდ გაჟლიტა მოსახლეობა. უბედურ მოსახლეობას მოთმინების თიალა აეცხო: ქალაქ ოზურგეთის მახლობლად ობოლაძე ყუმბარებით დაგლიჯეს. მართალია, ოზურგეთს 150 წითელი რუსი იცავდა, მაგრამ ამან ობოლაძეს ვერ უშველა.

ბოლშევიკების შურისძიებამ არ დააყოვნა. ჩვეული სიმხდალით (ეს ხაზგასასმელია), წითლებმა თბილისში დახვრიტეს 92 უდანაშაულო პატიმარი. მათ არც გურიის აჯანყებასთან, არც ობოლაძის მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. ისინი დიდი ხანია ციხეში იჯდნენ. წელიწადზე მეტი იყო გასული, რაც ზოგიერთი მათგანი ციხეში იჯდა.

დარწმუნებული, რომ არაერთარ პასუხს არ აგებენ, ისე შეუძლიათ ძარცვონ, დაანგრიონ, დაიჭირონ, გაელიტონ, დახვრიტონ, ბოლშევიკები იმუქრებიან: ობოლადის მოკვლის დღიდან ყველა პატიმარი მძევლად ჩაითვლება. თუ თავდასხმა კვლავ განმეორდება, პატიმრები უმოწყალოდ დაიხვრიტებიან. ეს ამბავი ხდება 1923 წლის მარტში.

მაგრამ ზოგიერთი დეტალი ბოლშევიკებს აფიქრებინებს: წინააღმდეგობის ცენტრი თბილისშია. მას გენერალი კოტე აფხაზი ხელმძღვანელობს. თავადს ბრალად ედება ამბოხების მზადება. მაშინვე იჭერენ. მის ბედს ჩქარა ჩქაა სწყვეტს. სასამართლო არ ჩატარებულა, ისე გამოიტანეს განაჩენი. 1923 წლის 20 მაისს გენერალი კოტე აფხაზი დახვრიტეს.¹ ასეთივე ბედი ერგოთ საქართველოს ყოფილი არმიის ბევრ რჩეულ ოფიცერს,² მართალია, არაერთარი საბუთის ნასახიცი არ მოიძებნა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად, მაგრამ ჩეკას რად სჯირდება ან საბუთი ან და სასამართლო.

წითლებმა დევნის ახალი ფორმაც გამოძებნეს. ამჯერად იერიში რელიგიაზე მიიტანეს. ბოლშევიკებისავე თქმით, ცას შეუტიეს. მომდევნო თვეებში ბრძოლის ძირითადი მიმართულება რელიგია იყო. დაიწყეს ეკლესიების დახურვა და ძვირფასი რელიგიური განძის დატაცება. კეთილშობილ ლითონს გადასადნობად აგზავნიდნენ.

¹ 1923 წლის 20 მაისს კ. აფხაზთან ერთად დახვრიტეს. გენერლები: ა. ანდრონიკაშვილი და ვ. წულუკაძე; პოლკოვნიკები - ვ. ხიმშიაშვილი, რ. მუსხელიშვილი, ა. მაჭავარიანი, ვ. გულიანაშვილი; ოფიცრები -- ს. მაკრატონ-მუხრანსკი, ვ. ყარაღაშვილი, ლ. კლიმაშვილი, დ. ჩხიდილი და 6 სამოქალაქო პირი - მ. ზანდუკელი, ი. კრესელძე, ი. ქუთათელაძე და ს. ჭიპორიშვილი. (მთარგმნელები).

² სამხედრო და სამოქალაქო პირს. ის სამხედროები და სამოქალაქო პირნი, რომელთაც 1924-25 წწ. 10-10 წელი პატიმრობა მოესაყეს, „სასჯელის“ მოხდის შემდეგ 1927-28 წწ. დახვრიტეს კოტე ანდრონიკაშვილი, იასონ ჩავჭიშვილი, ნიკოლოზ და ივანე ნაკაშიძეები, ნიკოლოზ ქარცივაძე, მიხეილ იშნელი, გიორგი ცინოზია, მ. მოჭორიშვილი, შერამ ეჩინაძე, გენერალი გედევანიშვილი, ელიზბარ შერვაშიძე, ვაჟო ბურჯულაშვილი, ექტორ შვალაბიშვილი, ივანე ივლიშვილი (ზურაბ ავალიშვილის ძმა) და შრავალი სხვა. (მთარგმნელები).

სასულიერო პირებს ეკრძალებათ ატარონ წვერი,¹ ჩაიცვან საერო სამოსელისაგან განსხვავებული ტრადიციული ტანსაცმელი. ბოლშევიკებს ესეც არ აკმაყოფილებთ. იწყებენ სამღვდელოების დევნას და დაჭერებს. უმოძღვაროდ დარჩენილ მოსახლეობას ისღა დარჩენია, ხან აქ, ხან იქ, ფარულად შეიკრიბოს, ილოცოს, ჩაატაროს რელიგიური დღესასწაული. ყველაფერი ისე ხდება, როგორც პირველქრისტიანულ ხანაში.

ამავე დროს თბილისში მიმდინარეობს ურცხვი და აღმაშფოთებელი სასამართლოს პროცესი.

ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ გარეუბანში, საგანგებოდ შერჩეულ და წარმოდგენებისათვის განკუთვნილ, მოუწყობელ და უვარგის დარბაზში ატარებენ პატრიარქ ამბროსის სასამართლო პროცესს. მასთან ერთად ასამართლებდნენ მღვდლებს, რომელთაც გაბედეს ამბრონიდან ვაჟაკურად დაეცვათ რელიგიაც და სამშობლოც.

ეს პროცესი დახურული არ არის. გამოცხადებულია, რომ შესვლა „თავისუფალია“. ნამდვილად კი უმკაცრესი კონტროლია დაწესებული. არ უშვებენ დარბაზში ინტელიგენტებს და ქრისტიანებს. მიპატივებული არიან მხოლოდ დაქირავებული ხალხი, ჩეკისტები, ახალგაზრდა კომუნისტები და მათი მსგავსნი. აი, ასეთი ნაძირალების წინაშე წარსდგნენ ქართული ეკლესიის წარმომადგენლები. მათ ბრალად ედებათ წინააღმდეგობა არსებული რეჟიმის მიმართ და, ეკლესიების დახურვისა და ძარცვის დროს, ძვირფასი ნივთების გადამალვა. პატრიარქი ამბროსის „დანაშაული“ უფრო დიდია: მან დახმარებისათვის დასავლეთს მიმართა და სთხოვა გენუის კონფერენციას წარმომადგენელთა ჩარევა საქართველოს საქმეებში.

მოქალაქეობრივი გამბედაობის მშვენიერი მაგალითი აჩვენა ქართველ ვეჟილთა ერთმა ნაწილმა. წითელი რეჟიმის დამყარების შემდეგ ქართველი ადვოკატები აღარ მონაწილეობდნენ სასამართლო პროცესებში. ახლა კი მათ იკისრეს სასულიერო პირთა დაცვა. ვეჟილებმა, ბრალდებულებთან ერთად, გაიზიარეს ქუჩური ლანძღვა-გინება, ღრიანცელი, ფიზიკური შეურაცხყოფა-ქვების სროლა, ცემა და

¹ ეს შეურაცხყოფელი ზომა ნელ-ნელა დამკვიდრდა.

ა. შ. ამას სჩადიოდა საგანგებოდ იქ თავშეყრილი შემზარავი, უხეში, უგუნური ბზბო. ეს გაუგონარი საშინელება მარტო სასამართლო დარბაზში აი ხდებოდა. ეს იყო მთელი იმ გზის მანძილზე, რომელიც ბრალდებულებს უნდა გაეცლოთ სატუსალოდან სასამართლომდე და უკან.

როგორც ბრალდებულებისათვის, ისე ვექილებისათვის ათდღიანი გრძელი და ჩხელი წამების შემდეგ, პატრიარქს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (მერე 9 წლის პატიმრობით შეუცვალეს, მოგვიანებით კი შეიწყალეს და გამოუშვეს). ეკლესიის სხვა მსახურებს პატიმრობის სხვადასხვა ვადა: ზიესჯაზო, გაამართლეს მხოლოდ ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი; მას ვერაფერი დასწამეს. მაგრამ 1924 წლის აჯანყების დროს, ბოლშევიკებმა, ჩვეული წესით, იგი დაიჭირეს და დახვრიტეს.

* * *

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რელიგიის დევნა სპეციალურად და მეთოდურად იყო მოწყობილი მოსკოვის მიერ. ალბათ, აჯობებს მოვიშველიოთ ნაწყვეტები თავად შალვა ამირეჯიბის ნაწერებიდან. იგი მოწმე იყო ყველა იმ ფაქტისა, რომელსაც გვიამბობს. თავისი თვალთ უნააყვს ამაზრზენი მსვლელობა, მომხდარი წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს საფლავების აოხრებისა და წაბილწვის შემდეგ. „ბოლშევიკები ყველანაირი რელიგიის მტრები არიან. მათ ეს დაამტკიცეს საქართველოში. როცა 1923 წლიდან სრულიად გაუგონარი სიძულვილი გამოიჩინეს რელიგიური იდეის მიმართ. საქართველოში დახურეს ეკლესიები, დააპატიმრეს სამღვდელოების წარმომადგენლები, გაყიდეს წმინდა ნივთები. ამას იმ საბაბით აკეთებდნენ, თითქოს ხალხის სურვილს ასრულებდნენ.

საქართველოს ისტორიის სრულ უცოდინარობას ნიშნავს იმის თქმა, რომ ქართველი ხალხი რელიგიის მოწინააღმდეგეა. 15 საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ქართველობა ისლამს ქრისტიანობის დასაცავად. რასაც წითლები უწოდებენ „ანტირელიგიურ ხალხს“, ეს მხოლოდ კომკავშირია ახლგაზრდა კომუნისტების კავშირი.

კომკავშირი შედგება უმუშევარი ახალგაზრდებისაგან. მათ პოლიცია ეძებდა ქურდობის, ლოთობისა და უზნეობისათვის. ზოგიერთი გარკვეული ვადით დასჯილიც იყო. მათ შორის ახალგაზრდა ქალებიც არიან. აი, საფუძველი ამ საბჭოთა ორგანიზაციისა. აი, რა ადამიანებს უწოდებენ თანამედროვე საქართველოს ნამდვილ მოქალაქეებს.

კომკავშირელ გარეწრებს იმედი აქვთ, რომ წითელი მთავრობის სამსახურისათვის ბოლშევიკები მათ კარგ და ადვილ მომავალს მიართმევენ. კომკავშირი ბოლშევიკების მსახურია ყველგან და ყველგან. იგია მათი მედროშე და ქუჩებში ინტერნაციონალის სიმღერით მიუძღვის მანიფესტაციებს (თუმცა ინტერნაციონალი მათი საყვარელი სიმღერა არ არის). კომკავშირი მტერია ყოველგვარი ტრადიციის, მორალის. იგი ემუქრება „მსოფლიო ბურჟუაზიას“. იგი ლანძღავს ევროპის ერებს. კომკავშირლები მზად არიან მოსპონ ყოველი ადამიანი, ვინც მათებრ არ ფიქრობს. მათ არაფერი სცხიათ რევოლუციის გულუბრყვილო მსხვერპლის — მომზიბლავი გავროშის. კომკავშირლებს ჯამაგირს წითელი მთავრობა უხდის. ისინი უპრინციპო, ზნედაცემული, ზიზლისმომგვრელი, ყველაფრისმკადრებელი დამნაშავე ახალგაზრდები არიან. ისინი უარყოფენ წინაპრების კულტს და ღვთიშობლის ხატს როზა ლუქსებბურგის სურათით სცვლიან.

ახალი კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად კომუნისტები ამ გახრწნილ ახალგაზრდებს ეყრდნობიან. ძალიან ეშლებათ: ახალი საზოგადოება არ იქმნება ძველი საზოგადოების ნაძირალებით.

წითლებმა კომკავშირი ძალიან მნიშვნელოვან ორგანიზაციად აქციეს. იგი მოსახლეობის ტერორს წარმოადგენს. კომკავშირის ყოველი წევრი დარწმუნებულია — ისინი იქნებიან ამჟამინდელი საბჭოების შემცვლელნი.

სწორედ ამ ნაძირალებს მიანდო ბოლშევიკურმა მთავრობამ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ დაიწყეს ეკლესიების ნგრევა, სამრეკლოდან ჯვრების ჩამოხსნა, ტაძრების ძარცვა, ძვირფასი და სათაყვანო ნივთების პარევა. სულ მოკლე დროში 15 000 ეკლესია დაარბიეს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღშფოთებულმა მოსახლეობამ ამ

საზარელი ქმედების არა ერთი და ორი ინიციატორი გამოასალმა სიციოცხლეს.

სამღვდელოების დიდი ნაწილი ან გადაასახლეს ან ციხეებში ჩამწყვდიეს. ეკლესიების დიდი ნაწილი ბოლშევიკების თეატრებად, კლუბებად, კოოპერატივებად აქციეს. პატრიარქ ამბროსის ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, მერე ციხეში იჯდა. მისი რეზიდენცია, მისი ეკლესია წითლების შესაკრები ადგილი გახდა.

თბილისში სამხედრო ეკლესია კომკავშირის მთავარ კლუბად გადააკეთეს. ზარები ჩამოხსნეს და წმინდა ჯვრები შეცვალეს ელექტრონითგაზათებული ვარსკვლავებით. ზოგიერთი გამართავებული ეკლესია კერძო ბინებად გამოიყენეს, სადაც კომკავშირული ორგანიზაციები იმართებოდა.

1923 წელს, შობადღისათვის, კომუნისტურ პარტიას „უნიკალური“ აზრი დაეზარდა. ედღესასწაულათ არა ქრისტეს ხორციელად მოვლინება, არამედ ახალგაზრდა კომუნისტის გაიოზ დედდარიანის კომკავშირის ხელმძღვანელად დანიშვნა.

თბილისში, ერთ პატარა ეკლესიასთან, ლენინის თაბაშირის ქანდაკება დადგეს. ტროცკიმ ქალაქში სეირნობისას, ამ ეკლესიის წინ გაიარა. ზარები რეკდნენ. ტროცკიმ თქვა: „ან ეს ძველი უნდა დარჩეს, ან ეს ეკლესია“. თქვა და გზა განაგრძო. რამდენიმე საათში ეკლესია დახურეს: რამდენიმე დღის მერე კი დაანგრეს.

ქუთაისში, ქალაქის შუაგულში, დიდ მოედანზე, უძველესი და მშვენიერი ტაძარი იდგა. წითლებმა მიტინგისათვის მოისურვეს მოედნის გამოყენება. ტაძარი მაშინვე დაანგრეს.

ასე სცემდნენ პატივს ეს ბარბაროსები წარსული საუკუნეების ხელოვნების შედევრებს და მათ შემქმნელებს. წითლების ვანდალიზმის რომელი ერთი მაგალითი ჩამოვთვალო!

ქუთაისმა საშინელი აწიოკება განიცადა.

საქართველოს ამ ძველი დედაქალაქიდან ოთხ კილომეტრზე მდებარეობს მეშვიდე საუკუნის მონასტერი, ცნობილი თავისი რელიქვიებით. მონასტერი აგებულია მდინარი წყალწითელას ნაპირზე (მდინარეს ეს სახელი მიწის ფერის გამო ეწოდა). მონასტერი ყოველი მხრიდან მწვენივ მთებით არის გარშემორტყმული. ამ მონასტერში ორი

მის, არგენტის მთავრების, წმ. დავითის და წმ. კონსტანტინეს საფლავებია. მე-7 საუკუნეში ისინი არაბთა წინააღმდეგ აჯანყებას მეთაურობდნენ. მუსლიმანებმა ისინი ტყვედ ჩაიგდეს. აწამეს. მოკლეს. მათი გვამები წყალწითელაში ჩაყარეს. არაბები რომ საქართველოდან განდევნეს, ორი წმინდანის სხეული ხელუხლებელი აღმოაჩინეს ძვირფასი ქვებით შემკულ კუბოებში. მონასტერს მოწამეთა მონასტერი ეწოდა. აქ განისვენებდნენ ისინი საუკუნეთა განმავლობაში. ქართველი ხალხი თაყვანს სცემდა მათ. ყოველ წელს მიემართებოდა სალოცავად ამ ორი წმინდა მოწამის საფლავზე. ისინი ხომ ქრისტესა და სამშობლოსათვის დაიღუპნენ! ლეგენდა გვიამბობს: ამ ორი ნეტარი წმინდანის სხეულები ხელუხლებელი იყო. 1923 წლის მაისში კომუნისტებმა გადაწყვიტეს: დაემტკიცებინათ მოსახლეობისათვის, რომ ცხედრები ფერფლად იყო ქცეული.

ჩეკა და კომკავშირი შეიკრიბნენ. საგანგებოდ მოიწვიეს ექიმები. მონასტრისაკენ მიმავალ ყველა გზას წითელი არმიის რაზმები დარაჯობდნენ. მონასტერი დაკეტილი აღმოჩნდა. ბერებმა იგი დატოვეს. მათ არ უნდოდათ დასწრებოდნენ წმიდა ადგილის შეურაცხყოფასა და მკრეხელობას. კომუნისტებმა კარი შეამტკრიეს და მონასტერში შეეკვიდნენ. დაიწყო მკრეხელობის ყოვლად უმსგავსო და საზარელი სცენა. გახსნეს ორივე კუბო. ექიმებს წერილობით დაადასტურებინეს, რომ წმინდათა სხეულები აღარ არსებობდა. მერე თითოეულმა კომუნისტმა ხელში აიღო წმ. დავითის და წმ. კონსტანტინეს ჩონჩხების ნაწილები. დაირაზმნენ და ეს თავზარდამცემი კორტეჟი ქუთაისისაკენ დაიძრა. წინ საბჭოების დროშებს მიაფრიალებდნენ.

თურმე ეს მოსახლეობის აღზრდისა და განათლების მიზნით ჩაატარეს.

ამ გაუგონარი მკრეხელობის მონაწილენი ჰგავდნენ ანტროპოფაგების ბანდას, რომელთაც ნამდვილად მიჰქონდათ ხოლმე ძვლები იმ უბედურთა, ვინც ეს ეს არის შეჰამეს.

ამ საზარელი კორტეჟის შუაში ერთ-ერთი ბოლშევიკი ბანქანაში იჯდა. ხელში ორივე წამებულის თავისქალები ეჭირა. ერთმანეთს

ურახუნებდა და გაჰყიოდა: — თუ წმინდანები არიან, აბა დამსაჯონო!... ხალხში აღმფოთებული შეძახილები ისმოდა — შენ უკვე დასჯილი ხარ... შეშლილხარ, რადგან ამ საშინელებას სჩადიხარო... ხალხიდან რამდენიმე მაშინვე დაიჭრეს.

ძელები გამოფინეს იმის დასამტკიცებლად, რომ გვამები აღარ არსებობდა. მოსახლეობა კი უბრძანეს ძელების წინ ჩაეელო. ხალხმა დიდი მოწიწებით ჩაიარა. არავის სჯეროდა, რომ ძელები წმინდანებისა იყო. ხმები დაირხა: ნამძვილი ცხედრები ბერებმა საიმედო ადგილას გადაამალესო. ხალხმა ეს ირწმუნა და ამ ცნობას ერთმანეთს გადასცემდნენ.

საზარელმა მკრეხელობამ ხალხი ვერ დააჭერა, პირიქით მოხდა. რელიგიის დაუნდობლო დევნა მთელ საქართველოში გრძელდებოდა.¹ ცხოვრება აუტანელი ხდება. მეტადრე პატრიოტებისათვის. ჩქარა აჩანყება იფეთქებს.

ინტელექტუალური ცხოვრება სრულიად მოისპო. ლიტერატურაში, პრესაში, ხელოვნების ყველა დარგში იძულებულნი არიან მისდიონ ბოლშევიკების ვიწრო და უაზრო დირექტივებს. ყველაფრის ბატონ-პატრონია სახელმწიფო. თუ რაიმეს გამოკვეყნება გინდა წითლების ნებართვაა საჭირო. მა უნდა სთხოვო ქალაქი; მათ უნდა წარუდგინო დასაბეჭდი ტექსტი — წარმოსადგენია, რა მკაცრი იქნებოდა წითელი ცენზურა!

ყველა სათვატრო დარბაზი გამოცხადებულია ბოლშევიკების საკუთრებად. წითელი ხელისუფლება თავად ირჩევს სათამაშო პიესებს. ნებას აძლევს აჩვენონ ესა თუ ის სპექტაკლი. რეპერტუარში მხოლოდ ის პიესებია, რომლებიც წითლების მიზნებს ემსახურება. ცხადია, ყველაფერი დაგმობილია. რასაც ოდნავ დაჰკრავს პატრიოტული გრძნობა.

წითლებისათვის ხელოვნების მხოლოდ ერთადერთი ჟანრია მისაღები — ქანდაკება. მართლაც, ყოველი სკულპტორი, ვინც ლენინს ან რომელიმე სხვა ცნობილ ბოლშევიკს სულერთია ცოცხალია იგი თუ

¹ "The Patriot" du 6 aout 1925 et "L'Echo Rochelais" du 13 mars 1926.

მკვლარი, გამოაქანდაკებს, მაშინვე ფავორში აღმოჩნდება. მას უხვად უხდიან ჰონორარს, დიდ ანგარიშს უწევენ და ხოტბით მოიხსენიებენ.

ბოლშევიკებს ქვის ავადმყოფობა სჭირთ. დარწმუნებული არიან: რაც უფრო ხშირად გამოძერწავენ ამა თუ იმ კომუნისტს, მით უფრო

გამომძიებლები და მოსამართლეები გაძევებულნი არიან. მუშაობენ მარტო ტრიბუნალები. სტუდენტების სულსა და გონებას სწამლავენ. ცდილობენ ბზარი შეიტანონ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილებაში. სასწავლო პროგრამაში შეაქვთ მარქსიზმი და საბჭოთა სამართალი (ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან კავშირში ძალიან უცნაურად ედერს). მაგრამ ამ საგნებში ლექციები ვერ ჩატარდა. არცერთმა ქართველმა პროფესორმა ამ კურსის წაკითხვა არ ისურვა. წითლებს კი არ ჰყავთ საკუთარი განათლებული პიროვნება, ვინც შეძლებს ამ „საინტერესო“ საგნების სწავლებას.

მრეწველობა გაქრა. ყველაფერი, რაც დასავლეთიდან შემოდის ან აღარ შემოდის ან ძალიან მცირე რაოდენობითაა, ისიც მხოლოდ მაღალი რანგის კომუნისტებისათვის.

თუ შიმშილით არ გინდა რომ მოკვდე, ქალაქებში აუცილებელია საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციონერი გახდე. მას მსახურად უნდა დაუდგე. მაშინ მინიმალურ ხელფასს მაინც მიიღებ. მართალია, ცხოვრებისათვის სრულიად არასაკმარისს, მაგრამ ლუკმა-პურს იშოვნის, პირველი საჭიროების საგნებს შეიძენ. თითოეული მოქალაქე ცდილობს ნელ-ნელა გაყიდოს ნივთები, ტანისამოსი, ერთი სიტყვით, რაც აქვს, რომ როგორმე თავი შეინახოს, შიმშილით სული რომ არ ამოძვრეს. მყიდველი ცოტაა. ცოტა ფული რომ გქონდეს არა მარტო კვაჭი უნდა იყო, არამედ კომუნისტი, ანდა ბოლშევიკების მეგობარი.

ყოველი ქალაქი, ყოველი სოფელი ბაზრად არის გადაქცეული, სადაც საცოდაობისა და სიღატაკის სურათს უყურებს ადამიანი. დაუმატეთ ყოველივე ამას მრავალრიცხოვანი, დიდი გადასახადები და მიხვდებით, რომ ეს ქვეყანა, ნელ-ნელა გაღატაკებული წითელი ტირანიის მიერ, ბოლოს და ბოლოს უნდა აღდგეს მზავრელებისა და დამპყრობლების წინააღმდეგ.

თავი XI

1924 წლის აჯანყება

1924 წლის აგვისტოში საქართველოში აჯანყებამ იფეთქა. იგი ქიათურაში დაიწყო 28 აგვისტოს. ზამდენიმე დღეში კი მთელ საქართველოს მოედო.

გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, სვანეთში, ერწოში მაშინათვე მოახერხეს ბოლშევიკური უღლის გადაჯდება. დაიჭირეს და გააძევეს ბარბაროსები. აჯანყებულები თბილისის გარშემოც მოქმედებდნენ. მათ პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. თბილისის გახარებული მოსახლეობა იმედით მოელის გამარჯვებული პატრიოტების დედაქალაქში შესვლას. წითლებისათვის ვითარება კრიტიკულია.

* * *

ძალიან ძნელია ამ აჯანყების ზუსტი სურათის აღწერა (ისტორიას ჯერ არაფერი უთქვამს მასზე, ისევე როგორც წინა ბრძოლებზე წითელი არმიის წინააღმდეგ). მე მაინც მოვახერხე შემეგროვებინა ამ აჯანყების მონაწილე ქართველ პატრიოტთა ნაამბობი. მოვახსენებთ ამ დეტალებს.

ამბოხების დაწყებისთანავე ბევრი ქალაქი — დუშეთი, მანგლისი, სენაკი და სხვა ქართველმა აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში. ისიც უნდა აღენიშნო, რომ წითლების წინააღმდეგობა არ იყო შედეგარი. მანგლისში მაგალითად, წითელმა ჯარისკაცებმა იარაღი მყისვე დაყარეს და თავშესაფრად ტყეს მიაშურეს. ბრძოლა წითლებმა მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როცა თბილისიდან დიდი რაოდენობით მოვიდა დამხმარე ძალა და თან ზუსტი დირექტივები მოიტანეს.

როგორც წესი, ბოლშევიკების ჩარი აჯანყებულებს კი არ ებრძვის, არამედ მოსახლეობას. რუსეთიდან მოსული და ძირითადად რუსებისაგან შედგენილი რაზმები მშვიდ და უწყინარ მოსახლეობას სჯის. არ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს მოსახლეობა თავისთვის არის და ამბოხებაში არ მონაწილეობს.

სადაც წითლების ბატონობა არ შერყეულა, იქ იწყება სისხლიანი რეპრესიები — აწიოკება, დაწვა, დაჭერა, ხოცვა-ჟლეტა, დახვრეტა...

ყოველ რაიონსა და უბანში, ქალაქსა და სოფელში, წითელ ჩარისკაცებთან ერთად, ჩეკას სპეციალური განყოფილებები იქმნება. განყოფილება სამი ბოლშევიკისაგან შედგება, მას განუსაზღვრელი უფლებები აქვს მინიჭებული. ეს პატარა ჩეკა-ები განუკითხავად მოქმედებენ. როცა მეამბოხეები იძულებულნი არიან უკან დაიხიონ და ტყეს შეაფარონ თავი, ჩეკა იწყებს მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტას. დასახვრეტთა სიები წინასწარ არის შედგენილი. ამ სიებში მხოლოდ რიცხვია აღნიშნული: რამდენი უნდა დაიხვრიტოს თითოეულ დასახლებულ პუნქტში. გვარსა და სახელს, წლოვანებასა და სქესს არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია რაოდენობა. სოფელ ბანძაში, მაგალითად ჩეკისტების მიერ განსაზღვრული დასახვრეტთა რაოდენობა არ აღმოჩნდა. რაკი 15 კაცი დააგლდათ. რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს 15 კაცი მოსაძებნია. ასეც მოიქცნენ. ახლო სოფლებში მოაგროვეს და ყველას ერთად მოუსპეს სიცოცხლე.

კიათურაში 150 კაცი დაიჭირეს, ძირითადად გლეხები, მუშები, სტუდენტები. ზესტაფონში წაიყვანეს. შეყარეს საბარგო მატარებელში და ტყვიამფრქვევით ამოწყვიტეს ერთიანად.

ძალიან ბევრი ადამიანი დახვრიტეს ქუთაისში, მათ შორის 10 მღვდელი და მიტროპოლიტი ნაზარი, 70 წლის მოხუცი. გვიანობდნენ: როცა ეს წმინდა მოხუცი უნდა მოეკლათ, წითელმა ჩარისკაცებმა პაერში ისროლესო. მაშინ გაცოფებული ჩეკისტი ქალი თავად მივარდა ნაზარის და თავისი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს უდანაშაულო მოძღვარი. მიტროპოლიტის უდანაშაულობა არავის ეეჭვებოდა.

სენაკში 300 ადამიანი დაიჭირეს და დახვრიტეს. ყველგან

მიმდინარეობდა მასობრივი დაპატიმრებანი. ძირითადად ატუსაღებენ თავადებს, აზნაურებს, ინტელიგენტებს, ქართული არმიის ყოფილ ოფიცრებს, გლეხებს, მეამბოხეთა ახლობელ და შორეულ ნათესაეებს. ამ ბედშავი ადამიანებისაგან კოლონებს ქმნიან, გაჰყავთ დასახლებული პუნქტების მიდამოებში და ხოცავენ. წითლების სისასტიკე ხანდახან ადამიანისათვის წარმოუდგენელ ბარბაროსობას აღწევს.

თელავში ხანდაზმული თავადი ჯორჯაძე დააპატიმრეს. 16 სხვა კაცთან ერთად. ცხადია სიკვდილი მიუსაჯეს. მისი ვაჟი კომკავშირელი იყო. მან ჩეკისტების უფროსთან ბოლშევიკ ჯაფარიძესთან მიირბინა. შეეხვეწა: მოხუცი მამის შესწავლება. თავადი, ჯორჯაძე სრულდიად უღანაშაულო იყო. თან მისი ვაჟი კომუნისტებს ემსახურებოდა.

— მე ხომ თქვენნი ვარ — მიმართა ახალგაზრდამ ჯაფარიძეს. — შეილიც დასახვრეტია, რაკი ასეთი მამა ჰყავს უპასუხა ჩეკისტმა.¹

გამძევინვარებულმა ყმაწვილმა რევოლვერი იძრო და ჯაფარიძეს ესროლა. მაგრამ ვერ მოკლა, მხოლოდ დაჭრა.

ჯაფარიძის ჩეკისტებმა უმალ შეიპყრეს ჭაბუკი ჯორჯაძე. იმ ოთახში, სადაც ეს სცენა მიმდინარეობდა, 17 პატიმარი შემოათრიეს. ჭაბუკის წინ ყველა დახვრიტეს, მოხუცი მამაც. ბოლოს ახალგაზრდაც მიაყოლეს.

სამართალმა მაინც თავისი გაიტანა: რამდენიმე დღის შემდეგ მიღებული ჭრილობისაგან ჩეკისტი ჯაფარიძე მოკვდა.

* * *

ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ველური რეპრესიების შედეგად 7 000 ადამიანი დაიღუპაო.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დახვრეტები თბილისში მოხდა.

¹ ეს საზარელი ფაქტი ოდნავ ამსხვავებულად გაიხსენეს ქანბმა ციყნა ჩოლოყაშვილმა და ნინო ავალიშვილმა. ახალგაზრდა ჯორჯაძის თხოვნაზე მამა შეიწყალონ და ყველგვარი დავალებს შესტრულებს ახალ ხელისუფლებას. ჩეკისტი ჯაფარიძე პასუხობს: „ჩემი პირველი დავალება იქნება მამაშენი შენივე ხელით დახვრიტოო“ (მთარგმნელები).

მსხვერპლი ძირითადად თბილისის მაცხოვრებლები იყვნენ. ზოგიერთ შემთხვევაში სხვა რაიონებიდან ჩამოყვანილებიც. ხოცვა ელექტამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ დახვრეტების ხელმძღვანელი ჩეკისტებიც კი შეფიქრიანდნენ. მათ ითხოვეს: მომავალში დასჯას დასწრებოდა თბილისის წითელი მთავრობის ერთ-ერთი წევრი; პასუხისმგებლობა მართო ჩეკისტებს რომ არ დაკისრებოდა. მათი თხოვნა დააკმაყოფილეს. იმ დღიდან მოყოლებული დახვრეტებს მთავრობის რომელიმე წევრი ესწრებოდა.

მოსკოველი ბარბაროსების მიერ დახვრეტილ-განადგურებულთა შორის უნდა დავასახელო რამდენიმე:

ყოფილი ქართული მთავრობის მინისტრი ხომერიკი. თბილისის ყოფილი ქალაქისთავი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი ჩიკვიშვილი, ყოფილი ქართული ეროვნული გვარდიის სარდალი ჭულელი.

გენერლები ყარალაშვილი, ფურცელაძე, პოლკოვნიკი გარდაფხაძე, თავადი ვაჩნაძე, გაწყვიტეს დიდგვაროვანთა (ზოგჯერ მთელი ოჯახები, ბავშვების ჩათვლით), ოფიცერთა, დამფუძნებელი კრების დეპუტატთა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა, სამღვდელოების დიდი რაოდენობა, ბევრი ექიმი, მასწავლებელი, გლეხი, მუშა.

აი, როგორი შეუბრალებელი რეპრესიებით ჩააქრეს წითლებმა ქართველთა აჯანყება. ამაში ბოლშევიკებს რუსეთი ეხმარებოდა. ბრძანება იყო გაცემული: საჭიროებისამებრ სულ ახალი და ახალი დამსჯელი რაზმები გამოეგზავნათ საქართველოში.

წითელმა დიქტატურამ წესრიგი ჭერ რკინიგზის მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში დაამყარა. შემდეგ კი თანდათანობით მთიან რაიონებშიც მომაგრდნენ. ასე იყო აჯანყების წინა ხანებში, ამბოხების დროსაც და მისი ჩახშობის შემდეგაც. მამაცმა და ღირსეულმა ხელმძღვანელობამ დარაზმა, შეაიარალა და გაწვრთნა მთელთა რაზმები. ისინი გამუდმებით ეწეოდნენ პარტიზანულ ბრძოლებს და საფრთხეს უქმნიდნენ ბოლშევიკებს.

იმ მეთაურთა შორის, რომელთაც წითლებს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს, ყველაზე სახელოვანი უდაოდ თავადი ჩოლოყაშვილია. მისი სახელი ყოველი ქართველისათვის საამაყოა. ალბათ, პოლკოვნიკ

ჩოლოყაშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში იქცევა სიმამაცის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სიმბოლოდ.

თავადმა ჩოლოყაშვილმა უკვე 1914-18 წლებში, დიდი მსოფლიო ომის დროს გამოიჩინა თავი. იგი რუსული არმიის ლეიტენანტი იყო. ამიერკავკასიის ფრონტზე იგი მეთაურობდა რაზმებს, რომელთაც თურქების წინსვლის შეჩერება და სამხრეთისაკენ განდევნა ევალებოდა. თურქებისათვის სავალალოდ დამთავრებულ სარაყამიშის ბრძოლაში (დაახლოებით 20 000 თურქი დაიღუპა და გაიყინა ამ მაღალმთიან რეგიონში) ჩოლოყაშვილი დაიჭრა. მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია და ის სტრატეგიული პუნქტის აიღო, რომლის ფლობა განსაზღვრავდა სამხედრო ოპერაციების შემდგომ ბედს. დაჭრილ ჩოლოყაშვილს ბრძოლის ველი არ მიუტოვებია, თუმცა უბრძანეს კრილობის შესახვევად საველე ჰოსპიტალში წასულიყო. მეორედ დაჭრილი, სარაყამიშში გამოიძახეს. ლაზარეთში დაწოლა უბრძანეს. მეთაურს კი უპასუხა „მოვდივარ“-ო, მაგრამ ისევ რაზმთან დარჩა. მესამედ დაჭრილს გული შეუწყუხდა. მაშინ კი იძულებული გახდა სამედიცინო დახმარებისათვის მიემართა.

ცხადია, ასეთი ვაჟკაცი გულზელდაკრეფილი ვერ დარჩებოდა, როცა მის სამშობლოში წითლების ბატონობა დამყარდა.

როგორც უკვე ვთქვი, 1922 წლიდან იგი მთიანეთში გაიხიზნა და იქიდან დაიწყო პარტიზანული ომი. ეს ბრძოლა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეწყდა.

ჩოლოყაშვილი მაგალითის მიმცემი იყო. ვაჟკაცობას აფრქვევდა. მისი ბრძად სჯეროდათ და თავგანსაც სცემდნენ. ერთ დღეს მან ცოტახნით მთები დატოვა და მალულად თბილისში ჩავიდა. ბოლშევიკების დაუძინებელი მტერი შეიძლება ეცნოთ. მაგრამ საქმე ითხოვდა ჩოლოყაშვილის თბილისში ჩასვლას და მას არ უყოყმანია. ქალაქში მარტო წავიდა. ამ ყაიდის ოფიცერს სრული უფლება აქვს ყველაფერი მოსთხოვოს თავის გაწვრთნის, დისციპლინირებულ რაზმს, თავის ერთგულ შეფიცულებს. ამიტომ არ არის გასაკვირი ის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც მან ბოლშევიკებს გაუმართა თავის რაზმთან ერთად. ეს იყო არაჩვეულებრივი საგრობა წმინდა წყლის გმირული ეპოპეა.

ჩოლოყაშვილის ვაჟკაცური ამბების თხრობას, ალბათ. მთელი წიგნი დასჭირდება. ბოდიშს ვიხდი, რომ მხოლოდ სამ ეპიზოდს მოგიყვებით.

სოფელ სიმონიანთკარში განლაგებული იყო წითელი რაზმი. დაახლოებით 159-300 კაცი და „ჩონის“ ნაწილი. „ჩონი“ კომუნისტური უანდარმერიის მსგავსი ორგანიზაცია არის. ბოლშევიკები მას შუღამ იყენებდნენ. განსაკუთრებით ხალხის მღელვარების დროს, ეს რაზმები სურსათ-სანოვაგითაც კარგად იყენენ მომარაგებულნი.

პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილს ეს ამბავი შეატყობინეს. მან სასწრაფოდ შეარჩია 80 საუკეთესო შეფიცული. მათთან ერთად, დაღამებისას, სოფელში ჩავიდა. ისარგებლა სიბნელით და სოფლის შესასვლელთან გაჩერდა. იქიდან უნდოდა შეტევის დაწყება. მაგრამ წითლები ფხიზლად დარაჯობდნენ სოფელს. მეთაურმა შეტევის გეგმა შეცვალა.

„სხვა გზით უნდა ჩავეიგდო ისინი ხელში“ — გადაწყვიტა პოლკოვნიკმა. დაუყოვნებლივ მოიფიქრა იერიშის ახალი ვეგმა. იმ ადგილას, სადაც ბოლშევიკებმა შეფიცულთა მოახლობა შეამჩნიეს, რამდენიმე რაზმელი დატოვა. ამით მტრის ყურადღება მათზე გადაიტანა. თავად კი სოფელს უჩუმრად შემოუარა. განთიადისას პოლკოვნიკი სრულიად სხვა მხრიდან დაესხა თავს ბოლშევიკებს. მოულოდნელი დარტყმით სოფელი დაიკავა. გავიგებული და დაბნეული მტერი გაიქცა. დატოვა ცხენები, აღჭურვილობა, ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც აჯანყებულებს გამოადგებოდათ. ბოლშევიკებმა დატოვეს წითელი კოოპერატივის (სახელმწიფო საკუთრება) საწყობის საქონელიც. პოლკოვნიკის ბრძანებით, საქონელი სოფლის მოსახლეობას დაურიგდა... 60-70 კაცის თანხლებით ჩოლოყაშვილი ფშავიდან კახეთში მიდიოდა. დაბა დუშეთი უნდა გაევიღო. დუშეთში სამანქანო (სამხედრო) გზა გადის. იგი თბილისიდან 40 კმ-ზეა. დაბაში წითლებს რამდენიმე ასეული ქართველი ჰყავთ დაპატიმრებული, მძევლებიც ჰყავთ აყვანილი.

¹ „ჩონი“ - „ЧОН“ - части особого назначения.

ჩოლოყაშვილის რაზმმა მოულოდნელად მიიტანა იერიში. გააქცია დუშეთის გარნიზონი. გაათავისუფლა მძევლები. ნადავლად დარჩათ სანოვაგე, აღჭურვილობა, ცხენები, ტანისამოსი, დიდი რაოდენობით ფული... ერთხელ შეფიცულების უფროსი კახეთიდან სხვა პროვინციაში აპირებდა წასვლას. იქ მისი ყოფნა აუცილებელი იყო. მას უნდა გაეველო ტერიტორია, რომელიც ბოლშევიკთა რაზმებს ეკირათ. ჩოლოყაშვილს 100 შეფიცული ახლდა.

როცა იგი ერთ პატარა სოფელს (მისი სახელი არ ვიცი. იგი მდებარეობს ახმეტასა და დუშეთს შორის) მიუახლოვდა, გაჩერდა. ტყიდან არ გამოხულა. იქიდან სოფელი ზღლისგულივით მოჩანდა. პოლკოვნიკმა სოფლებს რაზმისათვის პური თხოვა.

მოსახლეობა, გახარებული იმით, რომ შეუძლია დააპუროს ბელადი და მისი შეფიცულები, სჩქაროდ ახურებს თონეებს და პურს აცხობს.

სოფლის მახლობლად მდგარმა წითელმა რაზმმა ცისკენ მიმავალი ბოლი შეამჩნია. ჩვეულებრივ ამ დროს სოფელში პურს არ აცხობენ. რა ხდება? რაზმის გამოცდილი უფროსი მიხვდა: პური ამბოხებულებისათვის ცხვებო. მან სოფლის დასაზვერად პატრული გაგზავნა. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: სოფელში სიმშვიდეა, მაგრამ ტყეში რაღაც უნდა ხდებოდესო. წითელი რაზმი ორად დაიყო. სხვადასხვა მხრიდან სურთ ტყის გარემოცვა. ამით გზას გადაუჭრიან აჯანყებულებს, ალყაში მოაქცევენ და დაატყვევებენ.

როგორც ვთქვი, ტყიდან სოფელი და მის გარშემო აბიზინებული ყანები კარგად ჩანს. მართალია, შეფიცულები ისვენებენ, მაგრამ გუშაგები ფეხიზლობენ. ერთ-ერთმა მათგანმა საფრთხე შეამჩნია. ატეხა განგაში. ჩოლოყაშვილის რაზმელებმა იარაღს დაავლეს ხელი; გაიცა მოკლე და სხარტი ბრძანება. გამოჩნდა პირველი წითელი რაზმიც. იმისათვის, ვინც მიუჩვეველია მთაში და ტყეში ბრძოლას, ეს დამარცხებაა. მაგრამ შეფიცულებისათვის, რომელნიც რამდენიმე წელია ასეთ პირობებში ომობენ, ეს გამარჯვებაა.

ჩოლოყაშვილის ორი ჯგუფი ფეხაკრებით გაემართა წითლებისაკენ. მათ ტყე მალავდა. ერთი ჯგუფი მარცხნიდან უახლოვდება წითლებს, მეორე მარჯვნიდან. წითლების ავანგარდი ამ ორი ჯგუფის ვირაკში

მოექცა. შეფიცულები ორივე მხრიდან ერთდროულად აყრიან ტყვიებს. გაოცებული ბოლშევიკები დაფრთხნენ. მოეჩვენათ, აჯანყებულებმა ალყაში გამოგვამწყვდიესო. სწრაფად დაიხიეს უკან და მოკურცხლეს.

წითლების მეორე რაზმი მარცხნიდან მოდიოდა. მოულოდნელად შეფიცულთა ერთი ნაწილი ახალმოსულ წითლებსა და გაქცეულ წითლებს შორის აღმოჩნდა. მაგრამ მოხდა დაუჩქრებელი რამ. დაბნეულმა ბოლშევიკებმა ტყვიები ერთმანეთს დაუშინეს. ამის შემყურე ჩოლოყაშვილის ბიჭები გაიტრუნენ. ბრძოლას განერიდნენ და მაყურებლის როლი იკმარეს. მშვიდად უმზერდნენ, როგორ ხოცავდნენ ერთმანეთს თავგზააბნეული ბარბაროსები. ვინც გადაარჩა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

* * *

აჯანყებულებმა ყველაზე დიდხანს სევანეთში იბრძოლეს. მაგრამ 1924 წლის ოქტომბერში წინააღმდეგობა შეწყვიტეს. რა ექნათ? ყოველმხრივ იყვნენ შევიწროვებულნი. რუსეთის სულ ახალი და ახალი ჭარი გადმოდიოდა კავკასიის მთებით. მტერი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

მაგრამ ქართველი პატრიოტები იმედს არ კარგავენ; არც დაკარგავენ. ახლაც არიან ისინი ტყეში გახიზნული. აქა-იქ ისევ გრძელდება სამშობლოს ჭალათების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა. იგი მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა საქართველო განთავისუფლდება.

დ ა მ ა ს ე ე ტ ა (ოფიციალური საბუთები)

მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციას
თავმჯდომარე

პარიზი, 29 იანვარი, 1991.

მის აღმატებულებას ბატონ გემეჩკოვს
საქართველოს რესპუბლიკის საბარემო სამმეთა
მინისტრს.

პარიზი.

ბატონო მინისტრო,
იმის მერე, რაც გავეცანი 26 იანვრის უზენაესი საბჭოს
გადაწყვეტილებას ეცნო დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა,
როგორც კი ეს ქვეყანა ამის სურვილს აშკარად გამოხატავდა, თქვენ,
27 იანვრის წერილით მთავრობისა და ქართველი ხალხის ოფიციალური
თხოვნით მომმართეთ, რათა მოკავშირე სახელმწიფოებმა დე იურე
სცნონ საქართველო.

მე სასწრაფოდ გავაცანი თქვენი წერილი კონფერენციას. კონ-
ფერენციამ ერთსულოვნად გადასწყვიტა ეცნო დე იურე საქართველოს
რესპუბლიკა.

მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან, რომ ამით ერთხელ
კიდევ შეუძლიათ დაგიმომშონ თავისი სიმპატია. ამ სიმპატიით
ადევნებდნენ ისინი ქართველი ხალხის ცდებს მოეპოვებინათ
დამოუკიდებლობა და აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ ეს უკვე
განხორციელდა.

გთხოვთ მიიღოთ ბატონო მინისტრო, ჩემი დიდი პატივისცემა.

ხელმოწერილია: ბრიანი.

საქართველოს მთავრობის განცხადება საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შემოსისა და მისი დაპყრობის შესახებ¹

(ნაწყვეტები)²

1921 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნებასურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩევნო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებია. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

...საქართველოს „გასაბჭოება“ შეიქმნა მთავარი ელემენტი ბოლშევიკების პოლიტიკისა წინა აზიაში.

მრავალი აჯანყების და შეთქმულების ჩაშლის შემდეგ, რომლებიც ეწყობოდნენ მოსკოვის ემისრების და ოკროს მეშვეობით, საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

1920 წლის დეკემბერში რუსეთის მე-II წითელი არმიის სარდალს, გენერალ ჰეკერს, დაევალა მოხსენება წარედგინა თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად.

¹ (საქ მთავრობის ამ წერილობითი მოხსენების თარგმანი ამოღებულია: "DOCUMENTS relatifs a la question de la GEORGIE devant la Societe des Nations" - დას. Edition de la legation de Georgie en France. Paris. 1925). (მთავრულები)

² სახელმწიფოთა წარმომადგენლები, სახელდობრ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ, შტაბის შემოჭრას ომისა და დაპყრობის მოწმენი გახდნენ, ომისა, რომელიც 11 თებერვლიდან 17 მარტამდე გაგრძელდა. ამ დღეს ქართული მთავრობა და ზემოთაღნიშნული სახელმწიფოთა წარმომადგენლები იძულებული იყვნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ გასულიყვნენ და ბათუმიდან კონსტანტინოპოლის მიმართულებით გაემართნენ.

თავის დაწვრილებით მოხსენებაში, გენერალი ასაბუთებდა რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა თუ ანგორას მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლშევიკები იძულებული იყვნენ გადაედვათ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა, მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქართველოს საზღვრებზე. საქ. მთავრობის პროტესტები ამის შესახებ დარჩნენ უშედეგო.

ომის თავიდან ასაცილებლად, საქ. მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში. მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც დარჩა უპასუხოდ საბჭოთა მთავრობისაგან.

საქ. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად სომხეთის მხრიდან, რომელიც ამ დროს უკვე „გასაბჭოებელი“ იყო, სასურველად დაგვირგვინდნენ: ერევნის მთავრობა დათანხმდა სადავო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადაწყდა მოწვეულიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლაბეს საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან.

ბ-მა შეინიშნა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განუცხადა საქ. მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და რომ ის იყო სომხეთის მთავრობის მიერ მოწყობილი.

იმავე დროს, საქართველოს მთავრობამ მიიღო საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლისაგან, ბ-ნ შავერდოვისაგან არანაკლებ მტკიცე განცხადება, რომლის მიხედვითაც სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში.

ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბ-ნ შავერდოვის განცხადება იყო მართალი; თბილისის მახლობლად წარმოებულ ბრძოლების დროს, ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი. მათი დაკითხვებიდან გამოირკვა რომ

ყველა იყო წარმოშობით ცენტრალური რუსეთის პროვინციებიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის ჭარების რეგულარულ ნაწილებს. მაშასადამე საბჭოთა რუსეთმა, და არა სომხეთმა, საქართველოს შემოუტია თავისი ჭარებით 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს, მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებულმა კავალერიის შენაერთებისაგან, გადმოლაბეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

საქ. მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ენერჯია მიმართა შემოსული მტრის უკუსაგდებლად, შეეცადა ომის შეწყვეტას დიპლომატიური საშუალებებით.

16 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ, ბ-მა კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს, ბატონმა ჩიჩერინმა, რომლისთვის თითქოს ცნობილი არ იყო საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა, თბილისის რადიო-ტელეგრაფში გაგზავნილ დეპეშით საქ. მთავრობას შუამდგომლობა შესთავაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის თუმცა დიდ იმედებს არ ამყარებდა ჩიჩერინის ამ მიმართვის გულწრფელობაზე, საქ. მთავრობამ უპასუხა, რომ ღებულობდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობას თავისი ჭარები გაეყვანა საქართველოდან.

ამასობაში კი ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები. ქართველი ხალხი გმირული წინააღმდეგობით შეხვდა თბილისის წინააღმდეგ ორი მხრიდან გაჩაღებულ შეტევებს. ჭარმა და სახალხო გეარდიამ უკუსაგდეს მტრის ყველა იერიში, თუმცა ცოცხალი ძალით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით როდი შეედრებოდა მას.

21 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები. ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ ამკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ, საბჭოების მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ — ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულებით. ამრიგად, საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ — მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის და ელობას კავალერიის ნაწილები.

თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოხალისეთა დიდ რაოდენობას, საქ. მთავრობა იქნებ შეძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ - მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამოდ ცდილობდა სამშობლოს დასაცავად საჭირო სამხედრო ტექნიკის ევროპულ სახელმწიფოთაგან მიღებას. ასეთ დახმარებაზე დათანხმდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, მაგრამ გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო.

ბოლშევიკები კი, იყენებდნენ ყირიმის უღვევ რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

22 თებერვალს, ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყო ხელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. საქართველოსათვის შეუძლებელი იყო თურქებისათვის, ე. ი. ახალ ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, და საქ. მთავრობა იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ამით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული საქ. რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა.

საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახვევა, რათა მოეხდინა ქარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე. ქარის ყველა ნაწილს მიეცა უკან დახვევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის, როგორც სამხედრო ბაზად შენარჩუნებით.

25 თებერვალს, თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. დაიწყო მთავარსარდლის მიერ ნაბრძანევი უკანდახვევა. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ფუჭად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სამხედრო აჯანყებისა თუ სამხედრო ამბოხების მოწყობის გზამ. მაგრამ სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირეოდ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს.. ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული. არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქ. მთავრობას დახმარება შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ქემალისტურმა მთავრობამ თხოვა საქ. მთავრობას, არაეითარი წინააღმდეგობა არ გაეწია თურქეთის ჯარების ბათუმის პროვინციაში შესვლისათვის, ჯარებისა, რომლებსაც თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ რაიონის ბოლშევიკებისაგან დაცვაში.

მაგრამ 16 მარტს, ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქ. მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველებმა

თურქები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ საქართველოს ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა. ეს მეორე ფრონტი იყო სწორედ იქ, სადაც მას სამხედრო ბაზა უზრუნველყოფილად მიაჩნდა. ქართულ ჯარს, ორი ძლიერი სახელმწიფოს, რუსეთის და თურქეთის ჯარებით გარშემორტყმულს, არ გააჩნდა წარმატების არავეითარი შანსი. იგი განწირული იყო დასაღუპავად.

17 მარტს, საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკურ ძალებს გზა გაუხსნა ბათუმის და საქ. მთელი ტერიტორიისაკენ. ამის შედეგად, საქ. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა საქ. მთავრობას თავი აერიდებია დამპყრობელებთან ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტებისაგან.

ბოლშევიკებმა, წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნეს სამხედრო ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტის“ სახელწოდებით. საქ. რესპუბლიკის მთავრობამ ხალხისადმი მიმართვაში დააზუსტა თავისი დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი. მან კერძოდ განაცხადა, რომ ლეგარულ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლება რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოყვანილი ეს უზურპატორული კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მტრის ჯარების ნაფეხურებს შემოყოლილ პირებისაგან, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ კომიტეტს არავეითარი უფლება არ ჰქონდა თავი ჩაეთვალა „ხელისუფლებად“.

განაცხადა რა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო, საქ. მთავრობამ კვლავ გაიმეორა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან ერთგული დარჩება თავისი მოვალეობისა, ესე იგი, დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს — თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ:

1. არა შინაურმა მოძრაობამ, გამოძლინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური

წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.

2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.

3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ქარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია. იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვა ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. 1921 წლის აპრილი.¹

საქართველოს მთავრობის მემორანდუმი
საქართველოს რესპუბლიკის ამჟამინდელი
ვიტარების შესახებ, წარღვნილი ერთა ლიგის
სსამგზავში, რომელიც ჩატარდა ქენევაში, 1922
წლის სექტემბერში.

იმ დროს, როდესაც ერთა ლიგა ენევაში გენერალურ ასამბლეას ატარებს, მის კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხების შესახებ, საქართველოს მთავრობას აუცილებლად მიაჩნია უმაღლესი ასამბლეის ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყროს საქართველოში არსებულ ვითარებაზე და საქმის კურსში ჩააყენოს იგი იმ ფაქტების გამო, რომელიც მოხდა ამ ქვეყანაში 1921 წლის სექტემბერში ჩატარებული გენერალური ასამბლეის შემდეგ.

რუსი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ოკუპაციისა, რომელიც მოხდა მოსკოვის მთავრობის მიერ ხელმოწერილი ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, ქართველი ხალხი ყველა საშუალებებით გამუდმებით გამოთქვამდა პროტესტს იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც უცხოელმა ძალებმა მოახვიეს თავზე. მანიფესტაციებით, დემონსტრაციებითა და გაფიცვებით საქართველომ არა ერთხელ გამოხატა თავისი მტრული დამოკიდებულება ოკუპანტების მიმართ და აჩვენა ყველა კლასისა და პოლიტიკური პარტიის ერთიანობა. ზოგიერთ რაიონში შეიარაღებული გამოსვლებიც კი იყო. მაგ. სვანეთში ბრძოლამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ წითელ არმიას მოუხდა თავისი გეგმისათვის თავი დაენებებინა და მთიანი რეგიონის ეს ნაწილი თავისუფალი დარჩა. ყველა ამ დემონსტრაციის

¹ საქ. მთავრობის ამ წესდებითი მითხების თარგმანი ამოღებულია "DOCUMENTS relatifs à la question de la GEORGIE devant la Société des Nations" - და. Edition de l'Association de Georgie en France - Paris, 1926) - თავისუფლად.

და გამოსვლის ლოზუნგი იყო საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანა და დემოკრატიული რეჟიმის აღდგენა.

თბილისში მოკალათებულ მოსკოვის ფუნქციონერებს მხოლოდ ტერორით შეუძლიათ განახორციელონ თავისი დაპყრობითი პოლიტიკა. ყველანაირი თავისუფლება მოსკობილია; სამართალი და უფლებები გათვლილია; კანონი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი სასარგებლოა დამპყრობელისათვის და მისი აგენტების ინტერესებისათვის. საბჭოების ე.წ. არჩევნები სხვა არა არის, ვიდრე დანიშვნები, რომელიც ოკუპაციის ხელისუფლების მიერ არის თავმოხვეული. პროტესტის ყოველი გამოვლინება ბარბაროსული მეთოდებით არის ჩახშობილი. ჩეკა, რომლის წევრები მხოლოდ უცხოელები არიან ან და რეციდივისტები, აწარმოებს საქართველოს ისტორიაში აქამდე გაუგონარ ტერორს; რკინიგზის და ტრამვაის მუშები, ნაციონალიზირებული ინდუსტრიული საწარმოების მოსამსახურეები სამსახურიდან სრულიად დაუსაბუთებელი ექვის გამო გაგდებულნი არიან, ანდა სამუშაოს აუცილებლობის საბაზით, ისინი რუსეთში გადაჰყავთ, მათ ადგილებზე კი უცხოელები მოჰყავთ. ციხეები გადაესებულია დაპატიმრებულებით – უკვე 12 000-მდეა, რომლებსაც თითქმის არაფერს აკმევენ და წარმოუდგენელ ანტისანიტარულ პირობებში ამყოფებენ. ბევრი შიმშილისა და ავადმყოფობებისაგან იღუპება. პატიმრების უმრავლესობა ერის საუკეთესო შვილები არიან: დამფუძნებელი კრების წევრები, ცნობილი ინტელიგენტები, ეროვნული არმიის ოფიცრები. ისინი ოკუპაციის პირველივე დღეებში დაიჭირეს, ჯერ არ გაუსამართლებიათ და დღემდე არ იციან რა ბრალდებები აქვთ წაყენებული.

ამა წლის 25 და 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესასწაულთან დაკავშირებით, მოსახლეობას მშვიდობიანი მანიფესტაციით სურდა ამ ისტორიული თარიღის აღნიშვნა. ოკუპანტთა ხელისუფლებამ იმის შერე, რაც შეუერაცხყო ეროვნული გრძობა. გამოაცხადა რა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური თარიღი 25 თებერვალი იყო (ე. ი. დღე, როცა რუსული წითელი არმია შევიდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში),

წესრიგის დაცვის საბაზით, დაიწყო გაუფონარი ძალმომრეობის მოქმედებანი; უმცირესი ჯგუფებიც კი დაშლილი იყო შეიარაღებული ძალებით, რომელმაც მოსახლეობას თოფებთან ერთად, ბოძები და ხელყუმბარები ესროლა. ბევრი დაიჭრა და დაიღუპა. დაჭერილები უწყალოდ სცემეს; მათ ცხენზე შემჯდარი ჩეკისტები მიათრევდნენ და ყრიდნენ ჩეკას სარდაფებში, სადაც მათი წამება გრძელდებოდა.

ადამიანების წინააღმდეგ ბარბაროსული მოპყრობის გარდა, განადგურდა და გაჩანაგდა, რაც კი რამ გააჩნდა ქვეყანას. ოკუპანტების ხელისუფლება არავითარ ანგარიშს არ უწყევდა ერთეულ სიმდიდრეს და არც ქვეყნის მომავალს; ყველაფერი, რისი გატაცებაც შეუძლია რუსეთში გააქვს, ყველაფერი, რაც ოკუპანტების ხელმძღვანელებს მოსწონთ, ინდივიდუალური საკუთრება იქნება თუ კოლექტიური უკანონოდ ჩანაგდება.

ასე და ამაგვარად ანადგურებს რუსული ხელისუფლება საქართველოს, რომელსაც ვეღარ იცნობ. ზოგიერთ რეგიონში შიმშილი მძვინვარებს. თვით ბოლშევიკური ხელისუფალთა მიერ შედგენილი მოხსენებით ბარათი აცხადებდა, რომ 250 000 ადამიანი შიმშილობს. ეპიდემიები მძვინვარებს. სანიტარული საშუალებების და წაშლების უქონლობის გამო, სულ უფრო და უფრო იზრდება დაღუპულთა რიცხვი.

ბატონ ბრონტალმა, ამსტერდამის პროფკავშირული ინტერნაციონალის დელეგატმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მედიკამენტებით მოემარაგებინა საქართველო, თავისი მოგზაურობის შემდეგ გამოაქვეყნა დღევანდელი საქართველოს მძიმე სურათი „განადგურება, განადგურება, საშინელი განადგურება, აი ის შთავეჭდილება, რომელიც ექმნება ადამიანს საქართველოში რომ ჩადის. ქუჩები, სახლები, სახელმწიფო

კარადები, ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელები, ყველაფერი დანგრეულია, დახეულია, ნაფლეთებად არის ქცეული, ყველაფერი მოსპობილია“.

ბატონი სერეი, ბელგიიდან, საერთაშორისო კოოპერატივების მიერ მოვლინებული საქართველოს კოოპერატივების კავშირში, თავის მოხსენებით ბარათში აღწერს იმ წარმოუდგენელ სილატაკეს,

რომელიც მოედო მთელ ქვეყანას და საქართველოს ვითარებას ადარებს ბელგიის მდგომარეობას გერმანელების ოკუპაციის დროს.

ამგვარად, საქართველოს ოკუპაცია, ეს არის მოსკოვური რეჟიმის გამეფება; ეს არის ყოველნაირი ეროვნული და მატერიალური კულტურის ნგრევის მეფობა.

თავდაპირველად ბოლშევიკები შეეცადნენ თავისი დანაშაულებები დაემალათ და ტყუილები შეთხზეს შინა აჯანყების შესახებ. მოსკოვმა ამ კონტექსტით აალაპარაკა კომუნისტური ინტერნაციონალის პრესა. მაგრამ სიმართლე არ დაიმალა. ტროცკის, თავის ერთ წიგნში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული და რადეკს, სამი ინტერნაციონალის შეკრებაზე, იმის აღიარება მოუხდათ, რომ საქართველო სინამდვილეში წითელი არმიის მიერ იყო დაპყრობილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძემ (მოსკოვის მთავრობის აგენტი), რომელიც ოკუპაციის პირველივე დღეებში დაინიშნა საქართველოს „რევკომის“ თავმჯდომარედ (რევოლუციური კომიტეტი), რუსული კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ ერთერთ მოხსენებით ბარათში აცხადებდა, რომ როდესაც წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არცერთმა წევრმა საქართველოში არ იცოდა და ეჭვიც კი არ ჰქონდა... საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ აშკარად გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობას.

საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც პარტიის გინდაც ერთი წევრი, რომელიც შესძლებდა ხელისუფლების შექმნას და უმეტეს შემთხვევაში ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ნამდვილმა ბოროტმოქმედმა ელემენტებმა.

იმისათვის, რომ ევროპას დაუმტკიცონ რამდენად მტრულად არის განწყობილი ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ, ეროვნულმა მთავრობამ ყველა პოლიტიკური პარტიების თანხმობით რამდენჯერმე მოითხოვა ადგილზე გამოეგზავნათ საგამომძიებლო

კომისია. მოსკოვი, სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე ბერლინში, როგორც იქნა დათანხმდა დაეყენებინა ეს საკითხი ცხრის კომისიაზე. მაგრამ, როგორც მას სჩვევია, სიტყვა გატეხა.

კანის, გენუის და ლა აის კონფერენციებზე, სადაც განიხილებოდა რუსული პრობლემა, ცხადია საქართველოს საკითხსაც უნდა შეხებოდნენ, თუმცა კი საქართველო არ იყო იქ წარმოდგენილი კანის გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლის მიხედვით ეს სახელმწიფო უნდა ყოფილიყო მიჩნეული, როგორც აზიის სახელმწიფო. ამ კონფერენციებს საქართველომ მოხსენებითი ბარათებით წარუდგინა თავისი კანონიერი მთავრობის 'პროტესტი' და 'საჩივარო', საქართველოს სხვადასხვა პარტიების პოლიტიკური დეკლარაციები, ქართული ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის პროტესტი და მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მოლაპარაკებებს. იგი იმედოვნებდა, რომ ცივილიზებული ერები ინდიფერენტულნი არ დარჩებოდნენ ბოლშევიკურ დანაშაულებათა მიმართ და მხოლოდ იმ პირობით დაამყარებდნენ კავშირებს საბჭოების მთავრობასთან, თუ რუსული არმია საქართველოდან გავიდოდა.

მოსკოვის მთავრობამ თავის მხრივ სცადა გენუაში წარმოდგინა რუსული დელეგაცია, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. მაგრამ ეს ცდები მარცხით დამთავრდა, რადგან კონფერენცია კანის რეზოლუციის მიხედვით მოქმედებდა. მაგრამ, როცა საქმე შეეხო სვანეთის აჯანყებას და იმ რეპრესიებს, რომლებიც გამოიყენა საოკუპაციო ხელისუფლებამ, რუსულმა ქვეკომისიამ ქართული ეროვნული მთავრობის მოთხოვნით მიმართა რუსულ დელეგაციას, რათა საქართველოში სისხლის ღვრა შეწყვეტილიყო. ბ-მა ჩიჩერინმა, იმის შემდეგ, რაც უარყო ფაქტები, მიუხედავად უტყუარი ფაქტებისა, რომელიც კონფერენციას წარედგინა შეატრიალა საკითხი და წამოაყენა უფრო ზოგადი საკითხი ყველა „დაჩაგრული“ ერების შესახებ დბ ბრალი დასდო იქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს იმაში, რომ თვითონ ჰყავდათ დაპყრობილი ხალხები.

და ყოველივე ამის შემდეგ, რუსულმა დელეგაციამ კრედიტების მისაღებად და ბოლშევიკური ხელისუფლების განსამტკიცებლად

განავრძო კავკასიის სიმდიდრეების გამოყენება (ნავთი, მარგანეცი), როგორც ვაჭრობის საშუალებანი.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ კავკასიის და საქართველოს დაპყრობა იმ მიზნით განხორციელდა, რომ რუსებს ხელში ჩაეგდოთ ამ ქვეყნის სიმდიდრე. ვანა ბ-მა რადეკმა ბერლინში არ აღიარა, რომ „ნავთის მისადგომების ხელში ჩასაგდებად დაიპყრეს საბჭოელებმა საქართველო?“

საქართველო დე იურე აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ და რუსეთის მიერაც კი, რომელმაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით (მუხლი I), საზეიმოდ განაცხადა, რომ უპირობოდ სცნობდა „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობასა და დამოუკიდებლობას“. საქართველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს და თვითონ უნდა განავოს თავისი ბედი.

რუსული არმიისაგან ქვეყნის განთავისუფლება საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით უნდა მოვითხოვოთ აგრეთვე. ერთის მხრივ, საქართველო ფაქტობრივად არასოდეს არ დათანხმდება მოსკოვურ ბორკილს და იქამდე სანამ რუსი დამპყრობელი იმეფებს კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ვერავითარი მშვიდობა ვერ დამყარდება კავკასიაში და ვერც მცირე აზიაში. მეორეს მხრივ, ისევე, როგორც მეფის რუსეთი — თავის იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად — იყენებდა კავკასიას, როგორც სამხედრო ბაზას თავისი გავლენის გასავრცელებლად მცირე და უკანა აზიაში, ასევე დღეს ბოლშევიკური მთავრობა ცდილობს ამ რეგიონების მეშვეობით განავრცოს თავისი გავლენის სფერო.

ეკონომიკური თვალსაზრისით, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის

¹ 1918 წლის 21 მაისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ოფიციალურად ითხოვა საქართველოს მღვდელთა კავშირისგან უკუბრუნებას. 1918 წლის 28 აპრილის საქტოს პარამუნის შესაბამისად ეს ითხოვნა ეთვლებოდა იურ. განმარტებით. მაგრამ სამართლო პასუხი ვადაიდა. ბაშ. ბრეცკინს (მედიკოს) ერთა ლევის მე-6 კომისიის მე-8 სესიონზე 1920 წლის 28 სექტემბერს ასწავა ის მოხსენი, თუ რატომ არ მოიღეს საქართველო ერთა ლევის საქართველოს მოთხოვნა წარდგინოდა იურ. 1920 წელს, ხალხი მისი ცნობა დე იურე უფრო მოგვიანებით მახლა მე-6 კომისიის ქვეკომისიამ ერთსულენად მოთხოვნა საქართველოს მღვდელთა, მაგრამ პეტერბურგ სესიონზე უმრავლესობის აზრით საქართველოს მღვდელთა ერთა წლად უნდა ვადამდებოდა. მაგრამ ვადამდებდა რომ ეს სახელმწიფო მხარე იქნებოდა მღვდელთა ერთა ლევის ტექნიკურ ირგანისაგან. არავის დაუფრებია ვაქვემ რომ საქართველო ერთა და თანჯ უკველები ერთ თამარ მეფის დროიდან მოყოლებული.

წყალობით, საქართველოს ხელშია გზები, რკინიგზა, ნავთობის გამტარებელი მილები, პორტები, გზები, რომელსაც გადააქვს ნავთი კავკასიიდან და მისი მეზობელი რეგიონებიდან და ბუნებრივია საქართველო აკავშირებს ევროპის ბაზრებს ამ მდიდარ მხარეებთან. იმისათვის, რომ დამთავრდეს აჭანყებები და ომები, რომელიც ხელს შეუშლის ყოველნაირ ნაყოფიერ ურთიერთობების განვითარებას, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საქართველოს და კავკასიას დაუბრუნდეს დამკავშირებლების მათი ბუნებრივი როლი ევროპასა და აზიას შორის — რაც მოხდება მათი განთავისუფლებით და იმ ნეიტრალიტეტით, რაც საშუალებას მიხცემს ყველა სახელმწიფოებს, მათ შორის რუსეთსაც გამოიყენოს ეს გზა.

უდაოა, რომ რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველმა ხალხმა მათდამი სიმპათიის ბევრი გამოხატულება მიიღო. სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა მისდამი მორალური მხარდაჭერა გამოხატეს. პარლამენტებში გამოთქმული სიტყვები, მიმართვები, მუნიციპალიტეტების მიერ მის მხარდასაჭერად მიღებული რეზოლუციები, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, კოოპერატივები და სხვადასხვა ასოციაციები დიდ მხარდაჭერას გამოხატავენ, მაგრამ რამდენად უფრო ძლიერად და მკვეთრად გახშირდება ერთა ლიგის ხმა, ხალხთა შორის სამართლიანობის ამ დიდი ორგანიზაციის ხმა.

ერთა ლიგის გენერალურ ასამბლეას, რომელიც ჩატარდა 1921 წლის სექტემბერში გენუაში, საქართველოს მთავრობამ გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც წარმოადგინა საქართველოში არსებული ვითარება, სთხოვა უმაღლეს ასამბლეას აღემაღლა ხმა „ბოლშევიკების მიერ, საბჭოების წითელი რაზმების მიერ საქართველოს დაპყრობისა და ოკუპაციის“ წინააღმდეგ. სამწუხაროდ ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის ასოციაციითა კავშირის კონგრესმა, რომელიც ჩატარდა ცოტა ხნით ადრე, იქვე ვენევაში, მიიღო გადაწყვეტილება და მოსთხოვა ერთა ლიგის ასამბლეასა და საბჭოს, მიეღოთ ზომები, რათა ხალხთა უფლების პრინციპი თვითონ გადაწყვიტონ თავისი ბედი — განხორციელებული ყოფილიყო საქართველოს მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ქართული ეროვნული მთავრობა იმედოვნებს, რომ ხალხთა უფლებების დამცველი ერთა ლიგა, ხმას აიმაღლებს ბოლშევიკების მიერ ჩადენილი არაახული მოქმედებათა წინააღმდეგ და იპოვის საშუალებებს, რათა შეამსუბუქოს ქართველი ხალხის მძიმე ხვედრი, ხალხისა, რომელიც იბრძვის საშინელი დიქტატურის, მტრისა, შიმშილის და ეპიდემიების წინააღმდეგ.

საპარტევლოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვა ერთა ლიგას

ქართველი ხალხის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი — რომლის გარშემო შემოკრებილია ერის ყველა კლასი და რომელიც აერთიანებს დამფუძნებელი კრების ყველა პარტიას უკლებლივ — მიმართავს ცივილიზებულ კაცობრიობის წარმომადგენელს — ერთა ლიგას, რათა გააცნოს საქართველოს ამჟამინდელი ვითარება.

მკროალი იქნება ჩვენს მიერ აღწერილი სურათი და სიტყვები ვერ გამოხატავენ იმ ტანჯვა-წამებას, რაც ქართველმა ხალხმა განიცადა.

საქართველოს კანონიერმა მთავრობამ არა ერთხელ წარუდგინა ერთა ლიგას ამ ქვეყნის წარსული და ამჟამინდელი ისტორია. საუკუნეების განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავად განაგებდა თავის ქვეყანას, ხალხი კი ყოველთვის ვაჟაკურად იცავდა თავის მშობლიურ მიწას. მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველომ მეგობრობის ხელშეკრულება დასდო რუსეთთან, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთმა ამ ხელშეკრულებას ანგარიში არ გაუწია და დაიწყო ქართველი ხალხის ინდივიდუალობის დათრგუნვა. მაგრამ ქართველთა ინდივიდუალობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ „ველიკო-რუსულმა“ ნაციონალიზმა ვერ მოახერხა მისი ჩახშობა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დაიბრუნა თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ ქვეყანას მისცა ეროვნული მთავრობა, ადმინისტრაცია, არმია, საქართველო აღიარებული იყო დე ფაქტო სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ხოლო ჩქარა იგი აღიარეს დე იურე; თვით რუსეთმა ცნო იგი 1920 წელს და დასდო კიდევ მასთან ხელშეკრულება.

მაგრამ 1921 წლის თებერვალში, ომის გემოუცხადებლივ საქართველო

გარემომორტყმული და დაპყრობილი აღმოჩნდა რუსეთის არმიის მიერ. ამ უთანასწორო ბრძოლაში, ხუთი კვირის მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ საქართველოს დანებება მოუხდა; რუსეთმა იგი დაიპყრო.

დადებული ხელშეკრულება რუსეთმა ქალაქის უბრალო ნაგლეჯად მიიჩნია და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანა საქართველო ე. წ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“. ამ ძალმომრეობის საწინააღმდეგოდ, დამოუკიდებლობის კომიტეტი უერთდება საქართველოს მთავრობის პროტესტს, რომელიც უკვე გაეგზავნა ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოებს.

რუსეთის ამქამინდელმა მთავრობამ არავითარი ანგარიში არ გაუწია ქართველ ხალხს, გაყარა პარლამენტი, გააუქმა არმია და ფული. ქვეყანას ხელმძღვანელობს რუსული კომუნისტური პარტია და ოკუპაციის ხელისუფალნი. თბილისის „საბჭოთა მთავრობა“ რომელიც შედგება ქართველი კომუნისტებისაგან, დანიშნულია მოსკოვის მიერ და მისი მორჩილი აგენტია.

ქვეყანა სასაკლავოდ გადაიქცა. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ხვრეტენ საქართველოს საუკეთესო შვილებს. დაიხვრიტენ პოლიტიკური მოღვაწეები, სამხედროები, მუშები, გლეხები; ხვრეტენ ყველას. შიმშილისაგან დასუსტებულნი, წამებისაგან გატანჯულნი, ხელ-ფეხ შეკრულნი, ეს მსხვერპლი სატვირთო მანქანებით გაჰყავთ ქალაქგარეთ, ხვრეტენ და ყრიან ოდნავ გათხრილ ორმოებში, სადაც მათ გვამებს დამშეული ძაღლები გლეჯენ. ამ უბედურების ოჯახებს იმის საშუალებაც კი არა აქვთ, ახლობლები დაასაფლავონ. ბევრმა არც იცის, ვინ, როგორ, სად დაიხვრიტა.

ასე დაპყრობა ქართველმა ერმა ასობით მგზნებარე პატრიოტი. ამგვარად დაიხვრიტა 4 000-მდე ადამიანი ქვეყნის ოკუპაციის დროიდან. და ვიმეორებთ, ყველა ეს საშინელება ხდებოდა სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. პოლიტპატიმრებს არ აძლევენ ნებას ყავდეთ ვეკილები და ახლობლებსაც არ ახვედრებენ. ბნელ, ნესტიან, გაყინულ სარდაფებში — ნამდვილ საფლავეებში არიან ჩაყრილნი დახვრეტის დღემდე. ამ პირობებში ბევრი გაგიჟდა.

1923 წლის 23 თებერვალს ღამეს, 92 ადამიანი გაიყვანეს თბილისის

ციხეებიდან და დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ შორეულ, გურიის რეგიონში, ბოლშევიკების დამსჯელი რაზმის უფროსი მოჰკლეს. იგივე წლის 20 მაისს, გაუსამართლებლად დახვრიტეს მაღალი ჩინის 15 ქართველი გენერალი და პოლკოვნიკი; ერთ-ერთი მათგანი¹ პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე იყო. მათ ბრალი ედებოდათ აჯანყების მომზადებაში ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ორი კოლექტიური დახვრეტის ფაქტის შესახებ ცნობა ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნდა. სხვა დახვრეტების შესახებ ხმა კრინტი არ დაძრულა.

ჩვენ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში თაოსი ოპერაციები განაგრცეს ხვანთოს, გურიის, კახეთის და ხევსურეთის რეგიონებში. გაანადგურეს მთელი სოფლები, დაწვეს სახლები, ამოწყვიტეს მთელი ოჯახები. ჩეკისტების წამებას რომ გადაურჩნენ, ხალხი მთებში გარბის.

ეროვნული ცხოვრების ყოველი გამოვლენა სასტიკად არის ჩახშობილი. ხელოვნება, ლიტერატურა, ენა დაღუპვის გზაზე დგას. მხოლოდ სიტყვის თავისუფლება კი არ არის აკრძალული, მხოლოდ ფიქრი კი არ არის ჩაკლული, არამედ მორწმუნეებსაც არ შეუძლიათ ილოცონ ეკლესიებში, რადგან ეკლესიების უმრავლესობა დახურულია. რაც შეეხება რელიგიის მსახურთ, ყველანი განურჩევლად რანგისა, ციხეებში სხედან.

ციხეები გადავსებულია მუშებით, გლეხებით, სტუდენტებით, სკოლის მასწავლებლებით. მაგრამ ესეც არ იკმარეს. პატიმართა ერთი ნაწილი გადაასახლეს რუსეთის ცივ რეგიონებში. აიყვანეს მრავალრიცხოვანი მძევალი, რომ რაიმე მტრული ქმედების დროს, მათზე იყარონ ჯავრი და დახვრიტონ.

ციხეებისა და გადასახლების გარდა, გამოყენებულია საშუალო საუკუნეების დროინდელი წამების ფორმები; მაგრამ თანამედროვე წამების ფორმებსაც არ ერიდებიან. მაგ. დახვრეტის სცენის გათამაშება, რათა როგორმე უარი ათქმევინონ პატიმრებს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე.

¹ თავადი კოტე აბაზი.

ქარხნებში, ცეხებში, ის მუშები, რომლებიც უარს ამაბობენ კომუნისტურ პარტიას შეუერთდნენ, მაშინვე დათხოვნილნი არიან. ამიტომაც რომ უმუშევრობა საქართველოს მთელ ქალაქებს მოედო.

სოფლებში, კომუნისზმის მიმართ მტრულად განწყობილ გლეხებს მიწებსა და სამუშაო იარაღებს ართმევენ. წართმეულ მიწებსა და საგნებს სხვებს ურიგებენ, ძირითადად არა ქართველებს.

ოკუპანტების მხარდაჭერით ხალხის ქონებას დაეპატრონენ უცხო ელემენტები. ქართული ინდუსტრიის წარმომადგენლებს, კომერსანტებს, გლეხებს არავითარი გარანტია არა აქვთ, რომ არ ჩამოართმევენ ყველაფერს, რასაც ფლობენ; ოკუპანტებისათვის, კანონი და სამართალი, მკვდარი სიტყვებია.

სავაჭრო პროდუქციაზე იმპორტის უფლებები ხელთ უპყრია მოსკოვს და ამით კომერცია პარალიზებულია. პორტებმა შეწყვიტეს ყოველგვარი მუშაობა. რაც შეეხება უცხოელ კომერსანტებსა და მრეწველებს, მათაც არ დაკლებიათ კომუნისტების დევნა და უფრო ხშირად მათ არჩიეს საქართველოდან წასვლა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ძალიან შეაფერხებს.

ქართველი ხალხი არასოდეს დათანხმდება რუსული არმიის მიერ საქართველოს მიწის დაპყრობას. მას ღრმად სჯერა, რომ ის იბრძვის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ცივილიზებული კაცობრიობის წარმომადგენლებო!

ყური მიუგდეთ უძველესი ცივილიზაციის ხალხის გამწარებულ ხმას, რომელსაც სურს დამოუკიდებელი იყოს. ამ ერს სრული განადგურება ემუქრება; მისი მატერიალური და მორალური სიმდიდრეები ქრება, მის ეროვნულ კერას ჩაქრობა ემუქრება.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს დიდი იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა, სამართლიანობის უზენაესი ორგანო თავის ავტორიტეტულ ხმას აიმაღლებს, რათა დღევანდელი რუსეთის ზელმძღვანელების მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებები აღიკვეთოს.

საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტი.

თბილისი, 25 მაისი, 1923 წელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მომორანდუმი ერთა ლიგის ასამბლეას, რომელიც ჩატარდა ჟენევაში 1924 წლის სექტემბერში.

უკვე ოთხი წელი, რაც რუსი, საბჭოთა დამპყრობლების მიერ ოკუპირებული ქართველი ხალხი იტანჯება. მაგრამ იგი არ სწყვეტს ბრძოლას ოკუპანტების ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთან იგი გამუდმებით მიმართავს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს და სთხოვს მიაქციოს ყურადღება როგორ ილახება საქართველოში ყველაზე ელემენტარული ადამიანური უფლებები. მას არ შეუძლია არ მიმართოს ერთა ლიგას, რომელიც არის მშვიდობის და საერთაშორისო სამართლიანობის დარაჯი, ისევე როგორც მკირერიცხოვანნი ერების უფლებების დამცველი.

საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია, რომლებიც გაერთიანდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში, თავს ნებას აძლევს, წელს ისევე როგორც შარშან, ქართული საკითხი დააყენოს ერთა ლიგის გენერალურ ასამბლეაზე.

ქართველი ხალხის ტანჯვა სცილდება ყოველგვარ ზღვარს; ტერორი, რომელიც რუსეთში დრო და დრო ცხრება ხოლმე, საქართველოში არამც თუ ცხრება, არამედ სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდება: საქართველოს ტერიტორიიდან ხალხის გასახლება, ციხეებში ჩასმა, ჩეკას სარდაფებში წამება, ყველა კლასის წარმომადგენლების გაუსამართლებლად დახვრეტა სულ უფრო და უფრო მატულობს. დაქვრივ პოლიტპატიმრებს ისე ექცევიან როგორ ავაზაკებს; ინტელიგენციას და მუშებს სამუშაოს არავითარ საშუალებას არ აძლევენ; ქართველებს, რომლებიც ხელისუფლების მომხრეები არ არიან, არავითარ კომერციულ თუ ინდუსტრიულ და საერთოდ

არავითარ სამუშაოზე არ იღებენ; სამღვდელოების წარმომადგენლებს სდევნიან თავიანთი სარწმუნოებრივი საქმიანობის გამო, ხოლო იმის გამო, რომ ეს უმძიმესი ვითარება ქართული ეკლესიის ხელმძღვანელებმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ღიად გამოთქვა, მას ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგ კი რამდენიმე წლის პატიმრობით შეუცვალეს. იგი ამჟამადაც ციხეშია.

ოკუპანტების ხელისუფლება საქართველოს ისე ექცევა, როგორც კოლონიას. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომელიც უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის თვალის ასახვევად რუსეთის მთავრობამ სცნო ოკუპაციის შემდეგ, ფორმალურადაც კი გაუქმებულია. რუსული კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით, საქართველო აღმოჩნდა შეყვანილი ე. წ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“, ისე, რომ საქართველოს საქმეებს მოსკოვის ხელმძღვანელები მართავენ.

მოსკოვის მთავრობა თავის ნებაზე იყენებს ქართველი ხალხის სიმდიდრეს. თბილისში (საქართველოს დედაქალაქი) კონცენტრირებულია ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოები და კავკასიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოები (საოკუპაციო ჯარებზე რომ არაფერი ვთქვათ); ისინი გამანადგურებელ გადასახადებს აწესებენ, რათა ის დანახარჯები აინაზღაურონ, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ საქართველოს მოთხოვნილებებთან; ქართული ფული რუსული ფულით შეიცვალა. რკინიგზები, ნავთსადენები, პორტები, ფოსტა და ტელეგრაფი მოსკოვის კომისრებს ექვემდებარება.

გადასახადების გამო, მარგანეცის მდიდარი ინდუსტრია მთლიანად არ იქნა ნაციონალიზირებული ბოლშევიკების მიერ, მაგრამ ადგილობრივი ინდუსტრიის წარმომადგენლებს, ისევე, როგორც უცხოელებს სამუშაოდ შეუძლებელი პირობები შეუქმნეს.

იმისთვის, რომ გალატაკებული რუსული კომერცია და ინდუსტრია გადაარჩინონ, უცხოურ საქონელს ფანტასტიკური ფასები დაუწესეს და მათი იმპორტი შეუძლებელი გახდა. საქართველოს პორტებში (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) მუშაობა ჩაკვდა. იზრდება უმუშევრობა, მთელ მოსახლეობას შიმშილი ემუქრება. სხვადასხვა ავადმყოფობა .

განსაკუთრებით მალარია, ხინის უქონლობის გამო — დიდ მსხვერპლს იწვევს.

იმისთვის, რომ თავისი არსებობა დაიმკვიდროს, მოსკოვის მთავრობა დიდ ფინანსურ ცენტრებში თავის აგენტებს აგზავნის და მარგანეცის საბადოების კონცესიებს და ნავთობის მდიდარ¹ ადგილებს სთავაზობს საქართველოში და მთელს კავკასიაში. ქართველი ხალხის ამკამინდელი მდგომარეობა და მისი მეზობლებისაც, რომელიც მასავით იტანჯებიან რუსული ბოლშევიზმის უღლის ქვეშ. ვერ შეუწყობს ხელს მშვიდობას იმ მნიშვნელოვან გზაზე, რასაც წარმოადგენს კავკასია, ევროპასა და აზიას, შორის.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც თავის გაწამებულ ხალხთანაა და თავის ქვეყანაში განაგრძობს მუშაობას, მხარს უჭერს საქართველოს ეროვნული მთავრობის დიპლომატიურ დემარშებს ერის კანონიერ უფლებების დასაცავად და მას აქვს პატივი სთხოვოს ერთა ლიგის გენერალურ ასამბლეას დახმარების ხელი გაუწოდოს ქართველ ხალხს, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს — იცხოვროს თავისუფლად, და გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც მას ხელთ აქვს, რათა აიძულოს რუსული მთავრობა გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარები.

თბილისი, 5 აგვისტო 1924 წ.

¹ ნავთობის საბადოები, მარგანეცის შატების ექსპლოატაცია და ამ შიწრალის ექსპორტი, მოსკოვის მთავრობამ კონცესიად მისცა უცხოელებს. კონტრაქტი მარგანეცის კომისიაზე ხელმოწერილი იყო მოსკოვში 1925 წლის 12 ივნისს ბატონებს ზიჩინის და ტერენსკის მიერ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მინისტრმა ქართველი ხალხისა და კანონიერ მთავრობის სახელით პროტესტი განაახლა.

მართა ლიბა
მეხუთე ასამბლეა
მეოცე კლენარული სხდომა

შენიშვნა
1924 წ. 25 სექტემბერი, ხუთშაბათი, 4 საათი
თარგმანობა: ბ-ნი მოტა
(ნაწყვეტები)

75. — ვითარება საქართველოში. მეექვსე კომისიის მოხსენება.
რეზოლუცია.

— ბ-ნი თავმჯდომარე — გადავიდვართ დღის წესრიგის მეხუთე
საკითხზე: ვითარება საქართველოში.

ბ-ნი თავმჯდომარის წინადადებით მეექვსე კომისიის თავმჯდომარე
ბ-ნი ენკელი (ფინეთი) და მომხსენებელი ბ-ნი მაკ დონალდი (კანადა)
ადგილს იკავებენ ტრიბუნაზე.

ბ-ნი თავმჯდომარე — სიტყვა ეკუთვნის ბ-ნი მომხსენებელს. ბ-ნი
მაკ დონალდი (კანადა) — მომხსენებელი — (თარგმანი)

ბატონებო, უპირველეს ყოვლისა მსურს წარმოვიდგინოთ იურიდიული
ხასიათის რამდენიმე მოსაზრება იმ ვითარების გამო, რომელიც
საქართველოში შეიქმნა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ევროპა
განიხილავს ამ უბედური ქვეყნის მდგომარეობას, ქვეყნისა, რომელშიც
ამაყი ხალხი ცხოვრობს. ეს ხალხი საუკუნეების განმავლობაში
დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ასი წლის წინათ იგი რუსეთმა შთანთქა.

დიდი ომის შემდეგ, ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც ბევრმა
სხვა ქვეყანამ, რომელიც მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა, 1918 წლის
26 მაისს დაადასტურა თავისი დამოუკიდებლობა და მიიღო
დემოკრატიული და რესპუბლიკური კონსტიტუცია. ამგვარად აღდგენილი
ეს ერთი აღიარებულ იქნა 1920 წლის 11 იანვარს იმ უზენაესი საბჭოს

მოერ, რომელიც შედგებოდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და ბელგიისაგან. ვიღებთ რა მხედველობაში ახლო წარსულის მოვლენებს, ყურადსადებია იმის კონსტატაცია, რომ იმავე წლის 7 მაისს, რუსეთშიც ცნო დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა; ზუსტად მოგახსენებთ ამ ხელშეკრულების პუნქტებს ამ საკითხთან დაკავშირებით: „რუსეთი უპირობოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ.“

1921 წ. 21 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოებმა დე იურე ცნეს საქართველოს სახელმწიფო, ისევე როგორც ესტონეთი და ლატვია, რომლებიც ამჟამად ლიგის წევრები არიან; ცნო ბევრმა ქვეყანამ. ესენი არიან: პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, არგენტინის რესპუბლიკა, პანამა, ჰაიტი, მექსიკა, ლიბერია, ლუქსემბურგი და სიაში.

1921 წ. 25 თებერვალს, ახალი სახელმწიფოს სრულუფლებიანმა მინისტრმა საფრანგეთის პრეზიდენტს რწმუნების სიგელები წარუდგინა და ამ დღიდან პარიზში დამკვიდრდა ქართული ლეგაცია. და სწორედ მაშინ მოხდა თითქმის უპრეცედენტო ფაქტი მსოფლიო ისტორიაში. რუსეთმა. მიუხედავად იმისა, რომ მან ცნო საქართველო, თავს დაესხა და დაარღვია თავისი ვალდებულებები. ამ დღის შემდეგ, ამ ქვეყნის მდგომარეობამ მსოფლიოს ყველა ერების სიმპატია გამოიწვია.

საქართველოს იურიდიული სახელმწიფოებრიობა აღიარებული და დადასტურებულია. ამის მაჩვენებელია ის, რომ ისეთმა გამორჩეულმა პიროვნებამ, როგორც არის საფრანგეთის ამჟამინდელი მინისტრთა თავმჯდომარე ბ-ნი ერიო, საფრანგეთის დეპუტატთა პალატას მოახსენა საქართველოს ვითარება და მისმა დეკლარაციამ საქმის ვითარებაზე საფრანგეთის იმდროინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის — ბ-ნ პუანკარეს მოწონება დაიმსახურა.

ბ-ნმა სოუდენმა — დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა შარშან ივლისის თვეში პალატაში მოახსენა დეპუტატებს ვითარება საქართველოში; შეიძლება შემედავონ იმაზე, რომ დიდმა

ბრიტანეთმა რუსეთის საბჭოების შთავრება აღიპოვა; მგრაჲ ტუნდა შეგახსენოთ, რომ ამ ცნობა-აღიარებას ქჷონდა შეზღუდული ხასიათი და თანაც საკმაოდ თავშეკავებული იყო, რადგან დიდი ბრიტანეთი საბჭოების რესპუბლიკების კავშირს სცნობდა როგორც დე იურე მთავრობას-რუსეთის ადრინდელი იმპერიის იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებმაც ამ კავშირის ხელისუფლება სცნეს. რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, რომ გამართლებულია ის ფაქტი, რომ მან მსოფლიოს ყველა სხვა ერების სიმპატია დაიმსახურა.

იმ მოწოდებამ, რომელიც ჩვენს კომისიას გამოევჩავნა გაწამებული სახელმწიფოს სახელით, შემდეგი ფაქტები დაგვანახა:

ქართველი ხალხის ტანჯვა აუტანელია; ის ტერორი, რომელიც რუსეთში ხანდახან მაინც ნელდება, საქართველოში არამც თუ კლებულობს, არამედ სულ უფრო და უფრო მძაფრი ხდება. გადასახლებები, დაჭერები, ჩეკას სარდაფებში წამებები, ყველა კლასის წარმომადგენლების დახვერტები სასამართლოს გარეშე მატულობს. დაჭერილ პოლიტიკურ მოღვაწეებს ეპყრობიან, როგორც ბანდიტებს. ინტელიგენციას და მუშებს საშუალებას არ აძლევენ იმუშაონ; იმის გამო, რომ ქართველები ხელისუფლების მოწინააღმდეგენი არიან, მათ არ იღებენ არავითარ სამუშაოზე; არც კომერციულ და არც კერძო ინდუსტრიულ საწარმოებში, ისევე, როგორც რაიმე სამსახურში; მათ ყველა დაბრკოლებას უქმნიან; სამღვდლოებას სდევნიან მათი რელიგიური მრწამსის გამო და იმის გამოც, რომ ამჟამინდელი ვითარების რეალური სურათი დახატა, პატრიარქ ამბროსის რამდენიმე წლის პატიმრობა მიესაჯა და ამჟამადაც ციხეშია.

ასეთია ვითარება საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ასამბლეის წევრები გულისტყვივით გაიზიარებენ მის ბედს. სწორედ ამ დიდი ნდობის გამოა, რომ წარმოგიდგენთ მეექვსე კომისიის დასკვნებს, თქვენი აზრი რომ გამოიტანოთ.¹

¹ მეექვსე კომისიის მოხსენება.

„ასამბლეამ განსახილველ გაუგზავნა მეექვსე კომისიის წინადადება, რომელიც წარმოდგენილი იყო ბელჯიის ბრიტანეთის იმპერიის და საფრანგეთის დელეგაციების მიერ მასში ნათქვამი შემდეგი: „ასამბლეამ განახლო რა რეზოლუცია, რომელსაც ხმა მისცა 1922 წ. 22 სექტემბერს შესამე ასამბლეამ საქართველოს საკითხის შესახებ. შესთავაზა

ბ-ნი ბრუკერი (ბელგია) — საჭიროა, რომ წარმოდგენილი რეზოლუციის ერთსულოვანი მიღება იმედი იყოს ჩაგრულთათვის. ისიც საჭიროა ვთქვათ რა ომი მძინეარებს იქ, რა უსამართლოა ეს ომი და ადრე თუ გვიან, როცა კი შესაძლებელი იქნება (რაც შეიძლება მალე), ყველაფერი ვიღონოთ, რომ სამართალი აღდგეს. (ტაში).

ბ-ნი თავმჯდომარე — სიტყვა ეკუთვნის საფრანგეთის დელეგატს ბ-ნ ბონეს.

ბ-ნი ბონე (საფრანგეთი) — ბ-ნო თავმჯდომარე, ქალბატონებო და ბატონებო. მე მინდა ჩემი ხმა შეუერთო იმ მჭერმეტყველურ სიტყვებს, რომლებიც ეს ესაა. ითქვა, რეზოლუციის პროექტი წარმოდგენილი იყო ერთდროულად ბელგიის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის დელეგაციების მიერ; თქვენ კარგად გახსოვთ რა მხურვალედ დაიცვა იგი ბ-ნმა პოლ ბონკურმა.

როგორც ბ-ნმა ბრუკერმა აღნიშნა, ერთა ლიგა ვერ გაჩუმდება, როცა იგი ხედავს იმ ტანჯვა-წამებას, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდის. მან ხმა უნდა აიმაღლოს და სწორედ ეს არის რეზოლუციის პროექტის მიზანი, რომელსაც ხმა უნდა მისცეთ.

ცხადია, დიდი სიფრთხილევ გვმართებს. გრძნობები მკიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამართალთან. უნდა ითქვას, რომ ტექსტში, რომელიც ხელთ გაქვთ, ანგარიში ეწევა, როგორც ერთს,

საბჭოს უკრძლებით აღვიწინოთ თვალური მოკლებებს, რომლებიც მოვილით ამ რეგიონში მიმდინარეობს, რათა შესაძლებელი შესაფერ შემთხვევაში მშვიდობიანი საშუალებებით და საერთაშორისო სამართლის წესების დაცვით, დაეხმაროს ამ ქვეყანას ადგილობრივი ნორმალური პირობები.

ეს წინადადება სიტყვა-სიტყვით იმართებს 1922 წელს მიღებული რეზოლუციის ტექსტს. მესამე ასაშლელა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, გამოხატავს ჩვენი კოდექსის ერთსულოვნებას, ავლენს საბჭოს უკრძლებით აღვიწინოთ თვალთ ვითარებას და ხელსაყრელ შემთხვევითადაც მშვიდობიანი საშუალებებით და საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, დაეხმაროს ვითარების გაუმჯობესებას.

ამ ვითარების ძირითადი მონაცემები არ შეცვლილა და ტრაგიკული მოკლებები, რომლებიც ახლაც მიმდინარეობს საქართველოში, ვფიქრობ, მესამე ასაშლელის საზრუნავს განახლებს. 1922 წლის რეზოლუცია მიღებულ იქნა და ნება გვაქვს გამოვთქვათ იმის იმედი, რომ ლოგის სახელმწიფო მთავრობები შესძლებენ დაესწონ საჭიროების შემთხვევაში საბჭოს, ინფორმაციის მოსაწოდებლად და ვითარების შესაბამისად ხელს შეუწყობენ მას მუშაობაში მშვიდობიანი საშუალებებით.

კომიტა სთხოვს ასაშლელს ბრძანოს არსებული მოსვენება გადაეცეს საბჭოს, რათა გარკვეულ დროსა და ვითარებაში, რომელსაც იგი დროულად ჩაუვლის, მიიღოს შედეგობაში ის მიმოხილვები, რომლებიც მასშია მოცემული.

ასევე მეორეს. და სწორედ ამიტომ, საფრანგეთის დელეგაცია უერთდება რა გამოსულ ორატორებს,¹ გთხოვთ ხმა მისცეთ ამ რეზოლუციას (ტაში).

ბ-ნი თავმჯდომარე — აღარავინ თხოულობს სიტყვას?
სხდომა დამთავრებულია.

კომისია თხოულობს, რომ ასამბლეამ მისი მოხსენება გადასცეს საბჭოს, რათა მან იგი გამოიყენოს იმ დროსა და იმგვარად, როცა ყველაზე შესაფერ ვითარებად მიიჩნევს.

კენჭი ვუყაროთ ამ რეზოლუციას.

„ასამბლეა სწყვეტს გადაეცეს საბჭოს მეექვსე კომისიის მოხსენება საქართველოში ვითარების შესახებ (95.1924, VII), იმისთვის, რომ საბჭოს შეეძლოს იმ დროს როცა საჭირო იქნება მიიღოს მხედველობაში ის მითითებები, რომლებიც ამ რეზოლუციაშია მოხსენიებული.

(რეზოლუცია ერთხმადაა მიღებული)

¹ ბატონები — მაკ დონალდი (კანადა), თომას შილტე (პრიტანეთის იმპერია), მონენ ლონგაჩი (იტალია) და ბრუკერი (შვეიცარია).

ბენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება¹

(საბჭოთა რუსეთის წითელი მეთერთმეტე არმიის სარდლის, ბენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი“)

„1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.“

თქვენი წერილის, № 1753, საპასუხოდ ქვემოთ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან.
2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის უწყვეტზე.
3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხოვნობა.
4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს“ კრებაზე ამა წლის (1920) 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ კიაზიმ კარაბეკირის (ქემალისტური თურქები) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მდგომარეულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ოპერაციისათვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ გაბირი რომ შევქმნათ.

ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24 000 რეგულარულ

¹ ჰეკერის საიდუმლო მოხსენების თარგმანი აღებულია 1981 წელს პარიზში გამოცემულ კრებულიდან „დაპურობის 80 წლისთავი“.

ჯარისკაცს და 14-16 000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩაეარდნენ. ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჭეშირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავხედავ, გამოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დალესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება.

საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია, ალსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ ექვსი დივიზია ქვეითი ჯარისა და ხუთი დივიზია კავალერიისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25 000 ხიშტი და 4 000 ხმალი. ფოალოს მიმართულებით ამის გარდა კიდევ უნდა გვეყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოქის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო

ვლადიკავკაზის დასაფარავად ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი. ეს ძალები უნდა გამოეყოთ მეცხრე და მეთერთმეტე არმიებიდან. ამ გამოყოფისათვის, თუ შესაძლებელია მათი სამხრეთის ფრონტზე გადმოყვანა, უნდა მოვიხმაროთ პირველი არმიის ერთეულები.

პირველი გეგმით, საქართველოში შესასვლელად, ოპერაციებისათვის თბილისის წინააღმდეგ უნდოდათ დაენიშნათ სპეციალური ერთეულები მეოცე, მეთვრამეტე, მეოცდათორმეტე და მეოცდარვე დივიზიებისა, ამხანაგ შერშენევის, კავალერიის დივიზიების; მერვესა და მეთვრამეტეს ერთეულები, რომლებიც უნდა გამოიყვანონ მეცხრე და მეთერთმეტე სხვა ერთეულებიდან. დამხმარე ძალები დასახელებულ ნაწილებიდან უნდა გამოიყონ იმ ფრონტის ნაწილებიდან, რომლებსაც ეხებათ მთავარსარდლის დეკრეტი, რათა ჩემი არმია გაძლიერებულიყო. ამ პარობებში, დეკემბრის დამდეგისათვის, მე შეყოლებოდა საკმაო ძალები საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმევი იყო. სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 5376 დეკემბრის მიხედვით, მეორე არმიის კავალერიის ტრანსპორტი შეჩერებული იქნა, ეშელონები 134-626-661-312-454 დაკავებული იქნენ გულდურუ — პეტროვსკის ხაზზე, მეოცდარვე ქვეითი დივიზიის ნაწილები ვერ გამოიყვანეს და ვერ გაგზავნეს ფრონტზე, და განიცადეს რა დიდი დანაკლისი თვითონ მათ სჭირდებოდათ შევსება, მთელი მე-32 ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ მე-96 ბრიგადის გაცვანა შეიძლება ყაზახის მიმართულებით, მე-18 დივიზიის ერთეულებსაც სჭირდებოდათ დამხმარე ძალები და მათი თავმოყრა ძალიან კიანურდება. პეტროვსკში მოსვლისას ეშელონები გადავიყვანეთ ჩემი ბრძანებით ლენკორანის რაიონში. ამგვარად, აქსტაფა-ყაზახის რაიონში, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ამჟამად ლაშქრობაში შევიყვანოთ განზრახულის მხოლოდ მეოთხედი ძალები. დეკემბრის ოთხს (1920 წ.), ყველა ვითარების აწონ-დაწონის შემდეგ, მე მოვახსენე საქართველოს რესპუბლიკის შესახებ რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს, რომ ყოველად

შეუძლებელია შესრულდნენ რეკომის ბრძანებები და დასრულდეს ჯარების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ თვით დეკემბრის თვის დასასრულისათვის. თუ დამხმარე ძალების მოსვლა დაგვიანებით გაგრძელდება, წინა მოხსენებულის დამატებით და შესასებათ გაცნობებით, რომ საჭიროა ჩქარი გადმოყვანა ჯარებისა ჩრდილო კავკასიიდან და მეორე არმიის კავალერიისა, თუგინდ ამით დროებით დაბრკოლდეს საქონლის გადაზიდვა, რათა სულ მოკლე ხანში ჯარის ნაწილები ისეთ ვითარებაში მოხვდნენ, რომ შეეძლოთ ყოველ წუთში რევოლუციის მიმართ თავისი მოვალეობა აღასრულონ.

ასევე უნდა შესრულდეს ჯარის მომარაგების საქმეც. ვიღებ რა მხედველობაში მომარაგების მდგომარეობას, წინადადებას გაძღვეთ მოუცადოთ ხორბლის მოტანას და დამხმარე ძალების მოსვლას, რაც დაგვიანებით გაგრძელდება, მის დაწყობას ელიზავეტოპოლში, მანამ, სანამ საქართველოზე თავდასხმას დაეიწყებდეთ. მითუმეტეს, რომ თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებას გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ.

ზურგის მდგომარეობაზე: კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემოიძლია უშიშრად ჩავთვალო თუ შემდეგი ერთეულები არ იქნებიან ჩემს განკარგულებაში: ლენკორანის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითი ჯარისა და ერთი კავალერიისა ტერტერა-შუშაჯებრაილის რაიონში, ორი ნაწილი ქვეითის და ერთი კავალერიისა აუცილებელია ვანქარაშუშა-შერუსის რაიონში, ნუხის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითისა, ბაქოს და რკინიგზის დაცვა მოითხოვს არა ნაკლები ერთი დივიზიისა. ამის დამოუკიდებლად, საიდუმლო დაწესებულებების ცნობით, აპრილში უნდა მოველოდეთ მასიურად თურქების შემოსვლას ჯებრაილის რაიონში. აუცილებელია ახლავე დავაკავოთ არაქსზე გადმოსასვლელი ყველა პუნქტი და ამ მიზნით იქ საკმაო ძალები უნდა მივიყვანოთ.

რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც ამაზე უკვე მოვახსენე დაწვრილებით რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24

ნოემბერს. აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სისუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართულ ჭარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვეერთვა.

ყველა ეს მოსაზრება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მოსაზრების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს.

თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჭარები შეფერხდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდებიან: 1. კონცენტრაცია ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტოპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიისა. 2. ბაქო-ელიზავეტოპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლების მოსვლა, რომელი სურსათიც საკმარისი იქნება დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში. 3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჭარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კომპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში.

მე თქვენ გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს მოხსენებაში „რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს“ თავმჯდომარის მიმართ.“

(„კავკასიონი“ № 15) მე-11 არმიის სარდალი: ჰეკერი.

ქართველ მეგობრებს

თქვენი სამშობლო პატარაა, მაგრამ მას დიდი გული აქვს!

მოიხიბლები და შეგიყვარდება იგი, როცა გაცნობი მის დიდებულ ისტორიას, რომელსაც ჩვენ დასავლელები, სამწუხაროდ სრულებით არ ვიცნობთ.

დღევანდლამდე, საქართველო — ძველი კოლხეთი, დასავლელთა უმრავლესობისათვის — ის საარაკო ქვეყანა იყო, რომელიც სადღაც კავკასიის მხარეს მდებარეობს და რომელსაც საოცარი სიღამაზის ქალები ჰყავს.

მაგრამ თქვენ თავს დაგესხათ ბოლშევიკური ურჩხული და მხოლოდ მაშინ, აღწევს ჩვენამდე თქვენი გაშთავებული წინააღმდეგობისა და უზენაესი გმირობის ექო. ვიცით, როგორ განადგურებენ რიცხობრივი უპირატესობის გამო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ თქვენი ვაჟკაცობა არ ნელდება, რომ მაინც იბრძვით, იბრძვით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

თქვენ დამარცხდით, მაგრამ არ დამორჩილდით. მოსკოველი სადისტები, სიკვდილის ეს მოციქულნი, ყველაფერს კადრულობენ: მონალურ და ფიზიკურ წამებებს, მაგრამ სიკვდილის შიში, იმის შეგრძნება, რომ თქვენ დამარცხებული ხართ, გულს არ გიტეხთ და ჩქარა აჯახებაც იფეთქებს.

ამაოდ იბრძვით და ხელ-ხელა ეს ამბობება წახშობილია სისხლსა და რეპრესიებში. მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენს საზღვრებს გარეთ უკვე გიცნობენ, ყველაფერი იციან და აღელვებულნი დიდი გულისყურით გადაევენებენ თვალს. სამშობლოსა და რელიგიისათვის იტანჯებით და იღუპებით! ოჰ, თქვენ ჩვენთვის უცხოელები აღარა ხართ; ჩვენი ქრისტიანი ძმები ხართ და თქვენი ამადლებული საქართველო, ისევე როგორც ადრეულ ხანებში, ქრისტიანული ცივილიზაციის შეწინავე ციტადელია.

თუკი ეს აზრი ოდნავ მაინც მოაშუშებს თქვენს ტკივილებსა და ძაძებს, იცოდეთ, რომ აქ, დასავლეთ ევროპაში ბევრი გული თქვენ გულებთან ერთად ფეთქს. დასავლეთ ევროპა არა მარტო თანაგიგრძნობთ თქვენს

გაჭირვებაში, არამედ თქვენს აბზავს მთელ მსოფლიოს გააგებინებს.

უკიდურესი ტრადიციონალისტი ერის შვილებმა, თქვენ ხელშეუხებლად შეინარჩუნეთ თქვენი წინაპრების ვაჟკაცური სისხლი. მიუხედავად უამრავი შემოსევისა, ათხრებისა და აწიოკებისა, თქვენ ტოლერანტულნი და ამაღლებულნი დარჩით. არ დაკარგეთ თქვენი ჯიშის ორი დამახასიათებელი თვისება: ულკვი კარგი გუხება და უადრესად განვითარებული არტისტიზმის შეგრძნება.

საქართველოს ერთ მხარეში, ხევსურეთში ჯერ კიდევ ატარებენ ჯაჭვის პერანგს, იმ წინაპრების სამოსს, ჯვაროსნულ ლაშქრობებში რომ იღებდნენ მონაწილეობას. ამაში უფრო მეტი რამ დევს, ვიდრე უბრალო ჩხევა. ეს არის სიმბოლო, სიმბოლო იმისა, რომ თქვენ გულებს შემორჩაო ძველი დროის რაინდული სული, თავგანწირვის იგივე შეგრძნება და მოყვასის სიყვარული.

სწორედ ეს დასწერეს თავისი სისხლით კოჯრის მთის ფერდებზე, ტაბახმელას ტრანშეებში 1921 წლის თებერვალში თქვენი სამხედრო სკოლის კურსანტებმა.

მაშინ როცა წითელი ურდოები თბილისს უტყვდნენ.

ტრადიციონალისტებო, შუა საუკუნეების დროიდან
თქვენ რაინდთა ერად დარჩით!

ყველა ჩვენთაგანში თქვენ სიყვარულსა და
თაყვანისცემას იწვევთ!

რემონ დიუგე

რემონ დიუგეს ეს წერილი დაიბეჭდა 1927 წლის მაისში, საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანოს გაზეთში „თეთრი გიორგი“ № 4, პარიზში. წიგნის „მოსკოვი და წამებული საქართველოს“ გამოსვლის შემდეგ.

სარჩემი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	10
თავი I. პატარა ქრისტიანული კუნძული	30
თავი II. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა	39
თავი III. მოსკოვი საქართველოსთან მეგობრობის ხელშეკრულებას აწერს ხელს და ამავე დროს მუხანათურად ესხმის თავს	50
თავი IV. ზედმეტად მიმნდობი საქართველოს მთავრობა ვერ იყენებს ლამაზი გამარჯვების ნაყოფს	60
თავი V. თბილისში ცნობილი ხდება, რომ ბოლშევიკები საქართველოს ხელმეორედ დასაპყრობად ემზადებიან	65
თავი VI. სიტყვის გამტეხი ბოლშევიკები მეორედ იპყრობენ საქართველოს	74
თავი VII. საქართველო ბარბაროსებმა დაიპყრეს	81
თავი VIII. წითელი ერა	90
თავი IX. ფრანგი მოქალაქე ჩეკას ხელში	100
თავი X. ბოლშევიკების დანაშაულებანი და მათ მიერ მოსახლეობის საშინელი დევნა სულ უფრო და უფრო მზარდ მღელვარებას იწვევს	110
თავი XI. 1924 წლის აჯანყება	119
დამატება — ოფიციალური საბუთები	127
ქართველ მეგობრებს	160